# თეატრი
# და
# ცხოვრება

ჩავიდა გიგა...
ჩავიდა თამარი...

3
2013




რეჟისორ გიგა ლორთქიფანიძის ვარსკვლავი
კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის წინ.

# თეატრი და ცხოვრება

მთავარი რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ნინო მაჭავარიანი

საკონსულტაციო საბჭო:
ნოდარ გურაბანიძე,
დავით დოიაშვილი,
ვასილ კიკნაძე,
ირაკლი სამსონაძე,
გიორგი სიხარულიძე,
რობერტ სტურუა,
თემურ ჩხეიძე

3
2013

მაისი
ივნისი

1910-1926 „თეატრი და ცხოვრება“
1950-1990 „თეატრალური მოამბე“

შემოქმედებითი კავშირი - საქართველოს თეატრალური საზოგადოება
UDC 792(479.22)
თ-391

# ნომერი ეძღვნება ქართული თეატრის გამოჩენილი მოღვაწეების - გიგა ლორთქიფანიძისა და ოთარ მეღვინეთუხუცესის ხსოვნას.

ასევე:


**მაკა ვასაძე** — „მარია კალასი“ თეატრ-ფაბრიკაში ---------------------------------------- გვ. 74

**მანანა გეგეჭკორი** — ვეძებთ ნაძირალას! ----------------------------------------------- გვ. 78

**ლაშა ჩხარტიშვილი** — „მსოფლიო გლობუსში“, ანუ რატომ დაბრუნდა მარჯანიშვილის თეატრი შექსპირის მემორიალურ სცენაზე? ----------------------------------------------- გვ. 83


# The journal is dedicated to the memory of the famous theatre workers Giga Lortkifanidze and Otar Megvinetukhutsesi

Also


**Maka Vasadze** - “Maria kalas” in the theatre-factory ------------------------------------------------------------75.p

**Manana Gegechkori** – We are looking for a swindler! ----------------------------------------------------------78.p

**Lasha Chkartishvili** – “The world in Globe“ or why has Marjanishvili Theatre returned to Shakespear Memorial Theatre?------------------------------------------------------------------------------------------------------------ 83.p

# გიგა ლორთქიფანიძე დაგვტოვა...



# გიგა ლორთქიფანიძე

„დაცარიელდა დიდი სახლი კადმოსიანთა“ — ამბობს ქორევტი გიგა ლორთქიფანიძის მიერ დადგმულ სპექტაკლ „ოიდიპოს მეფეში“ — მას შემდეგ, რაც ოიდიპოსი მარადიულ სიბნელეს შეუერთდება...

...თანდათან ცარიელდება ქართული თეატრის დიდი სახლიც - ჩვენგან მიდიან რჩეული ოსტატები, თეატრალური სკოლებისა და მიმდინარეობების შემქმნელნი. დღეიდან გამოჩენილ ქართველ ხელოვანთა პანთეონს შეუერთდება გიგა ლორთქიფანიძეც - იშვიათი ნიჭით დაჯილდოებული რეჟისორი, შეუპოვარი პატრიოტი და მამულიშვილი, საზოგადო მოღვაწე, რეჟისორთა და მსახიობთა მთელი თაობების აღმზრდელი, აღსავსე ნიჭით, იუმორით, ტემპერამენტით, ბუნებისგან დაჯილდოებული იშვიათი მომხიბვლელობით, ნამდვილი ლიდერი, შემკრები, გამაერთიანებელი თანამოაზრეებისა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ გ. ლორთქიფანიძემ ქართულ თეატრსა და კინემატოგრაფში მთელი ეპოქა შექმნა. იგი იყო კლასიკური ტიპის რეჟისორი, ყოველთვის დრამატული ნაწარმოების სიღრმეს სწვდებოდა, არ მიელტვოდა ეფექტურ და, არსებითად, ეფემერულ თეატრალურ ხერხებს. ამიტომაც მისი სპექტაკლები და კინოფილმები აღბეჭდილია სრულყოფილებით, დრამატულ ნაწარმოებთა არსში ღრმა წვდომით, ავტორის სტილისა და იდეების ერთგულებით და მსახიობთა შემოქმედებითი შესაძლებლობების სრულყოფილი რეალიზაციით. იგი ფლობდა რეჟისორული ხელოვნების ყველა საიდუმლოს. მისი არსენალი უაღრესად მდიდარი იყო ამ თვალსაზრისით, მაგრამ მაინც, მის შემოქმედებაში წინა პლანზე ყოველთვის იდგა ავტორი და მსახიობი. ამავე დროს, გ. ლორთქიფანიძე უაღრესად ქართული მენტალიტეტის მქონე რეჟისორი იყო. მისი რეჟისურა ამოზრდილი იყო ეროვნული კულტურის, ისტორიის, წარუვალი ტრადიციების, ხალხური ზეპირსიტყვიერებისა თუ ხუროთმოძღვრების, პოლიფონიური სიმღერებისა თუ საგალობლების ღრმად შეთვისებული და გააზრებული სამყაროდან. მისი თეატრალური ესთეტიკა შეიცავდა ევროპული და რუსული თეატრალური ხელოვნების უმნიშვნელოვანეს და უახლეს მიღწევებსაც, მაგრამ მაინც, უპირველესი და განმსაზღვრელი იყო და რჩებოდა მისი ეროვნული ცნობიერება, რომელიც ყოველთვის უფრო მეტია, ვიდრე ნებისმიერი ესთეტიკური მოძღვრებანი.

იგი ცხოვრობდა თავისი ქვეყნისა და ხალხის ცხოვრებით. სეისმოგრაფის სიზუსტით გრძნობდა მის პრობლემებს, სატკივარსა თუ სიხარულს. ამის გამო ბევრი უსამართლო კრიტიკაც შეხვედრია როგორც კომუნისტური იდეოლოგიის მეს-

ვეურთაგან, ისე ახლად მოვლენილი კერპებისაგან.

ახალგაზრდობიდანვე შეუდგა იგი თავისი მისიის შესრულებას. ჯერ კიდევ მოსკოვის ლუნაჩარსკის სახ. სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი იყო, როცა სტუდენტთა წრეებსა თუ სხვადასხვა კულტურის სახლებსა და კლუბებში დგამდა სპექტაკლებს და დიდი პოპულარობაც მოიპოვა პროგრესულად განწყობილ მოსკოველ ახალგაზრდებში...

ნამდვილად იშვიათია რეჟისორი, რომელსაც უმუშავია იმდენ თეატრში (როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში), როგორც გ. ლორთქიფანიძეს. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მან რეჟისორობა დაიწყო (1950-51 წ.წ.) ვილნიუსის რუსულ დრამატულ თეატრში. აქედან მოყოლებული ფართოდ იშლება, დიდ სივრცეებს მოიცავს გ. ლორთქიფანიძის რეჟისურა და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. 1952-54, 1957-63, 1965-67 და 1976-1980 წლებში იგი მარჯანიშვილის თეატრის რეჟისორი და სამხატვრო ხელმძღვანელია, 1954-1956 წლებში - ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახ. თეატრის მთავარი რეჟისორი, 1963-1965 წლებში - გრიბოედოვის სახ. რუსული დრამატული თეატრის მთავარი რეჟისორი, 1967-76 წლებში რუსთავის დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, 1987-2004 წლებში ხელმძღვანელობდა თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრს, 1985-2009 წლებში იყო საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე, 1999-2005 წლებში შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის რექტორი, 2009-2010 წლებში მოზარდ მაყურებელთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, 1991-99 წლებში საქართველოს პარლამენტის დეპუტატი, სადაც თავი გამოიჩინა თავისი მწვავე კრიტიკული და პატრიოტული სულისკვეთებით გაჟღენთილი გამოსვლებით და ქართული კულტურისა და ხელოვნების წინაშე წამოჭრილი მწვავე პრობლემების გადაჭრისაკენ მოწოდებით. ამას თუ დავუმატებთ მოსკოვისა და მოკავშირე რესპუბლიკების დრამატულ და საოპერო თეატრებში მის მიერ განხორციელებულ დადგმებს, ქართულ კინემატოგრაფში შეტანილ მის უდიდეს ღვაწლს - საერთო სურათი, ასე თუ ისე, შეივსება.

თავის შედევრებში - ნ. დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „მე ვხედავ მზეს“, „საბრალდებო დასკვნა“ - მან გვიჩვენა უბრალო ადამიანები, ცოცხალი თანამედროვენი, თავიანთი ყოველდღიური ცხოვრებით, ტკივილებით, სევდით, იუმორით, ოცნებებით. ორიგინალური სცენური ინტერპრეტაციების წყალობით სცენაზე იკვეთებოდა კარგად ნაცნობი სამყაროს აქამდე უცნობი სურათები. 60-იანი წლების ქართული თეატრალური ხელოვნების უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა პოლიკარპე კაკაბაძის ტრაგიკომედია „კახაბერის ხმლის“ დადგმა (1965).

გ. ლორთქიფანიძის ისტორიული დამსახურება იყო ახალი თეატრის შექმნა ქ.

რუსთაველში. 1967 წლის 30 ნოემბერს, თავის პირველ პრემიერად თეატრმა წარმოადგინა ა. როსტანის ჰეროიკული კომედია „სირანო დე ბერჟერაკი“, რომელიც თეატრის ერთგვარ მანიფესტად იქცა.

1978 წელს მარჯანიშვილის თეატრში გ. ლორთქიფანიძის მიერ დადგმულ „ოიდიპოს მეფეში“ რეჟისურა მკაცრად იყო კონცენტრირებული ოიდიპოსის ტრაგიკული სიცოცხლის ყველა უმთავრესი პერიპეტიის გამოვლენისთვის.

გ. ლორთქიფანიძის უაღრესად მნიშვნელოვან ფილმოგრაფიას აგვირგვინებს მისი მრავალსერიანი შედევრი, XX საუკუნის საუკეთესო ტელეფილმად აღიარებული „დათა თუთაშხია“ (რეჟ. გ. გაბისკირიასთან ერთად), სადაც მთელი სისავსით გამოჩნდა ქართველი ადამიანის სიბრძნე, ზნეობრივი სიმაღლე და მისი ტოლერანტული ბუნება.

გ. ლორთქიფანიძე მრავალი შესანიშნავი მუსიკალური სპექტაკლის ავტორიც იყო. განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ დადგმული ვერდის „აიდა“ (ბათუმის საოპერო თეატრში), მიუზიკლები: „მევიოლინე სახურავზე“ (მუსკომედიის თეატრი), „ლამანჩელი“ (რუსთავის დრამატული თეატრი და ა. ახმეტელის თეატრი).

თბილისის საპატიო მოქალაქის (1996) გიგა ლორთქიფანიძის შემოქმედება და საზოგადოებრივი მოღვაწეობა დიდად იყო დაფასებული, იგი გახლდათ საქართველოს (1971) და სსრკ-ს (1979) სახალხო არტისტი, სახელმწიფო, რუსთაველისა (1985) და სსრკ სახელმწიფო (1978) პრემიების ლაურეატი, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

მისი დიდი შემოქმედება სამარადჟამოდ შევიდა ქართული თეატრისა და კინოს ისტორიაში.

**საქართველოს თეატრალური საზოგადოება**

საქართველოს პრემიერ-მინისტრი
The Prime Minister of Georgia

13.06.2013

საქართველოს პრემიერ–მინისტრის სამძიმარი გიგა ლორთქიფანიძის გარდაცვალების გამო

ქართულ თეატრსა და კინოს ერთ–ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი გამოაკლდა – გარდაიცვალა გიგა ლორთქიფანიძე. მწუხარებას გამოვთქვამ, თანავუგრძნობ და ვუსამძიმრებ მის ოჯახს და ქართულ საზოგადოებას.

გიგა ლორთქიფანიძემ თავისი შემოქმედებით უდიდესი კვალი დატოვა ქართულ თეატრსა და კინოში, მთლიანად ქართულ კულტურაში. მისი რეჟისორობით დადგმული სპექტაკლები და ფილმები ქართველი ხალხისთვის გამორჩეულად ძვირფასია.

როგორც თავისი ქვეყნის პატრიოტმა, გიგა ლორთქიფანიძემ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც – იგი ყოველთვის გამოირჩეოდა მკაფიო სამოქალაქო პოზიციით.

კიდევ ერთხელ ვუსამძიმრებ ქართული კულტურის მოღვაწეებსა და მაყურებელს დიდი რეჟისორის გარდაცვალებას.

ბიძინა ივანიშვილი

ინგოროყვას ქ.7, თბილისი 0134, საქართველო
ტელ: (955 32) 299 09 00; ვებ: Government.gov.ge

7th, Ingorokva St. Tbilisi 0134, Georgia
Tel: (955 32) 299 09 00; Web: Government.gov.ge

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

0114, თბილისი, მეფე ერეკლე II-ის მოედანი №1
ტელ.:(995 32)2990378, 2989540; ფაქსი:2987114

CATHOLICOS-PATRIARCH
OF ALL GEORGIA

1, King Erekle II sq. Tbilisi, 0114
Tel.:(995 32)2990378,2989540;Fax:2987114

†

**ბატონ გიგა ლორთქიფანიძის ოჯახს და ახლობლებს,**

მარადიულობის გზას შეუდგა ქართული კულტურის დიდი მოამაგე, გამორჩეული რეჟისორი და ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ბატონი გიგა-გრიგოლ ლორთქიფანიძე, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე ჭეშმარიტი ღირებულებების დამკვიდრებას ემსახურებოდა. ამიტომაც მისი გარდაცვალება ჩვენი საზოგადოებისათვის დიდ გულისტკივილთანაა დაკავშირებული.

აღვავლენთ ლოცვებს, რათა უფალამან სავანესა მართალთასა დააწესოს ბატონი გიგა-გრიგოლის უკვდავი სული, ხოლო თქვენ მოგანიჭოთ ჭირსა შიგან სიმტკიცე.

ღმერთმა დაგლოცოთ,

სრულიად საქართველოს

კათოლიკოს-პატრიარქი

16 ივნისი, 2013 წელი

# ძმაო, გიგა!



შენ ღირსეულად განვლე შენი გზა, შენი დიდი ცხოვრება! ჩვენი თაობა იმ ბედკრულ ეპოქაში მოვიდა ამ ქვეყნად, რომელსაც „უდროობის წლები“ უწოდა ერთმა დიდმა მწერალმა. წამებული მშობლების, დარბეული ოჯახების შვილობა ძნელზე ძნელი იყო და შენ, ჭაბუკმა, ღირსეულად გაართვი თავი ურთულეს ბედ-იღბალს. შენში იყო ჩვენი წინაპრების სულიერი ძალა და შეუპოვრობა. ამ ძალით იარე, ამ ძალით ქმნიდი შენს ბრწყინვალე ხელოვნებას, რამაც მოგიხვეჭა დიდი სახელი. მიდიხარ და ამქვეყნად სტოვებ ჭეშმარიტი ვაჟკაცისა და დიდი ქართველი მოღვაწის ხატს. შენი ხვედრი უკვდავებაა! მშვიდად განისვენე შენი საყვარელი ძმადნაფიცის, დიდი ოთარის ახლოს, — უზომოდ რომ დაგვწყვიტეთ გული ორთავემ! უფალმა დაგიმკვიდროთ სასუფეველი „მაღალთა შინა“. ზეციური საქართველოს სიმაღლიდან ილოცე შენი ოჯახისთვის, ჩვენი ტანჯული სამშობლოსთვის.

ღმერთმა უმრავლოს საქართველოს გიგა ლორთქიფანიძის დარი ვაჟკაცები!

**შენი ძმა — ჭაბუა ამირეჯიბი — ბერი დავითი**

**თბილისი, 18.06.2013**

**გიგა ლორთქიფანიძის ოჯახს**

ჩემო ქეთევან,

კიდევ ერთმა დიდმა ქართველმა დატოვა თავისი სათაყვანებელი სამშობლო. დიდი გულისტკივილით შევიტყვე გიგას გარდაცვალების შესახებ.

მე და გიგა ახალგაზრდობიდან ვმეგობრობდით და ბოლომდე დავრჩით მეგობრებად. ჩვენ ყველამ დავკარგეთ არა მარტო დიდი ხელოვანი, არამედ უკეთილშობილესი ადამიანი.

ჩემთვის ცნობილია, როგორია ერთგული მეუღლის დაკარგვის განცდა.

ძალიან ვწუხვარ, რომ ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა არ მაძლევს მასთან გამოთხოვების საშუალებას. კიდევ ერთხელ მიიღეთ ჩემი სამძიმარი.

**თქვენი ედუარდ შევარდნაძე**

**თბილისი. 14 ივნისი, 2013 წელი**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო მწუხარებას გამოთქვამს ქართველი რეჟისორისა და საზოგადო მოღვაწის, გიგა ლორთქიფანიძის გარდაცვალების გამო

გიგა ლორთქიფანიძის რეჟისორობით შექმნილი სპექტაკლები და ფილმები სამუდამოდ უკვდავი დარჩება ქართველი ხალხის მეხსიერებაში. ქართულმა თეატრალურმა საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა საქართველოს სახალხო არტისტის, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, რუსთაველისა და მარჯანიშვილის, სახელმწიფო პრემიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, თეატრისა და კინოს რეჟისორის გიგა ლორთქიფანიძის გარდაცვალებით.

სრულიად საქართველოსთან ერთად ვიზიარებთ დიდი რეჟისორის გარდაცვალებით გამოწვეულ მწუხარებას.

**აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა**
**და სპორტის მინისტრი**
**გიორგი თავამაიშვილი**

# ნარუშლელი გულისტკივილი...

პირველივე კურსიდან, პირველივე ნაბიჯიდან ინსტიტუტიდან ნაცნობობა შედგა ჩვენი და მერე მთელი ამ ხნის მანძილზე, რაც ფილმები გადაუღია გიგა ლორთქიფანიძეს, ყველგან მე მიწვევდა და მეც სიხარულითა და სიამაყით ვმონაწილეობდი მის ფილმებში... რაც შეეხება „დათა თუთაშხიას", არის თუ არა შედევრი, ეს მაყურებელმა უკვე გადაწყვიტა. მე ვერაფერს ვიტყვი, რადგან თავად გახლავართ მონაწილე ამ ყველაფრისა და საკუთარი თავის ქებას ხომ არ დავიწყებ?!.. დიდი ტკივილია, ბატონო... მე სიტყვაძუნწი კაცი გახლავართ... იმიტომ კი არა, რომ ლაპარაკი არ ვიცი, უბრალოდ მართლა ძალიან მტკივა... ვიცოდი, რომ ცუდად იყო და სამწუხაროდ, ვერ მოვინახულე ავადმყოფობის დროს, რადგან მეც ძალიან ცუდად ვიყავი. ახლა კი გული მეთანაღრება... მეც ასაკოვანი კაცი ვარ და ძალიან მიმძიმს იმის ყურება, როგორ მიდიან ჩვენი თაობის საუკეთესო წარმომადგენლები იმ ქვეყნად...

**თენგიზ არჩვაძე**

გიგა ვაჟკაცი ადამიანი იყო, მებრძოლი, უკან დახევა არ სჩვეოდა, წინ მიდიოდა ყოველთვის როგორც შემოქმედებაში, ისე ცხოვრებაში... იგი იყო ჩვენი პირველი დამნახავი სისუსტის და კარგის მთქმელი წარმატების დროს... არასოდეს დამავიწყდება, რამდენი მკოცნა, „დიდი მწვანე ველი" რომ ნახა... თავად იყო ძალიან არტისტული პიროვნება, არაჩვეულებრივად მღეროდა, უკრავდა... „დათა თუთაშხია" ხომ ერთ-ერთი საუკეთესო და გამორჩეული ფილმია ქართულ კინოში. არ შემიძლია არ ვახსენო არაჩვეულებრივი მსახიობი - ოთარ მეღვინეთუხუცესი... ჯერ ოთარი წავიდა, შემდეგ გიგა... ისინი თავიანთი თაობის საუკეთესო წარმომადგენლები გახლდნენ.

**მერაბ კოკოჩაშვილი**

უზარმაზარი დანაკლისია... შედევრი, რომელიც გიგა ლორთქიფანიძემ შექმნა, (ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიას" ვგულისხმობ) უზარმაზარი მნიშვნელობის მოვლენაა ქართულ კინემატოგრაფიაში. უმაღლესი დონის ფილმი დაგვიტოვა. რასაკვირველია, ოთარ მეღვინეთუხუცესის დამსახურებაც დიდი იყო, რომელიც ასევე სულ ახლახან გამოგვეცალა ხელიდან. ძალზედ სამწუხაროა, ასეთი თაობა რომ მიდის. რეჟისორობისა და ხელოვანობის გარდა, გიგა მამულიშვილიც იყო:

ყოველთვის აქტიურად მოღვაწეობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. ყველაფერს ეხმაურებოდა, ყველა მოვლენას. ქვეყნის ბედი რომ განსაკუთრებულად აწუხებდა, მის სპექტაკლებშიც ჩანს. მკვეთრად ემოციური პიროვნება იყო, სულის სიღრმემდე განიცდიდა ყველაფერს... ღმერთმა აცხონოს!

**გიორგი შენგელაია**

გიგა განსაკუთრებული პიროვნება იყო, ინდივიდუალური, უზომოდ ნიჭიერი, ინტერესით სავსე ცხოვრების მიმართ... არაჩვეულებრივი მთხრობელი, რომელიც ისე ყვებოდა ისტორიებს, რომ თან უნდა გეცინა და თან დაფიქრებულიყავი... განსაკუთრებული იყო მისი და ნოდარ დუმბაძის მეგობრობა. ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებებს სწორედ გიგამ შეასხა ხორცი, გადაიტანა რა სპექტაკლებად... მინდა ჩემგან დაწეროთ, რომ გიგა ლორთქიფანიძე სრულიად არავის არ ჰგავდა! იყო გამორჩეული და ხალასი იუმორით სავსე. თავის თავზეც კი (ფეხზე რაც სჭირდა) ისე ხუმრობდა, თითქოს ეს არ იყო მისთვის მართლაც დიდი ტკივილი მთელი ცხოვრების მანძილზე. მახსოვს, ყვებოდა, ნოდარ დუმბაძემ მითხრა, საცალფეხო გზა გვაქვს გასავლელი და შენთვის არის ზედგამოჭრილიო... ნოდარიც და გიგაც ასე ამასხარავებდნენ ამ ამბავს... მეტის თქმა ძალიან მიჭირს, იმდენად დიდი ტკივილია ჩემთვის, რაც მოხდა...

**ლანა ღოღობერიძე**

„მუხა წაიქცა ქართული თეატრისა და კინოსი. ჩვენ გამოგვეცალა დიდი მოღვაწე, დიდი მხარდამჭერი და საოცარი პიროვნება... ბოლო დროს განსაკუთრებულად დავახლოვდით. ჩემს მიერ დადგმული სპექტაკლი „ქრისტე“ რომ ნახა, გარეთ ჩამოჯდა, დამიძახა და მეუბნებოდა, რას შვები შენ, ბიჭო, ყოჩაღ, რაებს ქმნიო... თან მიღიმოდა და საოცრად მეფერებოდა... ცნობილია გიგას და ნოდარ დუმბაძის მეგობრობაზე. ნოდარ დუმბაძის სიკვდილის წინ მათ ერთად იმღერეს საავადმყოფოში. ისინი შემოქმედებამ დაამეგობრა. ბრწყინვალე სპექტაკლები დადგა გიგამ ნოდარის ნაწარმოებებზე. 400 ანშლაგი მოხსნა მარჯანიშვილის თეატრში სპექტაკლმა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“... ეს არნახული შემთხვევა იყო ქართულ თეატრში... არ ვიცი რა შეავსებს ჩემი და ქართველი ერის ტკივილს და ტრაგედიას.

**ამირან შალიკაშვილი**




## ს წ ო რ უ პ ო ვ ა რ ი

ამას წინათ, მსახიობი პალიკო ნოზაძე შემომხვდა. საუბრისას ასეთი რამ მითხრა: მეთანხმები თუ არა, რომ კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის შემდეგ ქართული გენის მფეთქავი ძარღვი ყველაზე ძლიერად გიგა ლორთქიფანიძის შემოქმედებაში აისახაო. ვინ არ დაეთანხმებოდა!.. ნოდარ დუმბაძის სცენური ფენომენი, პოლიკარპე კაკაბაძის „კახაბერის ხმალი“, სერგო კლდიაშვილის „დაბრუნება“, ვიქტორ გაბესკირიას „უფსკრულთან“, კონსტანტინე ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“, ალექსანდრე ჩხაიძის „შთამომავლობა“... ეს სია უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს. გარდა ქართველ დრამატურგთა ნაწარმოებების მიხედვით შექმნილი სპექტაკლებისა, მისი ყველა დადგმა, განურჩევლად ავტორთა წარმომავლობისა, თუნდაც საქართველოს ფარგლებს გარეთ დადგმული, გამოკვეთილად ქართული სულისკვეთებისა გახლდათ.

დღეს მინდა გავიხსენო გიგა ლორთქიფანიძე, როგორც პედაგოგი. ვამაყობ, რომ ჩემს ბიოგრაფიაში იყო სამი სანუკვარი წელი, როდესაც თითქმის ყოველდღიური ურთიერთობა მქონდა ამ უნიჭიერეს ადამიანთან. მისმა ლექციებმა ბევრი რამ შემ-

მატა არა მხოლოდ პროფესიის დახვეწა-გაღრმავებაში, არამედ პირად ცხოვრებაში. იშვიათად შემხვედრია ესოდენ ფართო ინტელექტით, ერუდიციით, გამოცდილებით, დიდი იუმორითა და თხრობის დამატყვევებელი მანერით აღჭურვილი მასწავლებელი. ამ თვისებებით განგება მხოლოდ რჩეულებს აჯილდოებს. ასეთი იყო სწორუპოვარი გიგა ლორთქიფანიძე.

გემშვიდობებით, ბატონო გიგა... სანამ ცოცხლები ვართ, ჩვენს არსებაში მუდამ იქნება დავანებული თქვენი განუმეორებელი პროფესიული და ადამიანური ღირებულებანი.

**ვაჟა ძიგუა**

**ბატონო გიგა!**

უმადურებაზე დიდი სირცხვილი არ არსებობს. თქვენგან და ბევრისგან გამიგონია... სიკეთეს ვერასოდეს გადაიხდი, მაგრამ მისი შეფასება და დაფასება უნდა შეგეძლოს... ამიტომ გმადლობ, ბატონო გიგა, ყველაფრისთვის, იმ შემართებისთვის, იმ ანთებული თვალებისთვის, როცა თეატრზე და განსაკუთრებით, რუსთავის თეატრზე ჩამოვარდებოდა საუბარი, რომელიც ბოლოს თქვენი სადარდებელი იყო... მაინც შემართებით ამბობდით, სამართალი და სამართლიანობა გაიმარჯვებსო... ჩვენ ხომ გასკონელი გვარდიელები გახლავართო...

**გია ტყეშელაშვილი**

* * *

საქართველოს კულტურის ფონდი სინანულითა და გულისტკივილით აღნიშნავს სახელოვანი რეჟისორის, გიგა ლორთქიფანიძის გარდაცვალებას. საქართველომ დაკარგა დიდბუნებოვანი ადამიანი და ხელოვანი. საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი უსამძიმრებს მეუღლეს, ქალბატონ ქეთინოს, მის დიდ ოჯახს და მის დას, ჩვენი პრეზიდიუმის წევრს, ქალბატონ მარიამს, რომელმაც დაკარგა უძვირფასესი ძმა.

**საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი**

* * *

**დიდი დანაკლისი განიცადა ქართულმა თეატრმა, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე.**

**რუსთაველის თეატრის მთელი კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ბატონი გიგა ლორთქიფანიძის გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს მის ოჯახს.**




## ერისკაცი

წავიდა ჩვენგან კიდევ ერთი გულანთებული მამულიშვილი, დიდებული ხელოვანი, თეატრალური ხელოვნებისა და კინოს სახელოვანი რეჟისორი, ბატონი გიგა ლორთქიფანიძე, რომელმაც თავისი განუმეორებელი, საოცარი თეატრალური სპექტაკლებითა და კინოფილმებით მსოფლიო აღიარება მოიპოვა და ერის ცხოვრებაში წარუშლელი კვალი დატოვა. მის ხელოვნებაში ეროვნულობა მკვეთრად არის წარმოჩენილი, მაგრამ შინაარსსა და ფორმაში მოძებნილი ჰარმონია მის ხელოვნებას მაღალმხატვრულ ღირებულებებს სძენს და ზოგადსაკაცობრიოს ხდის. ეს კი მაღალი კულტურის ხელოვანის ხვედრია.

თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში მისი ღვაწლი უზომოა. გარდა იმისა, რომ წლების მანძილზე საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში თეატრებს ხელმძღვანელობდა, იყო თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, მისი დამცველი და ჭირისუფალი. ბატონი გიგას საფიქრალი სამშობლოს - საქართველოს კეთილდღეობა იყო. სამშობლოს სიყვარული უძღოდა წინ ყველგან და ყველაფერში. როცა საქართველოს ყოველი მხრიდან უტევდნენ გადამთიელი მტერი თუ შინაური, ბატონი გიგას მგზნებარე სიტყვა, მისეული ტემპერამენტით თქმული, წინ ხვდებოდა ავის მოსურნეთ და უნგრევდა ბოროტ ჩანაფიქრს. ეს იყო პარლამენტში, საჯარო გამოსვლებსა თუ ტელეეკრანიდან თქმული სიტყვები. იგი ყველგან იცავდა თავის უძვირფასესს სამშობლოს, რომელიც მას მოჭარბებულად უყვარდა, უყვარდა მისი ოქროსფერი შემოდგომა, მისი სიუხვე და ბარაქა. ბევრჯერ დაუცლია ღვინით სავსე თასი მის სადიდებლად და დასალოცად იმ ხალხისა, რომელსაც ეს ბარაქა მოჰყავდა, იმ ხალხისა, რომელიც დღეს გლოვობს და მიაცილებს დიდ ხელოვანს, ერის კაცს, კეთილშობილ ქართველ ვაჟკაცს, ბატონ გიგას, რომლის სახელი შეუერთდება იმ კორიფეთა სახელებს, რომლებითაც საქართველო ამაყობს.

ბატონი გიგას გარდაცვალების გამო მწუხარებასა და დიდ სინანულს გამოვთქვამ და ვუსამძიმრებ ქალბატონ ქეთევანს, რომელიც მთელი სიცოცხლე გვერდით ედგა როგორც მეუღლე და როგორც ხელოვანი, ვუსამძიმრებ შვილებს, რომლებმაც დაკარგეს შესანიშნავი მამა, ვუსამძიმრებ ქალბატონ მარიკას, რომელმაც დაკარგა უძვირფასესი ძმა, ღირსეული ადამიანი, ვუსამძიმრებ ოჯახის ახლობლებს, მეგობრებს, თეატრალურ სამყაროს და მთელ საქართველოს.

**მერაბ ბერძენიშვილი**

# უკანასკნელი პაემანი

საავადმყოფოში ბატონი გიგას სანახავად მივედი. გვითხრეს, დღეს ბატონი ოთარ მეღვინეთუხუცესიც მოიყვანეს და ერთად არიანო. ერთად — ერთ პალატაში ყოფნასთან გავაიგივეთ. რეანიმაციის განყოფილებაში შესვლისას, დერეფნის ბოლოს ქალბატონი გურანდა გაბუნია და ქალბატონი ქეთევან კიკნაძე დავინახეთ, მათკენ გავეშურეთ.

გურანდა ტიროდა, ქეთინო უფრო მხნედ იყო. პალატის კარი შევაღე, თეთრ სარეცელზე მიქელანჯელოს ქანდაკებასავით იდო ბატონი ოთარის უზადო ჩამოქნილი სხეული, რომლისთვისაც წლებს და ვერაგ დაავადებას ვერაფერი დაეკლო.

ბატონი გიგა იქ არ იყო.

— რა ხდება? — მოკრძალებით მივმართე ქალებს.

— ეს წუთია ველაპარაკებოდი, ვეფერებოდი და ვამხნევებდი — ამბობდა ქალბატონი ქეთინო კიკნაძე.

— უცებ მითხრა ცუდად ვარ, ვერ ვსუნთქავო, ექიმს დავუძახე და იმის შემდეგ შიგ აღარ გვიშვებენ. — ტირილით თქვა ქალბატონმა გურანდამ.

დიდად ვერ გავამხნევეთ ქალბატონი გურანდა, მხოლოდ ეს ვუთხარი:

— ბატონი ოთარი ძლიერი ადამიანი და პიროვნებაა და აუცილებლად გაუძლებს-მეთქი, თუმცა, ექიმების ფუსფუსიდან გამომდინარე, ჩემი სიტყვების დიდად არ მჯეროდა.

შევედით ბატონ გიგასთან.

მას უკვე გაეგო, ბატონი ოთარის მდგომარეობა და ტიროდა.

მე, კუკური ბექაია, გია ტყეშელაშვილი, ჯემალ მაზიაშვილი, დავადექით თავზე და ტრაფარეტული სიტყვებით დავუწყეთ დამშვიდება:

— ცოცხალი კაცის ტირილი ვის გაუგია? — შევუძახეთ.

ბატონი ოთარის პალატაშიც შეგვიშვეს.

როდესაც ქალბატონმა გურანდამ დაინახა ბატონი ოთარი სასუნთქ აპარატზე შეერთებული, იატაკზე დაემხო და აბღავლდა.

ძალიან სიმბოლური იყო:

სირანო დე ბერჟერაკი კვდებოდა და როქსანას როლის ორივე შემსრულებელი გულწრფელად დასტიროდა.

როდესაც მეორე დღეს ბატონი გიგა მოვინახულე, მითხრა:

— ლარისა წარმოგიდგენია, მე და ოთარი, ერთად მოვედით ხელოვნებაში და ერთად მივდივართ.

— ეს უფლის ნებაა, ბატონო გიგა. დიდი რეჟისორი ბრძანდებით, მაგრამ ამ შემთხვევაში თქვენი რეჟისორული რჩევა ვერაფერს შეცვლის.

გაეცინა.

ბატონ გიგას სუნთქვა უჭირდა, გონება კი ჩვეულებრივ დიდი იუმორით და სიბრძნით უჭრიდა. ისეთ ამბებს გვიყვებოდა, მიუხედავად იმისა, რომ რეანიმაციული განყოფილება ვიზუალურად ძნელი საცქერია, ჩვენ სიამოვნებით მივდიოდით. ის ხომ თეატრის ცოცხალი ენციკლოპედია იყო.  გვიყვებოდა, თუ როგორ მიაღწიეს წარმატებას ბატონმა ოთარმა და ბატონმა გიგამ.

მართლაც, ამ ორი ადამიანის ტანდემი შემოქმედების ალმავლობის და წარმატების ნიმუშია.

ერთ დღეს, ჩვეულებრივი, მორიგი ვიზიტისას, ცუდი ამბავი დაგვახვედრეს: — ქალბატონ ქეთინოს კენჭის გავლა ჰქონდა და ისიც რეანიმაციაში წევსო.

ბატონი გიგა გამჭოლი მზერით (ისე, როგორც რეპეტიციაზე იცოდა) გვიყურე-

ბდა და გვეკითხებოდა:

— ქეთინო როგორ არის?

— სტაბილურად, — ვპასუხობდი მე.

— ვის ატყუებ შენ! სტაბილურად შეიძლება იყოს მძიმედ და ძალიან მძიმედაც.

— სტაბილურად კარგად, ბატონო გიგა.

ასე გრძელდებოდა რამდენიმე დღე.

— თუ კარგად არის, რატომ არაფერს არ გაბარებთ ან თქვენ ან მედპერსონალს — ეჭვით გვკითხა ბატონმა გიგამ.

მომდევნო დღეებში აიჩემა, თუ კარგად არის, შემოვიდეს და მნახოსო.

პალატის კარი გაიღო, წითელ ხალათში გამოწყობილი ქალბატონი ქეთინო ექთანმა შემოიყვანა.

ამას ვერ მოვყვები, ვერც დავწერ, ეს საკუთარი თვალით უნდა ნახო, რომ დაიჯერო.

უცებ, ბატონ გიგას თვალები, პატარა ცელქი ბიჭივით აუციმციმდა:

— მოხვედი, ჩემო სიცოცხლე?

— მოვედი, ჩემო ლომო.

— როგორც დაჭრილი ლომი, ხომ?

— ლომი ლომია, ჩემო საყვარელო, გინდ დაჭრილი იყოს გინდ მთელი, კურდღელი არასოდეს გახდება.

ქალბატონი ქეთინო მიუახლოვდა, ლოყებზე, შუბლზე, თავზე ეფერებოდა, ბატონი გიგას ხელებს გულში იკრავდა. ეს ისეთი სინაზით და სითბოთი ხდებოდა, რომ ყველანი ვტიროდით, მე ისე ვიყავი აღელვებული, რომ გვიან მოვედი გონს და სურათი მოგვიანებით გადავიღე. ის ფაქტი ვერ დავაფიქსირე, რამაც აგვატირა.

ქალბატონი ქეთინო ჯერ კიდევ სუსტად იყო, თანაც ემოციებით დაიღალა, წამოდგა და საკუთარ პალატაში დაბრუნება გადაწყვიტა.

ბატონმა გიგამ, როგორც პირველ პაემანზე, სთხოვა:

— ქეთინო, ჩემო სიცოცხლე, მაკოცე.

მე ვუყურებდი, არ მინდოდა, მაგრამ გულის სიღრმეში ვგრძნობდი, რომ ეს იყო მათი უკანასკნელი პაემანი.

სამწუხაროდ...

მიუხედავად, ექიმთა არმიისა და მედიცინის მუშაკთა შეუდრეკელი და დაუღალავი ბრძოლისა, მათ ბატონი გიგას ავადმყოფობა ვერ დაამარცხეს.

ჩვენ, ბატონი გიგას სტუდენტები, სასთუმალთან ვედექით, მის უსაყვარლეს ქალიშვილებთან და მეუღლესთან ერთად და ეს დიდი ადამიანი არ გვემეტებოდა... არ გვემეტებოდა... არ გვემეტებოდა...

**ლარისა ხაჭაპურიძე**

**მსახიობი, რეჟისორი**

# ბატონო გიგა!

ჩვენ, რუსთავის თეატრის დამაარსებელთა სახელით დიდი მადლობას გიხდით იმ ბედნიერი დღეების და წლებისათვის, რომელიც 1967 წლიდან, თქვენი თეატრში ყოფნის ბოლო დღემდე, ბედნიერად გაგვატარებინეთ.

დიდი მადლობა, იმ დღესასწაულებისათვის, რომელიც მოსკოვში, ჩვენი თეატ-რის გასტროლების დროს მოგვიწყვეთ!

გამბედავი იყავით!

ათგზის იყო მოსკოვის სამხატვრო თეატრის სცენაზე გორკის „ფსკერზე“ დადგ-მული.

თქვენი გასტროლი ზუსტად სამხატვრო თეატრში დაიწყეთ და „ფსკერით“ გახ-სენით.

თეატრი გადაჭედილი იყო მაყურებლით.

აინტერესებდათ „ფსკერზე“ დადგმის ქართული ვარიანტი.

ზოგიც ეჭვის თვალით იყურებოდა.

დაიწყო სპექტაკლი. არავითარი რეაქცია: არც ხმა ისმის, არც — ტაში. ბატონი გიგა რადიო ჯიხურში, ჯოხზე დაყრდნობილი ელოდებოდა მაყურებლის რეაქციას. შევამჩნიეთ, რომ ღელავდა.

წამოდგა, ულამაზესი, ათლეტური აღნაგობის ვაჟკაცი. სცენაზე იდგა სატინის როლის უბადლო შემსრულებელი, ბატონი ოთარ მეღვინეთუხუცესი და თვალები-დან ნაპერწკლები ცვიოდა. მისი ემოცია დარბაზსაც გადაედო, გაინაბა, ერთმანე-თის გულისცემის ხმაც კი ესმოდათ, აფრთხობდათ, თითქოს სცენაზე მომხდარი სასწაულის აღქმაში მათი ბაგა-ბუგი ხელს უშლიდათ. დარბაზი მოულოდნელის მოლოდინში გაინაბა, თითქოს ყველამ ერთად ჩაისუნთქა და სუნთქვის ხმაც კი აღარ ისმოდა.

დაამთავრა ბატონმა ოთარმა მონოლოგი... და... აი, აქ კი ატყდა ტაში, მაგრამ რა

ტაში, ოვაცია, მაგრამ რა ოვაცია!

გვეგონა, რომ სამხატვრო თეატრი ინგრეოდა. მერე ბატონი გიგა ხუმრობდა:

— რას გადავრჩით, არ გინდოდა ამხელა თეატრის აშენებაო!

ამას მოჰყვა: „სირანო დე ბერჟერაკი“, „ასი წლის შემდეგ“, „საბრალდებო დასკვნა“, „მეფე ლირი“, „მარტოობის დღესასწაული“.

ბატონმა გიგამ ამ სპექტაკლების ნათელი მოქალაქეობრივი პოზიციით, გრძნობისა და აზრის ნამდვილი სინთეზით, თანამედროვეობის შეგრძნებით, სტილისტურად დახვეწილი წიაღსვლებით, ლაკონური სცენური საშუალებებით აჩვენა ახალი თეატრალური ესთეტიკა.

საბჭოთა კავშირის კულტურის მინისტრი ეკატერინე ფურცევა ყველა სპექტაკლს ესწრებოდა. ბატონი გიგას თეატრით და შემოქმედებით აღფრთოვანებულმა თქვა:

— დღეს საბჭოთა კავშირში სამი გამორჩეული თეატრია — მოსკოვის „სოვრემენნიკის“, პანევეჟისის და რუსთავის თეატრი.

და სწორედ აი ასე, თქვენს წინაშე, ჩვენს სინამდვილეში ახასხასდა მთელი პლეადა რუსთავის თეატრის ვარსკვლავებისა; რუსთავის თეატრით ამაყობდით, ვინაიდან, მგონი, ცაზე არ იყო იმდენი ვარსკვლავი, რამდენიც რუსთავის თეატრის სცენაზე.

მაგრამ, ამავე დროს, წუხდით დღევანდელი რუსთავის თეატრის ყოფაზე.

რუსთავის თეატრი იყო თქვენი ბოლო დიდი ტკივილი, იცოდით რა დღეში და რა ყოფაში იყო და ძალიან განიცდიდით.

როდესაც თქვენს სანახავად მოვიდა ქ. რუსთავის მერი, ბატონი ლაშა მინდელი, თქვენი ბოლო სიტყვები იყო:

— ლაშა, რუსთავის თეატრის ჯავრი საფლავში არ გამატანო-ო!

გემშვიდობებით, ჩვენო სამაგალითო და საამაყო ადამიანო, გულისტკივილით ქედს ვიხრით, თქვენი კაცობის, ადამიანობის და რეჟისურის წინაშე.

სამაგალითო პიროვნება, ერთგული მეუღლე, მოსიყვარულე მამა, შვილიშვილების სურვილების ამსრულებელი ბაბუა, სანუკვარი და საამაყო მეგობარი იყავი.

სასუფეველში გელოდებიან რუსთავის თეატრიდან წასული მსახიობები, გელოდებიან, რათა იქაც, ერთხელ კიდევ შესძახონ, მოგესალმონ, ხოლო ჩვენ გაგვახსენონ და არ დავივიწყოთ გასკონელი გვარდიელები: ოთარ მეღვინეთუხუცესი, რეზო ხობუა, გიზო სიხარულიძე, ლერი მიშველაძე, ჯემალ გაგნიძე, თენგიზ დაუშვილი, თენგიზ მაისურაძე, ამირან ბეჟაშვილი, თაზო თოლორაია, ანზორ ლოლუა, გივი ხახიძე, გია ლეჟავა, მალხაზ გორგილაძე, ოთარ სეთურიძე, ლეო ფილფანი.

ხოლო აქ დარჩენილი მსახიობები, მათი მეუღლეები და წასულთა თანამეცხედრეები კი ახლაც და მერეც ძალიან ხშირად მოვალთ თქვენს საფლავზე და ჩამოგძახებთ იმ სიტყვებს, რა დევიზითაც ცხოვრობდით და გვაცხოვრებდით:

ჩვენ გასკონელი გვარდიელები ვართ!

კარბონ, კასტელ, ჟარუსი,

მამაცებს ბრძოლა გვესახელება,
მტრისათვის ტყვია არ დაგველევა
ჩვენი სიმდიდრე ბასრი „სიტყვაა“
და შეურყვნელი სინდის-ნამუსი!

**ჯემალ მაზიაშვილი, კუკური ბექაია, გია ტყეშელაშვილი, ზაალ გამყრელიძე, სპარტაკ კიკნაძე, ნათელა მუხულიშვილი, ლარისა ხაჭაპურიძე, ელისო გუდიაშვილი, გალინა კიკნაძე, თამრიკო კანდელაკი, ეკა ქვრივიშვილი**



# შეუმცდარი ალღო

ბატონი გიგა ლორთქიფანიძე განსაკუთრებული კრიტერიუმებით არჩევდა რუსთავის თეატრში მისაღებ მსახიობებს. ისინი არა მარტო ნიჭით და ფიზიკური მონაცემებით, კაცურობითაც გამორჩეულები უნდა ყოფილიყვნენ.

მახსოვს, როდესაც თეატრში მოვიდა ორმეტრიანი, ულამაზესი ვაჟკაცი გია ტყეშელაშვილი, გამოცდის ჩატარების შემდეგ ბატონმა გიგამ მე, ნოდარ მგალობლიშვილს, სოსო გოგიჩაიშვილს, შოთა სხირტლაძეს, გიზო სიხარულიძეს, ლეო ფილფანს ფული მოგვცა და გვითხრა:

— წადით, პური ჭამეთ და ქეიფში გამოსცადეთ, როგორი კაციაო.

შემდგომშიც, ბატონი გიგა, როდესაც პიესას იღებდა დასადგმელად, იცოდა, რომ კონკრეტული მსახიობის აქტიორული ინდივიდუალობის გათვალისწინებით ყალიბდება რეჟისორული ჩანაფიქრი, მსახიობის შესაძლებლობების გათვალისწინებით ხდება ჩანაფიქრის რეალიზაცია.

მსახიობთა როლზე განაწილების დროს შეუმცდარი ალღო ჰქონდა და მისი სპექტაკლები, ყოველთვის რაღაც უხილავი ეროვნული სურნელით შეზავებული ნიუანსებით იყო სავსე.

**კუკური (ირაკლი) ბექაია**

# სადღეგრძელო

ბატონ გიგას ჰქონდა განსაკუთრებული სადღეგრძელო, რომელსაც განსაკუთრებული სასმისით სვამდა:

— მოდით, აი, ამ ლამაზი აზარფეშით, ყველამ ერთად შევსვათ იმ მაყურებელთა სადღეგრძელო, ვისაც თეატრი, კერძოდ კი რუსთავის თეატრი უყვარს, ხარობენ და ამაყობენ მისი წარმატებით. აბა, ყველამ ერთად! თეატრზე შეყვარებულ ადამიანებს გ-ა-უ-მ-ა-რ-ჯ-ო-ს!

**ზაალ გამყრელიძე**

# გედის სიმღერა

შარშან, 30 ნოემბერს, რუსთავის თეატრს დაარსების 47-ე წელი შეუსრულდა.

საიუბილეო ტორტით დამშვენებული თეატრის დამაარსებელი მსახიობები ამ ფაქტის მთავარ „დამნაშავეს“, თეატრის დამფუძნებელს, ბატონ გიგა ლორთქიფანიძეს სახლში ვეწვიეთ. ბატონი გიგა საწოლიდან ამდგარიყო და ფეხზე ხვდებოდა ამ ღირსშესანიშნავ თარიღს.

გაიხსენა და გაიხსენა ყველა წარმატება, თავისი უჩვეულო იუმორით.

უხაროდა ბატონ გიგას. გვიხაროდა ჩვენც.

ძალიან შემართული იყო.

ჩვენ იმედი მოგვეცა. ვთხოვეთ, ერთხელ კიდევ ჩადგომოდა სათავეში ჩვენს თეატრს და როგორმე ფეხზე წამოეყენებინა ეს ამჟამად დანგრეული თეატრი. ჩვენი სამხატვრო კონსულტანტი გამხდარიყო, სახლში, თავისთან ჩაეტარებინა რეპეტიციები. ხოლო შემდეგ კი ხელში აყვანილს შევიყვანდით თეატრში, რათა ამ

ჩვენს დიდ და საოცრად ნიჭიერ, საინტერესო ხელწერის რეჟისორს, თეატრისათვის სიცოცხლე დაებრუნებინა.

— მეც თქვენთან ერთად ვარ, თქვენს გვერდით მიგულეთ, იქ სადაც ჩემს მშობელს — რუსთავის თეატრს უჭირს, მე ულირსი შვილივით განზე ვერ გავდგები! მე ვიქნები ის ხიდი, რომელზედაც უნდა გაიარო, რომ რუსთავის თეატრმა კვლავ იზეიმოს და იდიადოს.

ქალბატონ გურანდა გაბუნიას, თამარ სხირტლაძეს, ქეთინო კიკნაძეს, თვალებზე ცრემლი მოადგათ. ვხედავდით, რომ მათ თვალწინ ერთ წამში გაიარა მათი წარსულის დიდების დღეებმა.

დიდხანს, ძალიან დიდხანს, საუბრობდნენ ეს დიდი ადამიანები იმაზე, თუ როგორ ეშველათ რუსთავის თეატრისათვის.

საღამო დაგვირგვინდა უზადო და ლამაზად შესრულებული სიმღერით, რომელიც კუკური ბექაიამ დაიწყო... დაიწყო და აჰყვა ბატონი გიგა, აჰყვნენ სხვა მსახიობებიც და მე კიდევ ერთხელ მივხვდი, რა ძალა ჰქონდა ბატონ გიგას, როგორ შეეძლო ყველას ერთად მობილიზება და ერთ ენაზე სიმღერა და ლაპარაკი.

სამწუხაროდ, ეს იყო მისი ბოლო სიმღერა, მის შემდეგ მას სურვილი არ გაჩენია სიმღერის, ამბობდა, სამართალი რომ იზეიმებს თქვენ თეატრში, თქვენს ადგილებზე რომ დაბრუნდებით, მაშინ შემოვძახოთ „მრავალჟამიერი“.

ვერ მოესწრო.

მაგრამ ჩვენ გვჯერა, რომ რუსთავის თეატრი კვლავ აღსდგება, ჩვენ კი, მისი დამაარსებლები, მოვალთ თქვენს საფლავთან და გიმღერებთ იმ სიმღერას, რომელიც თქვენთან ერთად უნდა გვემღერა და ვიმღერებთ კიდეც!

**ელისო გუდიაშვილი**
**მსახიობი**

# სამარადისო სიცოცხლე

მქონდა ბედნიერება, წლების მანძილზე ვყოფილიყავი ბატონ გიგასთან ახლოს სხვადასხვა საზოგადოებრივ საბჭოში საქმიანობით. მისი რექტორობის პერიოდში თეატრისა და კინოს ინსტიტუტში 6 წელი ვიყავი საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე, 15 წელზე მეტი — რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიების კომიტეტში, შემოქმედებითი კავშირების თავმჯდომარეთა საბჭოში და სხვ. ბატონი გიგა არსად, არასდროს არ იყო მეორე. მისი მრავალმხრივი ნიჭი, მოქალაქეობრიობის გამძაფრებული გრძნობა, უკიდეგანო ენერგია, ტემპერამენტი გამორიცხავდა მის მეორეობას.

მის გვერდით ყოფნა არათუ საინტერესო, არამედ უდიდესი სიამოვნების მომგვრელი იყო.

თავს უხერხულ მდგომარეობაში არ ჩავიგდებ და არ შევეცდები ბატონი გიგას შემოქმედების ანალიზს. რაიმე ახალს, რაც არ თქმულა, მაინც ვერ ვიტყვი. მხოლოდ ერთს აღვნიშნავ: ბატონი გიგა ხასიათების, სახეების ძერწვის დიდოსტატია. მან სახეების და ხასიათების მთელი გალერეა შექმნა თეატრში, კინოში. მას ეს „იოლად“ გამოსდიოდა, რადგან თვითონ იყო სახიერი, ხასიათის გრძნობა ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი, დარწმუნებული ვარ, თიხა რომ მიგეტანათ და გეთხოვათ თქვენი პორტრეტის გამოძერწვა, ის ამას გააკეთებდა მისთვის უცნობ ჟანრშიც მოძებნიდა ყველაზე სახასიათოს, განსაკუთრებულს.

ბატონი გიგა იმპროვიზაციის დიდოსტატი იყო. მეგობრებს, ახლობლებს ხშირად მოუსმენიათ მისგან ერთი და იგივე ამბავი, რომელსაც ყოველთვის პირველად მოსმენის ეფექტი ჰქონდა.

ბატონმა გიგამ იცოდა საკუთარი თავის ფასი, ეს მას ანიჭებდა იმ თავისუფლებას, რითაც ის იყო განსაკუთრებული. ვინმეს როდესმე გინახავთ ბატონი გიგა სიტყვების ან სათქმელის ფორმის მაძიებელი? მას ყველაფრის მიმართ ჰქონდა საკუთარი დამოკიდებულება, თავისი სიმართლე, რომელსაც პირადულ, ყოფით უხერხულობებზე მაღლა აყენებდა. ის ბრწყინვალე ორატორი და მოპაექრე იყო, მაგრამ არც მოსმენის ნიჭს იყო მოკლებული. საოცრად ზუსტი იყო, არათუ საქმიან შეკრებაზე, არამედ სუფრაზეც კი არ აგვიანებდა.

არაფერს აკეთებდა სასხვათაშორისოდ. მახსენდება სტუდენტური სპექტაკლების განხილვა თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში. ეს განხილვები ისეთი სიმძაფრითა და პირუთვნელობით მიმდინარეობდა, გეგონებოდათ, სპექტაკლი პრესტიჟულ საერთაშორისო ფესტივალზე უნდა წარედგინათ და საქართველოს ინტერესები უნდა დაეცვა.

ბატონი გიგა გამოკვეთილი ლიდერი იყო. მას ჰქონდა განსაცვიფრებელი ძალა და უნარი ადამიანების ერთი მიზნით გაერთიანებისა, ანთებისა. ამ „ლიდერობის“ განმსაზღვრელი, უპირველესად ყოვლისა, პირადი მაგალითი იყო.

ბატონ გიგას ცხოვრების საკუთარი მანიფესტი ჰქონდა. ამ მანიფესტის საძირკველი საქართველო იყო.

სიკვდილი სიკვდილს კი არა, დავიწყებას მოაქვს. არ დავიწყებას კი თავად ადამიანი მოიპოვებს ცხოვრების წესით, საქმეებით.

ბატონი გიგას სამარადისო სიცოცხლე მისი ნამოღვაწარია.

**ვახტანგ დავითაია**

# ბატონი გიგა...

გიგა ლორთქიფანიძეზე საუბარი ფანტასტიკური რანევსკაიას სიტყვებით უნდა დავიწყო. ის ბრძანებდა, არ ვუყვარვარ რეჟისორებს, მეც მათ არსიყვარულით ვპასუხობ, თუმცა, როცა თეატრში როლებს არ მაძლევენ, ისეთი შეგრძნება მეუფლება, თითქოს პიანისტი ვიყო, რომელსაც ხელები მოკვეთესო... რთულია ეს ურთიერთობები — რეჟისორისა და მსახიობების — სამართებლის პირზე სიარულს ჰგავს, დიდ მოთმინებას, სულგრძელობას, ღირსებას, კაცთმოყვარეობას მოითხოვს... გიგა ლორთქიფანიძეს უყვარდა მსახიობი, იცოდა მისი დაფასება, ეტყობა ეს მის ნამუშევრებს, ოლღა ზებია — მისი რეჟისურით აქვს ნათამაშები სესილიას, ასინეთაც. „მეტეხის ჩრდილშიც“ მისი დადგმულია, რუსთაველის თეატრში, სერგო ზაქარიაძე — მეწაღე შაქროს როლში. რუსთავის თეატრიც მისი დაარსებულია. მის, ოდნავ მივიწყებულ, შესანიშნავ სპექტაკლს გავიხსენებ, პოლიკარპე კაკაბაძის „კახაბერის ხმალს“. თავისი ხედვა ჰქონდა, ჩანაფიქრი, მაგრამ იმავე დროს, დიდ შემოქმედებით თავისუფლებას იძლეოდა, ნდობას უცხადებდა მსახიობს ჰაერივით საჭიროს მისთვის. ალბათ, ამის შედეგია მთავარი თუ არამთავარი როლების ბრწყინვალე გალერეა მისი სპექტაკლებიდან თუ ფილმებიდან. კიდევ, საოცარი გუმანი, ალღო თუ ინტუიცია ჰქონდა ტიპაჟის არჩევისას, თითქმის უტყუარი...

თეატრში არ მოგვიწია შეხვედრა. კინოში — ყოველთვის მეძახდა, ერთხელ უარიც ვუთხარი, ნამეტანი ნამუსგარეცხილი კაცის როლი შემომთავაზა, მე კი უკვე ყელში მქონდა ამოსული უარყოფითი როლების აღსრულება. ის ფილმი უჩემოდ გადაიღო და შემდეგზე დამიძახა. მივედი.

— აბა, ახლა ვინ არის მოსაკლავი, მოსა...ნავი, გასაყიდი-მეთქი.

გულიანად გაიცინა...

— ამჯერად საქართველოო, - მიპასუხა და ჩრდილო კავკასიელი ბეგის როლზე დამამტკიცა „წიგნი ფიცისაში“.

ერთხელ, ვეხუმრე, თქვენი დაღუპული ვარ, 35 წელი, მთელი საქართველო, კიკუ, კიკუს რომ მომძახის-მეთქი.

მე რას მერჩი, ოთარ იოსელიანს მოჰკითხე პასუხი, იმან დაგღუპა „გიორგობისთვეშიო“.

ნიჭიერი კაცი იყო, განათლებული, ჭკვიანი, იუმორითა და წინააღმდეგობებით აღსავსე, მხარში ამომდგომი, სხვისი წარმატებით გამხარებელი, სხვისი კარგის დამნახავი და დამფასებელი. მოღვაწე იყო, საზოგადო მოღვაწე, ახლა ასეთები, თითქმის აღარ არიან...

ერთხელ, სუფრასთან გვიანობამდე შევრჩით, საქართველოზე ვლაპარაკობდით, სიკვდილ-სიცოცხლეზე. სიკვდილი ყველას მიწად გვაქცევსო, თქვა ერთმა,

სიკვდილს თვალიც დადგომია, მთავარია, როგორ იცხოვრებ, რას დატოვებო, განაგრძო მეორემ, ყველა საქართველოს მიწად ვიქცევითო, დაამატა მესამემ, მერე იმ მიწას რომ დაიფიცებენ ჩვენ დანაფიცარის ნაწილი გავხდებითო, დაასრულა არ მახსოვს, ვინ, შეიძლება ბატონმა გიგამაც, ასე ვეძახდი მას ბოლომდე, პატივისცემის დასტურად...

მსუბუქი იყოს მისთვის საქართველოს მიწა...

**გოგი ხარაბაძე**

**გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“. 21 ივნისი, 2013 წელი**

# 86 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი ქართველი რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე

კაცი, რომელიც წუთითაც არ დამორჩილებია ბედს...

ბევრს არ ვიცნობ მისნაირი გაუტეხელი სულის ადამიანს... მიუხედავად იმისა, რომ 11 წლისამ უკვე ცხოვრების უმძიმესი დარტყმა მიიღო — ტრავმის შედეგად ფეხი დაკარგა, წუთითაც არ დამორჩილებია ბედს... სწორედ ისე, როგორც ალბათ, პირველად საავადმყოფოდან გამოსულმა, თავის თავს სძლია და თანატოლთა გვერდით ყოფნა არ შეწყვიტა, მერეც, მთელი სიცოცხლის მანძილზე მტკიცედ იდგა იქ, სადაც სწამდა, რომ უნდა მდგარიყო...

„ძალიან მიჭირს, ძალიან განვიცდი, რომ ჩემი თაობა წავიდა უკვე...“

ერთხელაც ვკითხე: პოლიტიკის სიახლოვეს საერთოდ რა გინდოდათმეთქი... პოლიტიკას ჩემთვის თანამდებობა არ მოუცია და კეთილდღეობა... ჩემთვის ყოველთვის მთავარი იყო საქართველო და მისი კულტურაო... მაგრამ ხასიათს ვერაფერი მოუხერხა, ბავშვობიდანვე მებრძოლი და შემტევი იყო, უსამართლობას უნდა დაპირისპირებოდა... პოლიტიკაში კი უსამართლობა, მოგეხსენებათ, ყოველთვის იყო... მეორე საკითხია, რამდენად იციან ჩვეულებრივმა ადამიანებმა პოლიტიკის დინებები და ქვედინებები, რამდენად გამართლებულია მათგან ამა თუ იმ პოლიტიკოსის დაცვა...

მის ცხოვრებაში ბავშვობისდროინდელმა მოგონებამ ბევრი რამ განსაზღვრა. გიგა ლორთქიფანიძე ასე ჰყვებოდა იმ დრამატულ ეპიზოდს: „1938 წელს, ტრავმის შემდეგ ფეხი მომკვეთეს. საავადმყოფოში ვიწექი. სათუოდ იყო ჩემი საქმე, ეგრეთ წოდებული ჰაეროვანი განგრენა დამემართა. პროფესორი ჭეიშვილი მადგა თავზე. ამ დროს გაიღო კარი და მამაჩემი შემოვიდა. დედა მისკენ გაქანდა: —ახლავე, წადიო. ვაითუ, ვინმეს ეცნო და მთავრობისთვის შეეტყობინებინა. მამა მოვიდა, საწოლზე ჩამოჯდა, საბანი გადამხადა და ამპუტირებულ ფეხზე მაკოცა...

მითხრა: მთავარია, კაცი იყოო! დედამ ძლივს გააგდო. ფანჯრის ახლოს ვიწექი და იქიდან დავინახე, ქუჩაში შავი „ემადინი“ იდგა... მამა ძალით შეტენეს მანქანაში. ათ წუთში ჩეკისტები დაგვადგნენ თავს. დედას ჰკითხეს, — თქვენი მეუღლე იყო აქო? არაო. ერთი მე ჩამომიჯდა.

— ბიჭიკო, მამაშენი იყო აქ? — მკითხა. პროფესორი ჭეიშვილი მიუბრუნდა: —გთხოვთ, ბავშვს თავი დაანებოთ. კრიზისულ მდგომარეობაშია. აქ უცხო არავინ ყოფილაო.

ბოდიში მოიხადეს და წავიდნენ. დედა პროფესორ ჭეიშვილს მივარდა მადლობის გადასახდელად, არავითარი მადლობაო... მაინც დაიტოვა სათქმელი — არაფერი დამინახავსო. ეს იმ დროს გმირობა იყო.“

ჯერ კიდევ პატარას თავისი ავტორიტეტი ჰქონდა თბილისში: „ომის დროა. მარიკა დაბადების დღეზე იყო და შინ გვიან ბრუნდებოდა. დახვდნენ... ყაჩაღობა იყო, პალტოს ხდიდნენ, აბა, ფული ვის ჰქონდა!.. დაიწყო მარიკამ გახდა. უცებ გაიგონა, ერთი ეუბნება მეორეს, — ეს გიგას და არ არისო!? ეტყობა, ან ჩემი კლასელი იყო ან ვილაც ვერელი ბიჭი, რომელიც მიცნობდა. გამოუშვეს. მოვარდა შინ მარიკა — მოგკლავ, ეს რა ხალხში გაქვს საქმეო... არაფერი საქმე არ მქონდა, მაგრამ მიცნობდნენ და რა ვქნა“, — ჰყვებოდა ხალისით...

გიგა ლორთქიფანიძის შემოქმედებაზე საუბარი ალბათ უსასრულოდ შეიძლება... თუმცა, მისი შემოქმედება სათავეს მისივე ცხოვრებიდან იღებს და იმ განცდებით არის გამდიდრებული, რაც სრულიად ახალგაზრდამ თავის თავზე გამოსცადა... „1951 წელი იყო. ინსტიტუტში მქონდა გაკვეთილი. ტელეფონთან დამიძახა ქალბატონმა გოგუცამ — თანამშრომელმა. დედა მირეკავდა: ვახტანგი და თინიკო (ევგენი მიქელაძის შვილები) წაიყვანესო. მაშინ იმ ბავშვებსაც ასახლებდნენ, ვისაც მშობელი დაპატიმრებული ჰყავდა, თან ნათესავები უცხოეთში ცხოვრობდნენ. დედამ მითხრა: — ნავთლუღის სადგურში არიან და რაღაცის მიტანა და გადაცემა შეიძლებაო. ქალბატონი გოგუცა ურთიერთდამხმარე სალაროს განაგებდა. ვთხოვე ფული. 3000 მანეთი გამომიტანა. წავედი ნავთლუღში. ბავშვები სატ-

ვირთო ვაგონებში შეეყარათ. თინა და ვახტანგი ძალიან პატარები იყვნენ. წასაყვანად რომ მისულან, თინას უტირია, — ვერ წამოვალ, საკონტროლო მაქვსო... ვყვირი სახელებს. უცებ საქონლის თავის გამოსაყოფიდან ვახტანგს ვხედავ. მანიშნებს, — ჩუმადო. ხომ არ გაგიჟდა ეს ბავშვი-მეთქი. იმან: ნუ ყვირი, თინიკო ტიროდა და ახლა ჩაეძინაო. უკვე კაცი იყო! მივაწოდე ფული. აილო. ყველაზე შემზარავი ის იყო, რომ ველარ ვუძლებდით ამ საშინელების ყურებას! მატარებელი რომ დაიძრა, ატყდა ყვირილი, ტირილი, ხალხი პალტოებს იხდიდა, ვაგონში ტენიდა... წაიყვანეს ყაზახეთში".

შემთხვევით ხომ არაფერი ხდება ამქვეყნად... არც ის იყო შემთხვევითი, რომ ორმა დიდმა მწერალმა თავისი ნაწარმოებების ხელნაწერები მას წააკითხა: „სასწაული იყო, როცა ჩემმა უბნელმა, ნოდარ დუმბაძემ „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის" (მაშინ „სოფლელი ბიჭი" ერქვა) ხელნაწერი მომცა. მთელი ღამე ვკითხულობდი. ხან ვხარხარებდი, ხან ვტიროდი. ქეთინო ცოლად ახალი მოყვანილი მყავდა. იმან და დედაჩემმა იფიქრეს, გაგიჟდაო... გადავწყვიტე, დამედგა სპექტაკლი. მისი ყველა ნაწარმოები მაქვს დადგმული... ჩემი მწერალი ვიპოვე!

ასევე მომცა ჭაბუა ამირეჯიბმა „დათა თუთაშხიას" ხელნაწერი"...

სპექტაკლმა „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" და კინოფილმმა „დათა თუთაშხია" უდიდესი პოპულარობა მოუტანა...

გიგა ლორთქიფანიძეს არაჩვეულებრივი იუმორის გრძნობა ჰქონდა, ცხოვრება ხუმრობით სამად დაყო: ახალგაზრდობა, შუახანი და „რა კარგად გამოიყურებით", ანუ კიდევ ცოცხალი ხართო... ახლა მესამე ეტაპზე ვარ და ყველა მეუბნება, რა კარგად გამოიყურებიო... არადა, მართლა კარგად გამოიყურებოდა, როგორც გარეგნობით, ისე პროფესიული თვალსაზრისითაც. 80 წლის იუბილეს სამი სპექტაკლით („წათეს წითელი წაღები", „ლამანჩელი", „ქეთო და კოტე") შეხვდა... ასე ძალიან იშვიათად ხდება ხოლმე ცხოვრებაში...

სულით ძლიერი იყო, მაგრამ მას მერე, რაც უამრავი ადამიანი დაკარგა, რაც მეგობრები გარდაიცვალა, გულისტკივილს ვერ მალავდა: — ვზივარ შინ და ვფიქრობ, ვის დავურეკო... ის აღარ არის... ისიც გარდაიცვალა... ასეთ დროს ძალიან მიჭირს, ძალიან განვიცდი, რომ ჩემი თაობა წავიდა უკვეო...

ძალიან სამწუხაროა, რომ ბატონი გიგაც წავიდა... თუმცა, როგორც ერთხელ ბატონმა თამაზ ჭილაძემ ბრძანა, ცხოვრება და ადამიანები კი არ მიდიან, პირიქით, მოდიან და ჩვენთან რჩებიან, როგორც ყველაზე ძვირფასი საუნჯე...

**ლელა ჯიყაშვილი**

**გაზ. „კვირის პალიტრა". 17-23 ივნისი. 2013 წ.**

# ბატონო გიგა, ჩემი ჩანაწერების წიგნში თქვენი ტელეფონის ნომერს არასოდეს წავშლი!

დიდი რეჟისორი, ქართული თეატრისა და კინოს ლეგენდა გიგა ლორთქიფანიძე 2013 წლის 13 მარტს მოვინახულე. ეს იყო ჩემი ბოლო შეხვედრა მეოცე საუკუნის ქართული ხელოვნების დიდოსტატთან. იწვა ფართო საწოლზე, გვერდით ეწყო ტელეფონი, წიგნი, სიგარეტი და საფერფლე. ოთახში შევედი თუ არა, წამოიწია, მომიბოდიშა, ასე არ უნდა გხვდებოდეთო. გამხდარი მეჩვენა ბატონი გიგა, თვალებში სევდაჩამდგარი. გავამხნევე, გამოჯანმრთელდებით და შემდეგ თეატრში შევხვდეთ-მეთქი. თვალები გაუფართოვდა: როდის? ფეხზე ვერ ვდგები, იცით, რამდენჯერ ვცადე?! არაფერი გამოვიდა, ეტყობა, დრო მოვიდა... თეთრებში შემოსილი მხცოვანი რეჟისორი ანტიკური დროის ბრძენკაცს ჰგავდა და მართლაც ბრძენი იყო, რომელმაც, მიუხედავად ავადმყოფობისა, გაიხსენა წარსული, შეაფასა აწმყო და მომავალს თავისი მართალი სიტყვა დაუტოვა: „იცით, რას ვგრძნობ? ორჯერ გავიარე 1937 წელი, ერთი 37-ში, მეორე — ბოლო წლებში. როგორ ვიფიქრებდი, რომ ბავშვობის მძიმე ემოცია სიბერეში ისევ ტვირთად დამაწვებოდა. ფეხზე დგომა რომ შემეძლოს, ახალგაზრდების გვერდით დავდგებოდი, მონაწილეობას მივიღებდი ყველა პროცესში. ვენაცვალე ჩვენს ახალგაზრდობას, როგორ მინდოდა მათთვის ფილმის გადაღება, მინდოდა, მათ გულებში გამეღვივებინა მთვლემარე ეროვნული სიდიადე, მაგრამ ვერ შევძელი, არც ფული მქონდა, აღარც ჯანმრთელობა."

შეკითხვაზე, რა ფილმი უნდა გადაგეღოთ-მეთქი? — მიპასუხა: „ნამდვილი ქართული ფილმი ყაზბეგის ნაწარმოებების მიხედვით. დღეს საქართველოს სწორედ ყაზბეგი სჭირდება, სადაც არის სიყვარული, მეგობრობა და პატრიოტიზმი... წლების წინ მაკა ასათიანს გადავუღე სინჯები, ძიძიას როლზე უნდა დამემტკიცებინა, ვერ აღგიწერთ, რა ანგელოზის სახე ჰქონდა მაკას... გადავიღებდი ჭაბუას „გორა მბორგალს"... ისე მივდივარ, ჩანაფიქრი ვერ გავაცოცხლე".

ენატრებოდა თბილისის ქუჩებში გავლა, „სად ჩაკარგეს ჩემი ბავშვობის მდინარე „ვერა რეჩკა", რომელ მილში მიმალეს — „ტრუბა" იქ გაეკეთები-

ნათ, სადაც საჭირო იყო, ხალხს მტკვარი სახლში რომ არ შევარდნოდა და დედა-შვილი რომ არ წაეღო. მტკივა ეს ყველაფერი და ვერ ვშველი“, — თვალებში ცრემლჩამდგარი საუბრობდა და სახეზე დიდი განცდა ეწერა. მეც ძლივს ვიკავებდი ცრემლს, უფრო სწორად, ვერ ვიკავებდი. ვუსმენდი დიდ პიროვნებას და ვგრძნობდი, რომ ეს იყო მისი ბოლო საგაზეთო შეხვედრა ჩვენს მკითხველთან, ეს იყო დამშვიდობება!

ზუსტ ციტირებას ვახდენ: „ერთი რამ ტრაგიკული, რაც ჩემს გულშია, მხოლოდ ეს არის — ამ ავადმყოფობის გამო ვერ მივდივარ ჩემს დასთან, მარიკასთან და ვერც ის მოდის ჩემთან. ავად იყო, მიხარია, რომ ახლა ცოტა უკეთ გახდა. მაპატიეთ, ამას რომ ვამბობ, მაგრამ მარიკა ჩემთვის ქართველი ქალის იდეალია“, — ამას ამბობდა 86 წლის გიგა ლორთქიფანიძე თავის 91 წლის დაზე — მარიკაზე და იხსენებდა ბავშვობას, როდესაც მარიკას პატარა გიგა ხელჩაკიდებული მიჰყავდა მუსიკის მასწავლებელთან. მათი და-ძმობა მართლაც სამაგალითო იყო, მათი ურთიერთობა — მისაბაძი. ვიცი, რომ ქალბატონ მარიკას თავის ოთახში თქვენი დიდი პორტრეტი უკიდია-მეთქი. გაიღიმა, დედამ ჩაგვინერგა ეს სიყვარულიო...

გიგა ლორთქიფანიძე თეატრალური უნივერსიტეტის რექტორის სავარძელშიც მინახავს, თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის სავარძელშიც, მაშინაც შევხვედრივარ, როდესაც მოზარდ მაყურებელთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გახლდათ — არ იცვლებოდა, იყო პრინციპული, თავისი საქმის უზადო მცოდნე, ორიგინალური ხედვითა და დახვეწილი ესთეტიკით. უყვარდა მსახიობი, თეატრიდან არ გაუთავისუფლებია არც ერთი მათგანი, ამბობდა: თეატრში ყველა მსახიობი საჭიროაო. ქართული თეატრის ისტორიაში გიგა ლორთქიფანიძის სახელი და გვარი ოქროს ასოებით ჩაიწერება, როგორც თეატრის დამაარსებლისა (რუსთავის დრამატული თეატრი) და უკვდავი სპექტაკლების დამდგმელის („სასტუმროს დიასახლისი“, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, „ოიდიპოს მეფე“), ხოლო ქართული კინოს ისტორია თავის საგანძურში ძვირფას მარგალიტად შეინახავს „დათა თუთაშხიას“ და „გამარჯობა ყველას“ („ფიროსმანი“)“. ყველა მსახიობი მადლიერი დატოვა, გარდა ერთისა — თეატრში არ გაათამაშა, არ გაანებივრა — ეს იყო მისი მეუღლე, ქალბატონი ქეთევან კიკნაძე. ნანობდა, ქეთინო უნიჭიერესი მსახიობია, ვერ გამოვიყენე, შეიძლება, თეატრში ვინმეს არ მოსწონებოდა მისი აღმასვლა, ამას მოვერიდეო. ხარობდა მეუღლის ლექსებით, ორი წლის წინათ, როდესაც წყნეთის აგარაკზე ვესტუმრე, წიგნიც მაჩუქა, რამდენიმე ლექსი ხმამაღლა წაიკითხა და თავისი დიდი სიყვარულის შესახებ მიამბო — მიამბო, ერთი ნახვით როგორ შეუყვარდა მასზე

გაცილებით უმცროსი ქალიშვილი, როგორ ჩაიფიქრა მასთან შეუღლება, როგორი ბედნიერი იყო...

ბატონო გიგა, ჩემი ჩანაწერების წიგნში თქვენი ტელეფონის ნომერს არასოდეს წავშლი, არ დამავიწყდება ჩვენი საუბრები და მთელი ცხოვრება ჯილდოდ გამყვება იმ ზარის ხმა, დაბადების დღეზე რომ მომილოცეთ — „ქეთინო არ დამვიწყებია შენი დაბადების დღე, ჩვენ ხომ ტყუპები ვართ, 19 ოქტომბერს დავიბადეთ..."

13 ივნისი თქვენი გარდაცვალების დღეა, უკვდავებაში გადასვლის დღე... მადლიერებით გემშვიდობებით და გჯეროდეთ, რომ ქართველებისთვის ნათქვამი თქვენი ბოლო სიტყვა: „გახსოვდეთ!" დავიწყებას არასოდეს მიეცემა!

„ასავალ-დასავალის" მომდევნო ნომერში, ჩვენს ახალ რუბრიკაში — „გახსოვდეთ" — მომავალ თაობას მიმართავენ სწორედ ის ადამიანები, რომლებმაც თავიანთი ცხოვრებით მოიპოვეს ამ მიმართვის უფლება!

**ქეთევან ხამიცაშვილი**

**გაზ. „ასავალ-დასავალი" 2013 წ. 17-23 ივნისი**



**შვილთაშვილებთან ერთად**

**ქ. თბილისი პაოლო იაშვილის ქ. 7 გიგა ლორთქიფანიძის ოჯახს**

მესხეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი დიდად დაგვამწუხრა ცნობამ უდიდესი რეჟისორისა და მამულიშვილის, ბატონ გიგა ლორთქიფანიძის გარდაცვალების გამო. მიიღეთ ჩვენი გულწრფელი სამძიმარი.

**პატივისცემით თეატრის მმართველი ლია სულუაშვილი**

**ახალციხე**

**ქ. თბილისი პაოლო იაშვილის ქ. 7 ქეთევან კიკნაძეს**

ქართველი ერი საყოველთაო გლოვით ემშვიდობება ქართული თეატრის და კინოს ბრწყინვალე წარმომადგენელს, ჭეშმარიტ მამულიშვილს, ბატონ გიგა ლორთქიფანიძეს. აუნაზღაურებელია ეს დანაკლისი. თანაგიგრძნობთ

**ენვერ ჩაიძე**

**ბათუმი**

თაობა მიდის...

ყოველთვის დიდი სევდა ახლავს თან უფროსი თაობის იმ წარმომადგენელთა წასვლას ამ ქვეყნიდან, ვინც თავიანთი ხელოვნებით ჩვენი ცნობიერების ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშეს. რა არის ქართველთა იდენტობა, ქართული სული და ტრადიციები, რას ნიშნავს იცხოვრო ღირსეულად — სწორედ ამ თემებზე გვაფიქრებდა მუდმივად თავისი შემოქმედებით ბატონი გიგა ლორთქიფანიძე. მისი გმირები კი ყოველთვის მკაფიოდ გვანახებდნენ ჩვენი საზოგადოების განცდებსა და ნაკლოვანებებს... ბოლო დროს მართლაც, მაქვს შეგრძნება, რომ ეპოქა დასრულდა და თითქოს დავობლდით... ძალიან ვწუხვარ, რომ ბატონ გიგა ლორთქიფანიძესთან ერთად ვერ განვახორციელეთ საოპერო დადგმა, რაც მისი დიდი სურვილი იყო ბოლო წლებში...

ვუსამძიმრებ ბატონი გიგას ოჯახს, ქალბატონ მარიკას, ქეთევანს, მის შვილებსა და შვილიშვილებს და მთელს საქართველოს...

**პაატა ბურჭულაძე**

**ТБИЛИССКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ РУССКИЙ ДРАМАТИЧЕСКИЙ ТЕАТР ИМ ГРИБОЕДОВА СВЕНТИЦКОМУ**

ДОРОГИЕ КОЛЛЕГИ ДРУЗЬЯ НЕ СТАЛО ГРИГОРИЯ ДАВИДОВИЧА ЛОРДКИПАНИДЗЕ ВЫДАЮЩЕГОСЯ ГРУЗИНСКОГО РЕЖИССЕРА ТЕАТРА КИНО ЧЕЛОВЕКА КОТОРОГО ЗНАЛИ ЛЮБИЛИ НЕ ТОЛЬКО В ГРУЗИИ НО И В РОССИИ И ДАЛЕКО ЗА ЕЕ ПРЕДЕЛАМИ НЕДАВНО Я ПОЗДРАВЛЯЛ ЕГО С ЮБИЛЕЕМ А Я ТЕПЕРЬ ВЫНУЖДЕН ГОВОРИТЬ СЛОВА ПРОЩАНИЯ ЭТОМУ УНИКАЛЬНОМУ ДЕЯТЕЛЮ ГРУЗИНСКОГО ИСКУССТВА ЕГО ПО ПРАВУ НАЗЫВАЛИ НАЦИОНАЛЬНЫМ ДОСТОЯНИЕМ ГРУЗИИ НА ЕГО СПЕКТАКЛЯХ И ФИЛЬМАХ ВЫРОСЛО НЕСКОЛЬКО ПОКОЛЕНИЙ ЗРИТЕЛЕЙ ПАМЯТЬ О НЕМ НАВСЕГДА СОХРАНИТСЯ В СЕРДЦАХ ВСЕХ ТЕХ КТО ЗНАЛ ЛЮБИЛ ЭТОГО УДИВИТЕЛЬНОГО МАСТЕРА ЧЕЛОВЕКА ВЫСОКОЙ КУЛЬТУРЫ МОЩНЕЙШЕГО ТАЛАНТА СВЕТЛАЯ ПАМЯТЬ И НИЗКИЙ ЕМУ ПОКЛОН

**АЛЕКСАНДР КАЛЯГИН**

**107031 Москва Страстной бульвар 10 Союз театральных деятелей РФ**
**ПРЕСС-СЛУЖБА**
**14.06.13**

Дорогие друзья! Скорбим со всей Грузией уходу из жизни выдающегося режиссёра, театрального деятеля. Были счастливы служить, репетировать в эпоху Гиги Лордкипанидзе!

Выражаем глубочайшие соболезнования близким и друзьям Гиги.

Всегда ваши Светлана, Борис Казинцы. Вашингтон.

**СПЕЦИАЛЬНЫЙ ПРЕДСТАВИТЕЛЬ
ПРЕЗИДЕНТА РОССИЙСКОЙ ФЕДЕРАЦИИ
ПО МЕЖДУНАРОДНОМУ
КУЛЬТУРНОМУ СОТРУДНИЧЕСТВУ**

Старая пл., д. 8/5, под. 3, Москва, 103132,
тел. (495) 606-43-65, факс (495) 606-29-22

«18» июня 2013 г.

№ МШ-192

**О кончине Народного артиста СССР
Г.Д.Лордкипанидзе**

Дорогие друзья,

Позвольте высказать Вам и всем родным и близким замечательного режиссера, Народного артиста СССР и Грузии Григория Давидовича Лордкипанидзе, нашего дорогого Гиги, слова глубочайшего соболезнования.

Мы потеряли великого человека, великого художника, великого грузина! Его творчество дарило и дарит свет и радость многим поколениям зрителей. Он точно знал, что кинематограф и театр – это великое искусство, а не индустрия и привносил в нашу жизнь очень важные смыслы, которые ушли с ним.

Вместе с друзьями и поклонниками таланта Григория Давидовича разделяю Вашу скорбь по этому выдающемуся режиссеру, человеку большого таланта и незаурядной судьбы, чье имя навсегда вписано в летопись мировой культуры.

Ваш,

М.ШВЫДКОЙ

Союз
КИНЕМАТОГРАФИСТОВ
РОССИЙСКОЙ ФЕДЕРАЦИИ

ОБЩЕРОССИЙСКАЯ ОБЩЕСТВЕННАЯ ОРГАНИЗАЦИЯ
123056, Россия, Москва, ул. Васильевская, 13
тел./факс: (499)-251-53-70; e-mail: sk@unikino.ru

№_____________ от «_17_»_июня_2013 г.

Тбилисский государственный
русский драматический театр
им. А.С. Грибоедова

Союз кинематографистов России выражает слова соболезнования родным и близким в связи с кончиной выдающегося советского, грузинского режиссера театра и кино, Народного артиста СССР, лауреата Государственной премии СССР Григория Давидовича Лордкипанидзе.

В наших сердцах он навсегда останется высокопрофессиональным кинематографистом, добрым другом и товарищем.

Правление Союза кинематографистов России

INTERNATIONAL CONFEDERATION
OF THEATRE ASSOCIATIONS
CHEKHOV INTERNATIONAL
THEATRE FESTIVAL

МЕЖДУНАРОДНАЯ КОНФЕДЕРАЦИЯ
ТЕАТРАЛЬНЫХ СОЮЗОВ
МЕЖДУНАРОДНЫЙ ТЕАТРАЛЬНЫЙ
ФЕСТИВАЛЬ ИМЕНИ А.П. ЧЕХОВА

str. 1, 21/1, Leontievsky per., Moscow, 125009,
tel. 629-3785, fax 742-0933

125009, Москва, Леонтьевский пер., д. 21/1, стр. 1
тел. 629-3785, факс 742-0933
E-mail: bureau@cf.mos.ru

*ПАМЯТИ ГРИГОРИЯ ДАВИДОВИЧА ЛОРДКИПАНИДЗЕ*

***ДОРОГИЕ ДРУЗЬЯ!***

*ГЛУБОКО ПОТРЯСЕНЫ ИЗВЕСТИЕМ О КОНЧИНЕ НАШЕГО ДРУГА ГРИГОРИЯ ДАВИДОВИЧА ЛОРДКИПАНИДЗЕ. УШЕЛ ИЗ ЖИЗНИ ЧЕЛОВЕК, ПОСВЯТИВШИЙ СЕБЯ СЛУЖЕНИЮ ТЕАТРУ. ЗАМЕЧАТЕЛЬНЫЙ РЕЖИССЕР, НАРОДНЫЙ АРТИСТ СССР, МНОГО ЛЕТ ВОЗГЛАВЛЯВШИЙ СОЮЗ ТЕАТРАЛЬНЫХ ДЕЯТЕЛЕЙ ГРУЗИИ. НА ЕГО СЧЕТУ МНОЖЕСТВО ЗАМЕЧАТЕЛЬНЫХ РАБОТ В ТЕАТРЕ И КИНО. ПАМЯТЬ О ГРИГОРИИ ДАВИДОВИЧЕ ВСЕГДА БУДЕТ ЖИТЬ В НАШИХ СЕРДЦАХ.*

*ПРОСИМ ПЕРЕДАТЬ НАШИ СОБОЛЕЗНОВАНИЯ РОДНЫМ, БЛИЗКИМ, ДРУЗЬЯМ ГРИГОРИЯ ДАВИДОВИЧА.*

*СКОРБИМ ВМЕСТЕ С ВАМИ.*

*ОТ ИМЕНИ МЕЖДУНАРОДНЫЙ КОНФЕДЕРАЦИЙ ТЕАТРАЛЬНЫХ СОЮЗОВ И ЧЕХОВСКОГО ФЕСТИВАЛЯ*

*ВАЛЕРИЙ ШАДРИН*

ФЕДЕРАЛЬНОЕ ГОСУДАРСТВЕННОЕ БЮДЖЕТНОЕ
УЧРЕЖДЕНИЕ КУЛЬТУРЫ
ГОСУДАРСТВЕННЫЙ АКАДЕМИЧЕСКИЙ
МАЛЫЙ ТЕАТР
ЧЛЕН СОЮЗА ТЕАТРОВ ЕВРОПЫ

Руководству и коллективу Тбилисского русского
драматического театра имени А.С.Грибоедова

Уважаемые коллеги!

Государственный академический Малый театр России вместе с Вами скорбит о кончине народного артиста СССР, лауреата Государственной премии СССР Григория Давидовича Лордкипанидзе. Не стало одного из самых замечательных режиссёров второй половины двадцатого века. Ученик Георгия Товстоногова и Марии Кнебель, однокурсник Анатолия Эфроса, Гига Лордкипанидзе долгие годы являлся связующим звеном между искусством России и Грузии.

Выражаем искренние соболезнования родным и близким Григория Давидовича. Светлая память и вечный покой!

С уважением,

художественный руководитель,
лауреат Государственных премий России,
народный артист СССР — Ю.М.Соломин

125009, Москва, Театральный проезд, д. 1
тел.: (495) 623-26-21, факс: (495) 623-26-21, e-mail: theatre@maly.ru, www.maly.ru

Московский Театр Студия п/р О.Табакова

Государственное бюджетное учреждение культуры города Москвы
**«Московский театр под руководством О. Табакова»**

105062, Москва
ул. Чаплыгина дом 1А, стр.1
телефон: (495) 621-12-71
факс: (495) 621-41-32
e-mail: info@tabakov.ru
www.tabakov.ru

13 июня ушел из жизни выдающийся режиссер, народный артист СССР Григорий Давидович Лордкипанидзе.

Григорий Давидович посвятил театру и кино более шестидесяти лет жизни. Работал директором, художественным руководителем и главным режиссером Тбилисского театра имени Марджанишвили, руководителем Руставского драматического театра и художественным руководителем театра музыкальной комедии имени Абашидзе. Лауреат Государственной премии СССР, Государственной премии Грузинской ССР имени Марджанишвили, Лордкипанидзе в качестве режиссера и сценариста работал над фильмами "Берега", "Здравствуйте все", "Клятвенная запись", «В одном маленьком городе», «Белые флаги», «Ночные звонки», «Боже мой, за что?!» и многими другими.

Это, безусловно, невосполнимая потеря для современного грузинского театра и кино.

Коллектив Московского театра п/р О. Табакова приносит свои глубочайшие соболезнования родным и близким Григория Давидовича.

Художественный руководитель театра
О.П. Табаков

Первый заместитель художественного руководителя –
директор театра
А.С. Стульнев

Департамент культуры города Москвы

Московский театр
**Мастерская П. Фоменко**

121165, [illegible] д 30/32
Тел: +7 (495) 645-33-12, факс: +7 (495) 645-33-13
E-mail: fomenko@theatre.ru
Internet: http://fomenko.theatre.ru/

***Коллеги,***

*скорбим вместе с вами*
*по ушедшему великому режиссеру театра и кино!*

*Своим творчеством Григорий Давидович Лордкипанидзе внес неоценимый вклад в развитие театрального искусства и кинематографа на всем постсоветском пространстве.*

*Его кончина - это большая потеря для мировой культуры!*

*Наши искренние соболезнования родным и близким.*

*«Фоменки»*

**ГБУК г. Москвы**
**«Московский драматический театр**
**им. К.С. Станиславского»**

**125009 Москва, Тверская 23**
**stanislavskydrama.ru**
**+7 495 215 00 67**

**Тбилисский государственный**
**русский драматический**
**театр им. А.С. Грибоедова**

**ГИГА ЛОРДКИПАНИДЗЕ**

С глубокой скорбью встретили мы известие об уходе из жизни выдающегося грузинского режиссёра, народного артиста СССР, лауреата Государственной премии СССР за фильм «Берега», общественного деятеля, нашего друга и коллеги - Григория Давидовича Лордкипанидзе, дорогого Гиги Лордкипанидзе.

Так уходит наша общая великая театральная эпоха, одним из столпов которой он был. Тесными узами Гига Лордкипанидзе был связан с русской и советской культурой. Он был выпускником режиссёрского факультета ГИТИСа, руководимого Алексеем Поповым, он был учеником Георгия Товстоногова и Марии Кнебель, однокурсником Анатолия Эфроса, его близкими друзьями были Олег Ефремов, Михаил Ульянов, Кирилл Лавров… Многие могли бы назвать его своим другом. Он умел дружить. И с каждым его связывали свои, индивидуальные, отношения. Вся театральная Москва обожала его.

До сих пор многие помнят гастроли в Москве руководимого им в конце 60-х годов Руставского театра, его необычные яркие яростные спектакли - «Сирано де Бержерак», «Заря Колхиды», «Через сто лет в берёзовой роще» и целое созвездие блистательных молодых артистов – Отара Мегвинетухуцеси, Ираклия Учанейшвили, Нодара Мгалоблишвили…

Человек широких взглядов, глубоко порядочный и высоко образованный, режиссёр театра и кино, театральный и общественный деятель, мыслитель, педагог, воспитавший не одно поколение актёров и режиссёров, он был вписан в наше время, был его частичкой, его нервом, его выразителем.

Его нет больше с нами.

Скорбим вместе со всеми.

*Художественный руководитель Московского*
*драматического театра им. К.С. Станиславского*
*Народный артист России*
*Валерий Белякович*

*и все «СТАНИСЛАВЦЫ»*

МИНИСТЕРСТВО КУЛЬТУРЫ И ТУРИЗМА УКРАИНЫ
**ОДЕССКИЙ АКАДЕМИЧЕСКИЙ** 1875 **РУССКИЙ ДРАМАТИЧЕСКИЙ ТЕАТР**
УПРАВЛЕНИЕ КУЛЬТУРЫ И ТУРИЗМА ОДЕССКОЙ ОБЛАСТНОЙ ГОСАДМИНИСТРАЦИИ

Украина, 65026, Одесса, ул. Греческая, 48 тел: +38 (048) 722 72 50, факс: +38 (048) 725 66 77 info@rusteatr.odessa.ua www.rusteatr.odessa.ua

**Коллективу**
**Тбилисского государственного**
**русского драматического театра**
**им. А. С. Грибоедова**

Выражаем глубочайшие соболезнования по поводу ухода из жизни выдающегося Мастера, неповторимого Творца, легендарного Режиссёра **ГРИГОРИЯ ДАВИДОВИЧА ЛОРДКИПАНИДЗЕ**.

Его творческие достижения известны далеко за пределами Грузии, его театральные победы отмечены самыми почётными званиями и самыми престижными премиями, Его профессиональный авторитет почитаем во всем мире.

Григорий Лордкипанидзе жил и творил в двух столетиях – двадцатом и двадцать первом. Память о Нём переживёт ещё многие века. Он навсегда останется одним из ярчайших персонажей истории грузинского и мирового театра.

А до тех пор, пока живы мы с вами – он будет жить в каждом нашем сердце.

Вечная память великому Мастеру!

**Коллектив**
**Одесского академического**
**русского драматического театра**

**Директор театра,**
**Заслуженный работник культуры Украины**
**Александр Копайгора**

# უკანასკნელად მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე

გიგა ლორთქიფანიძესთან გამომშვიდობების ცერემონია მისთვის მშობლიურ — კ. მარჯანიშვილის სახ. თეატრში გაიმართა. გამოჩენილ ქართველ მოღვაწესთან გამოსამშვიდობებლად უამრავი ადამიანი მოვიდა. მოდიოდნენ საქართველოს რეგიონებიდან ჩამოსული თეატრალური მოღვაწენი, თუ მისი ნიჭის თაყვანისმცემელნი, პოლიტიკოსები, ხელოვანები, მაყურებლები.

სამგლოვიარო მიტინგი გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, საქართველოს სახალხო არტისტმა **გიორგი ქავთარაძემ**.

**გიორგი ქავთარაძე**: დღეს ჩვენ უკანასკნელ გზაზე ვაცილებთ თავისი ქვეყნის, თავისი პროფესიის, თავისი ოჯახის წინაშე ვალმოხდილ კაცს, ადამიანს, რომელმაც უკომპრომისოდ გაიარა თავისი ცხოვრება. ასეთი ადამიანები იშვიათად იბადებიან. ის ცხოვრების ბოლომდე შეყვარებული იყო თავის ქვეყანაზე, ქართულ თეატრზე. მინდა მადლობა გადავუხადო მას იმისთვისაც, რომ თუ რამეს წარმოვადგენ დღეს, მისი დამსახურებაა. ის სიცოცხლის ბოლო წუთებამდე აქტიურად იყო ჩაბმული თეატრალურ ცხოვრებაში. ყოველი გადაწყვეტილების მიღებისას ვითვალისწინებდით მის აზრს და ვიცოდით მისი ფასი. ქართულ თეატრში ოქროს ასოებით ჩაიწერება მისი სახელი, სახელი იმ ხელოვანისა, რომელმაც დაუვიწყარი თეატრალური და კინოგმირები დაგვიტოვა.

(გ. ქავთარაძემ საზოგადოებას კათოლიკოს-პატრიარქის გამოსათხოვარი წერილი წაუკითხა)

**ნოდარ მგალობლიშვილი**: დიდი წუხილი დაგვატყდა თავს. გუშინ გავიდა 40 დღე ოთარ მეღვინეთუხუცესის გარდაცვალებიდან. როგორც ვხედავთ, დათა თუთაშხიამ გაასწრო ბ-ნ გიგას, რათა იმ ქვეყანაში აღადგინოს კანონიერება, სიმართლე.

ჩემი შემოქმედებითი გზის დასაწყისში მე მომეცა არჩევანის საშუალება, ვისი ხელმძღვანელობით მემუშავა და მე გიგა ლორთქიფანიძე ავირჩიე. მახსოვს ამ დიდი ხელოვანის შეუპოვარი ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების ძლიერ აპარატთან. მას ვერავინ დაუდგა წინ და გახსნა რუსთავის თეატრი. ჩვენ, ახალგაზრდა მსახიობთა დასი, მის გვერდით ვიდექით. მთავრობამ გაიგო, რომ სულ რაღაც ორნახევარი თვის მანძილზე შეიქმნა ორი შესანიშნავი სპექტაკლი. რომ არა ბ-ნი გიგას ნიჭიერება და ბრძოლის უდიდესი უნარი, ამ ბრძოლიდან არაფერი გამოვიდოდა.

ვისაც არ უნახავს, როგორ უკრავდა ბ-ნი გიგა, როგორ მღეროდა, ვინც არ დასწრებია მის რეპეტიციებს, ვერ ჩაწვდება მისი ნიჭიერების საზღვრებს. ასზე მეტი როლია „დათა თუთაშხიაში“ და ვერავინ იტყვის, რომ თუნდაც ერთ მსახიობს არ შეეფერებოდა მისი ეკრანული გმირი.. ჩემთვის პირადად ორი რეჟისორი არსებობდა — დოდო ალექსიძე და გიგა ლორთქიფანიძე. მათ ვუწოდებდი ადამიანორკესტრს, რადგან ისინი ყველა დიდი წამოწყებების მოთავენი, ორატორები, აქტიური თეატრალური მოღვაწეები იყვნენ. თეატრმცოდნეებმა უნდა გააანალიზონ ამ პიროვნებების ფენომენი და მათი რეალური სურათი დაუტოვონ მომავალ თაობას.

ოთარის გამოსათხოვარ სიტყვაში აღვნიშნე, რომ ზოგი კაცი კვდება, ზოგი კი გარდაიცვლება-მეთქი. გიგა ლორთქიფანიძე მუდამ საბრძოლველად იყო შემართული და მუდამ გამარჯვებული ხელოვანი იყო თავისი აქტიური საზოგადოებრივი პოზიციითა და თავისი ნიჭიერებით. ვუსურვებ ჯანმრთელობას ქეთინოს და მთელ ოჯახს.

ბ-ნო გიგა! დაგილოცავთ იმ დიდ გზას, რომელსაც შეუდექით!

**ვასილ კიკნაძე**: დღეს საქართველო უკანასკნელ გზაზე აცილებს დიდ ქართველ რეჟისორსა და საზოგადო მოღვაწეს, რომელიც მთელი თავისი არსებით, პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრებით იყო განსახიერება ქართველი კაცისა. 60 წელი ემსახურა თავისი ცნობიერებით ქართულ თეატრს. ზუსტად 60 წლის წინ დადგა სპექტაკლი „უფსკრულთან“, რომელიც მთავრობამ აკრძალა. მისი პირველი შემოქმედებითი ნაბიჯები დაკავშირებულია მებრძოლ ხელოვნებასთან. მისი მომდევნო სპექტაკლებიც წარმოადგენდნენ ბრძოლას ქართული ცნობიერების დამკვიდრებისათვის.

გიგა ლორთქიფანიძემ მოახდინა ქართული თეატრის დემოკრატიზაცია, როცა ქართულ სცენაზე უნაკლო, დადებითი გმირი ჩვეულებრივი ადამიანით ჩაანაცვლა. მან პირველმა ააჟღერა ნ. დუმბაძის ლიტერატურული გმირები ქართულ სცენაზე.

მხოლოდ „დათა თუთაშხია“ რომ დაედგა, მხოლოდ ამითაც დაიმკვიდრებდა დიდი რეჟისორის სახელს.

გიგა ლორთქიფანიძემ იცოდა დიდი ხელოვანის ფასი. მარჯანიშვილის 100 წლისთავზე მან მხცოვანი მსახიობები: აკაკი ხორავა, აკაკი ვასაძე და ვერიკო ანჯაფარიძე ათამაშა თავის „ღალატში“.

მან შექმნა რუსთავის თეატრი და უბადლო სპექტაკლები „სირანო დე ბერჟერაკი“, „ასი წლის შემდეგ“... მე მჯერა, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ ეს თეატრი მის სახელს ატარებს!

გიგა ლორთქიფანიძე იყო პიროვნება, რომელიც გამოხატავდა ქართული ნიჭი-

ერების მრავალმხრივობას. სანამ იარსებებს ქართული თეატრი, მანამდე იარსებებს მისი სახელი!

**გიორგი ქავთარაძე:** სიტყვას წარმოსთქვამს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი. ბატონო ბიძინა, მინდა გითხრათ, რომ გიგა ლორთქიფანიძის სახით თქვენ ერთგული თანამებრძოლი დაკარგეთ.

**ბიძინა ივანიშვილი**: ღრმა მწუხარებით ვემშვიდობებით უდიდეს ქართველ შემოქმედს, ბ-ნ გიგა ლორთქიფანიძეს. ვუსამძიმრებ მის ოჯახს, მთელ ქართულ საზოგადოებას და განსაკუთრებით მის იმ ნაწილს, რომელიც მონაწილეობდა მის შემოქმედებით წარმატებებში. ჩემთვის, ისევე როგორც ჩემი თაობის სხვა წარმომადგენლებისთვის, ახლობელი და ძვირფასი იყო იგი, როგორც ხელოვანი. სამწუხაროდ, ვერ მოვახერხე ბ-ნი გიგას გაცნობა. როცა ოთარ მეღვინეთუხუცესს ვაცილებდით უკანასკნელ გზაზე, ქ-ნ ქეთევანს შევხვდი და შევთანხმდით, რომ ბ-ნ გიგასაც უნდა შევხვედროდი, მაგრამ ეს ველარ მოხერხდა. ვწუხვარ, რომ საქართველოს ხელოვნებას დააკლდა კიდევ ერთი დიდი მოღვაწე.

**ალექსანდრე (წუკრი) ქანთარია:** გემშვიდობებით, ბ-ნო გიგა! თქვენ იყავით გამორჩეული გამორჩეულთა შორის. თქვენ იყავით დიდი რეჟისორი, ეს ეპითეტი გეკუთვნით ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე. თქვენი სპექტაკლები, ფილმები, თქვენს მიერ შექმნილი რუსთავის თეატრია ამის დასტური. თქვენ ბობოქარი, დაუდეგარი და უპირობო ლიდერი იყავით ყველგან, ყველა წრეში, იყავით უნიჭიერესი კაცი ყველა სფეროში. რასაც ხელს მოკიდებდით, ყველაფერს ისე ბრწყინვალედ აკეთებდით, როგორც თეატრალურ წარმოდგენებს. იყავით დიდი, შესანიშნავი ოჯახის პატრონი და ჭეშმარიტი მოქალაქე.

30 წლის მანძილზე მეც ვიდექი თქვენს გვერდით და დღეს მეამაყება, რომ მიუხედავად ასეთი დიდი და რთული შემოქმედებითი ცხოვრებისა, დაუმარცხებელი მიდიხართ იმ სოფელში, სადაც უკვე ძალიან ბევრი მეგობარი გელოდებათ.

**გიორგი ქავთარაძე**: ბ-ნ გიგას მეგობრები ჰყავდა ყველგან. ერთ-ერთი მათგანი გახლავთ სომხური თეატრის თვალსაჩინო მოღვაწე, ბ-ნი ვაჰე შაჰვერდიანი.

**ვაჰე შაჰვერდიანი**: ძვირფასო გრიგოლ დავითის ძევ! პირველად ვესწრები თქვენს ასეთ პრემიერას, როდესაც მისი მთავარი მოქმედი პირი, თქვენ, აღარ ხართ აქტიური და ცივად გვხვდებით, მაგრამ ჩვენ გვახსოვხართ გასტროლებზე ჩამოსული. ჩვენი თეატრების ავანსცენაზე გამოსული, ყოველთვის გვიჭერდით მხარს სომხური თეატრის წარმომადგენლებს. მადლობა იმ დიდი ყურადღებისათვის, რომელსაც იჩენდით პეტროს ადამიანის სახ. თეატრისადმი, პირადად ჩემდამი. არასდროს დამავიწყდება თქვენი მომართვა: „Ваге, дорогой, где ты." მადლობა იმ დიდი წვლილისათვის, რაც თეატრალურ ხელოვნებაში შეიტანეთ.

მინდა მივუსამძიმრო ქართველ ხალხს, ქართული თეატრის ყველა თაყვანისმცემელს, რადგან დღეს სახელოვანი ქართული თეატრი ემშვიდობება თავის უდიდეს წარმომადგენელს. თავს მდაბლად ვხრი თქვენი ხსოვნის წინაშე.

**გურამ ბათიაშვილი**: დიდი ილია ერთ ასეთ ამბავს გვიამბობს: მეფე გიორგი XII ჭარ-ბელაქანში რომ ჩავიდა, იკითხა თურმე, აქ კარგი ბედაურები გამოჰყავდათ და რა იქნენო. იმ ბედაურებზე ბედაური ქართველები შესხდნენ და გაფრინდნენო.მიუგეს მეფეს.ბატონი გიგა იმ ბედაურზე ამხედრებულ ქართველად მიმაჩნია, რომელიც უკან მობრუნდა — საქართველოში, მობრუნდა ქართული სულიერების დასამკვიდრებლად. სწორედ ქართულ სულიერებაში იღებს სათავეს მისი დუმბაძის, პოლიკარპე კაკაბაძის სცენური სიცოცხლე.

განსაკუთრებული მადლიერებით მინდა გავიხსენო მისი ღვაწლი ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების" არსებობისათვის ბრძოლაში. ბოლო 20 წლის მანძილზე, როდესაც დაიხურა ჟურნალები: „მნათობი", „ცისკარი", „ხელოვნება", „დროშა", საარსებო წყაროებს მოკლებულ თეატრალური საზოგადოების მეთაურს — ბ-ნ გიგას შეეძლო ეთქვა, რომ ჟურნალის შენახვის საშუალება არ ჰქონდა, მაგრამ ბ-ნმა გიგამ შეინარჩუნა ეს ერთადერთი თეატრალური ჟურნალი. რადგან მან კარგად იცოდა ჟურნალის ფასი, რაობა.1950-1990 წლებში ჟურნალს „თეატრალური მოამბე" დაერქვა. ერთხელ ვთხოვე, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ბრძანდებით, ქართული საქმისთვის გამოვიყენოთ ეს მდგომარეობა და დავუბრუნოთ ჟურნალს თავისი სახელი-მეთქი. რამდენიმე დღეში მოგვარდა ეს საკითხი.

25 წელი ვთანამშრომლობდი თქვენთან, ბატონო გიგა, ხშირად დაგიტუქსივართ, მაგრამ სოლომონ ბრძენი ამბობს: ბრძენის დატუქსვა გერჩიოს სულელის სიმღერის მოსმენასო.

ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების" 100 წლის იუბილეზე ღვაწლმოსილმა კრიტიკოსმა, ქალბატონმა ნათელა ურუშაძემ გამოგიცხადათ მადლობა ჟურნალის შენარჩუნებისათვის. დღეს მე გეუბნებით დიდ მადლობას ჩემი და ყველა იმ ავტორის სახელით, რომელიც მონაწილეობს ჟურნალის მუშაობაში.

**გიორგი ქავთარაძე**: ბ-ნ გიგას ყველა თეატრი უყვარდა, მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას სოხუმის თეატრისადმი იჩენდა, რადგან ძლიერ განიცდიდა მის ლტოლვილობას. სიტყვას გადავცემ დიმიტრი ჯაიანს.

**დიმიტრი ჯაიანი**: ღმერთმა ასე ინება, გუშინ დიდუბის პანთეონში კიდევ ერთხელ პატივი მივაგეთ მსოფლიო რანგის მსახიობს, ოთარ მეღვინეთუხუცესს და იქვე იჭრებოდა საფლავი ქართული თეატრის კაცი-ლეგენდისათვის, კაცისათვის, რომელსაც ფარ-ხმალი არასდროს დაუყრია და რომელსაც თავისი დასი

ყოველთვის ედგა გვერდით. ის მეგობრობდა ყველას, ვისთან მეგობრობაც ულირდა, მეგობრობდა აფხაზებთან და პირადად, ბორის ადლეიბასთან. როდესაც ჩვენ „ჩარეცხილები“ გვიწოდეს და მაინც პირველ რიგებში დავრჩით, ეს გიგა ლორთქიფანიძის დამსახურებაა. მაპატიოს მისმა დიდმა სახელმა, რომ ვბედავ და ვესაუბრები და მინდა მას მურმან ლებანიძის ლექსით გამოვემშვიდობო:

**„ქართული ცხვირი, ზედ პენსნე მკაცრი,**
**მართალი შუბლი, წარბი — მერცხლებად,**
**რას არ მოესწრება ქართველი კაცი —**
**შენს სადიდებლად სიტყვა მეძლევა!“**

სადაც ჯოხი აგიწევიათ, ყველგან გითქვამთ თქვენი სიტყვა! ამ ჯოხს წლების მანძილზე უყურებდა მთელი საქართველო, როგორც სამართლიანობისათვის მებრძოლ იარაღს და ის კვლავაც აიწევა!

**გიორგი ქავთარაძე**: დღეს რაც ხდება, ეს მაინც ბედნიერებაა, რადგან ცოტა ხანიც კი ვერ გაძლეს უერთმანეთოდ ოთარმა და გიგამ. მიუხედავად იმისა, რომ უმძიმს გამოსვლა, სიტყვას ვაძლევ გურანდა გაბუნიას.

**გურანდა გაბუნია**: მინდა პირადად გადავუხადო მადლობა ბ-ნ გიგას იმისათვის, რომ ოთარის გასინჯვის შემდეგ როდესაც უთხრეს, რომ სხვა მსახიობი შეერჩია დათა თუთაშხიას როლზე, ასე უპასუხა: „არ იქნება ოთარი, ფილმს არ გადავიღებ“.

დიდი მადლობა, ბ-ნო გიგა, რომ ასეთი სამართლიანი იყავით ყოველთვის. გიყვარდათ თუ არ გიყვარდათ მსახიობი, თუ გჭირდებოდათ როლში, მას მაინც აკავებდით. როდესაც მოსკოვში გასტროლებზე წაიყვანეთ რუსთავის თეატრი, რუსებმა გვითხრეს, თქვენ ჩვენზე უკეთესი სპექტაკლები გქონიათო. თქვენი დამსახურება იყო, რომ ქართულ თეატრს ისინი საბჭოთა კავშირის თეატრების საუკეთესო სამეულში ასახელებდნენ „სოვრემენიკისა“ და პანევეჟისის თეატრების გვერდით.

მე ბედნიერი ვარ, რომ თქვენს გვერდით მომიხდა მოღვაწეობა. დღეს თქვენ ოთარისთან მიდიხართ და უწინდებურად იქნებით გვერდი-გვერდ.

აკაკი ვასაძემ იკითხა გარდაცვალების წინ: „ნეტავი, არის კი იქ თეატრი?“ და თუ მართლა არის, მჯერა, რომ თქვენ და ოთარი იქაც პირველები იქნებით!

**გიორგი ქავთარაძე**: რა არის ქართველთა იდენტობა, რას ნიშნავს, იცხოვრო ღირსეულად — ამაზე გვაფიქრებდა რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე. დასრულდა ერთი ეპოქა ქართული თეატრისა და ჩვენ დავობლდით. შეწყდა სამომავლო გეგმებიც, რომ საოპერო დადგმა განეხორციელებინა პაატა ბურჭულაძესთან ერთად.

**ჯანსუღ ჩარკვიანი**: ყველაზე უფრო ერთი რამ მახსენდება — სუფრასთან ვადღეგრძელე, შენ რეჟისორი კი არა, რეჟისერთი ხარ-მეთქი.

ერთი სიტყვა უყვარდა განსაკუთრებით — „ფანტასტიური“ და თვითონ იყო ფანტასტიური — უდახვეწილესი რაინდი, რომელიც სიყვარულის გზით დადიოდა მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე. ქართული ტირილი ქართულ სიმღერას ჰგავს. დღეს კი მე ის მიხარია, რომ აქ რომ ბრძანდებით, ეს იმის დასტურია, რომ ქართველმა ხალხმა კარგად იცის გიგა ლორთქიფანიძის ფასი. მინდა წაგიკითხოთ ლექსი, რომელიც გიგას მივუძღვენი:

*ებრძოდი გვარით შხამიანს,*
*ნეტაი, ბევრი თუ ხვდება,*
*გრიგალი, ქარიშხალია,*
*შენს გვარს ორივე უხდება*
*მე მსურდა ყანწით შემესვა*
*შენ როცა ზეცად ამაღლდი,*
*გახედე ცისა ფერებსა,*
*გაიხარე და გალაღდი*
*მზის სხივით ნაამბორალი*
*საქმე მარადის საქმეა,*
*შორს მიდის შენი ბორანი*
*ის შორიც, თურმე, აქვეა!*
*ხმალს მარად უნდა ალესვა,*
*რომ გაგახაროს თავიდან,*
*მე იმ კაცს ვუძღვნი ამ ლექსსა,*
*რომელიც უკვე წავიდა!*

**გიორგი ქავთარაძე**: ყველა ზემოჩამოთვლილ ღირსებასთან ერთად გიგა ლორთქიფანიძე დიდი პედაგოგიც იყო. მისი მოწაფეების სახელით მას კახი კავსაძე ემშვიდობება.

**კახი კავსაძე**: თეატრალური ინსტიტუტის მეოთხე კურსზე რომ ვიყავით, ჩვენი აუდიტორიის კარები გაიღო და შემოვიდა ახალგაზრდა კაცი ჯოხით ხელში და ასე მოგვმართა: „მე ვარ გიგა ლორთქიფანიძე და დღეიდან გასწავლით მსახიობის ოსტატობას“. ასე დაიწყო ჩემი შემოქმედებითი ცხოვრების ყველაზე ლამაზი სასწავლო პერიოდი. გადიოდა დრო, დავამთავრე თეატრალური ინსტიტუტი, შევხვდი ცხოვრებაში და მაინც ბატონ გიგას ვეძახდი. ნუ მეძახი ასე ოფიციალურადო, მეუბნებოდა, მაგრამ არ შემიძლია, უნდა ასე დაგიძახო-მეთქი, ვპასუხობდი.

იუმორის უსაზღვრო გრძნობა ჰქონდა. ერთხელ ვუთხარი, არ უნდა დამთავრდეს შენი ნიჭი? არაო, მოთხრა. უსაზღვროდ სიცოცხლისმოყვარე და ხალისიანი იყო.

მინდა მეც ვიკითხო, არის იქ თეატრი? და თუ არ არის, ვიცი, რომ გიგა ლორთქი-

ფანიძე შექმნის მას!

მშვიდობით, გადასარევო, უნიჭიერესო კაცო!

**გიორგი ქავთარაძე**: ვასილ კიკნაძემ გაამჟღავნა სურვილი, მე კი მოგახსენებთ ფაქტს, რომ ამ დღეებში ქ.რუსთავის მერიამ მიიღო გადაწყვეტილება, რუსთავის სახელმწიფო თეატრს ეწოდოს გიგა ლორთქიფანიძის სახელი.

საქართველოში ვარსკვლავთცვენაა! ცხრა დღის შემდეგ თბილისსა და რუსთავში ერთდროულად გაიხსნება გიგა ლორთქიფანიძის ვარსკვლავი.

სამგლოვიარო მიტინგზე წაიკითხეს მ. შვიდკოის, ა. კალიაგინის, ო. ტაბაკოვის და სხვ. სამგლოვიარო დეპეშები.

საქართველო გამოემშვიდობა თავის ამაგდარ ხელოვანს.

**მოამზადა ნინო მაჭავარიანმა**

* * *

საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ერთად გიგა ლორთქიფანიძის გამოსათხოვარ პანაშვიდზე მოვიდნენ: ენერგეტიკის მინისტრი და ვიცე-პრემიერი **კახი კალაძე**, სასჯელაღსრულების მინისტრი **სოზარ სუბარი**, ფინანსთა მინისტრი **ნოდარ ხადური**, კულტურის მინისტრი **გურამ ოდიშარია**, ქალაქ თბილისის მერიის თანამშრომლები **გიგი უგულავას** ხელმძღვანელობით.

გიგა ლორთქიფანიძის ბინაში გამართულ სამოქალაქო პანაშვიდზე პიანისტმა **ლექსო თორაძემ** სამგლოვიარო საფორტეპიანო ნაწარმოებები შეასრულა.

# ოთარ მეღვინეთუხუცესმა დაგვტოვა...



საქართველოს პრემიერ-მინისტრი

The Prime Minister of Georgia

კიდევ ერთი დიდი კაცი გამოგვაკლდა – ოთარ მეღვინეთუხუცესი გარდაიცვალა. თანაგრძნობას გამოვთქვამ და ვუერთდები ქართველი ხალხის მწუხარებას. ძლიერი და ღირსეული, ვაჟკაცური და რომანტიკული – ასეთი იყო ოთარ მეღვინეთუხუცესი და მისი გმირებიც მას ჰგავდნენ.

ოთარ მეღვინეთუხუცესი ჩვენი ეპოქის უდიდესი მსახიობი იყო. თითქმის არ დარჩა არც ერთი უმაღლესი პრემია და ჯილდო, რომლის მფლობელიც იგი არ იყო, მაგრამ მთავარი ჯილდო გაჰყვა თან – ხალხის დიდი სიყვარული.

ყველა მის გმირს ერთი უმთავრესი რამ აერთიანებს – ჭეშმარიტების ძიება და ასეთი იყო თავადაც. მეამაყება, რომ იგი ჩემი უფროსი მეგობარი იყო.

კიდევ ერთხელ, დიდ მწუხარებას გამოვთქვამ ოთარ მეღვინეთუხუცესის გარდაცვალების გამო, სამძიმარს ვუცხადებ ქალბატონ გურანდას, მის ოჯახს და მთელს საქართველოს.

ინგოროყვას ქ.7, თბილისი 0134, საქართველო
ტელ: (955 32) 299 09 00; ვებ: Government.gov.ge

7th, Ingorokva St. Tbilisi 0134, Georgia
Tel: (955 32) 299 09 00; Web: Government.gov.ge

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

0114, თბილისი, მეფე ერეკლე II-ის მოედანი №1
ტელ.:(995 32)2990378, 2989540; ფაქსი:2987114

CATHOLICOS-PATRIARCH
OF ALL GEORGIA

1, King Erekle II sq. Tbilisi, 0114
Tel.:(995 32)2990378,2989540;Fax:2987114

**ბატონ ოთარ მელვინეთუხუცესის ოჯახს**

ოთარ მელვინეთუხუცესმა მარადიული ცხოვრება დაიწყო!

რა თქმა უნდა, გარდაცვალება დიდ მწუხარებასთან არის დაკავშირებული და ეს ასეა ახლაც, მაგრამ ამ შემთხვევაში გულისტკივილი ბატონ ოთართან მხოლოდ დროებითი განშორების წუხილიდან მომდინარეობს.

იგი იყო და არის ჩვენს დროში ერთეულებად შემორჩენილ ავტორიტეტთა შორის გამორჩეული პიროვნება, ქვეყნის ერთგული შვილი, ღირსეული მოქალაქე, რომელიც დიდად დააკლდა საქართველოს.

აღვავლენთ ლოცვებს ბატონი ოთარის უკვდავი სულისათვის, რათა უფალმან სავანესა მართალთასა დააწესოს იგი, ხოლო თქვენ მოგანიჭოთ მხნეობა სულისა.

პატივისცემით,

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი**

10 მაისი, 2013 წელი

**ჩემო გურანდა, მარიამ!**

**დიდი გულისტკივილით შევიტყვე ოთარის გარდაცვალების შესახებ. ჩვენ ყველამ დავკარგეთ არა მარტო დიდი ხელოვანი, შეუდარებელი მსახიობი, არამედ უკეთილშობილესი ადამიანი. ჩემთვის ის გახლდათ თანამოაზრეც და მეგობარიც. ჩემთვის ცნობილია, როგორია ერთგული მეუღლის დაკარგვის განცდა.**

**ძალიან ვწუხვარ, რომ ჩემი ჯანმრთელობის მდგომარეობა არ მაძლევს მასთან გამოთხოვების საშუალებას. კიდევ ერთხელ მიიღეთ ჩემი სამძიმარი.**

**თქვენი ედუარდ შევარდნაძე**
**თბილისი. 11 მაისი, 2013 წელი**




ყველაფერს წარმოვიდგენდი, მაგრამ ბატონ ოთარს თუ სიკვდილი მოერეოდა, ვერასდროს — ამ დიდ ადამიანს, ენერგიით სავსეს, დიდებულ არტისტს.

ერთი წლის წინ ხომ მისი იუბილე იზეიმა ქართველმა ხალხმა. დასანანია, სიტყვები არ მყოფნის იმ ადამიანზე სასაუბროდ, რომელმაც ჩემს ცნობიერებაში, ყველა ქართველის ცნობიერებაში დიდი კვალი დატოვა.

ბატონი ოთარი ყველასგან გამოირჩეოდა თავისი არაჩვეულებრივი გარეგნობით, ვაჟკაცური იერით, ღმერთისგან ბოძებული ნიჭით. როგორი ტკბილია და მწარე ეს ცხოვრება, მწარე ხდება მაშინ, როდესაც შენს საყვარელ ადამიანს სამუდამოდ ემშვიდობები.

მწარე ხდება მაშინ, როდესაც ის ვარსკვლავი, რომელსაც ყველა ვეთაყვანებოდით, უეცრად ჩაქრა, გაქრა, მაგრამ ალბათ დროებით, ალბათ, იმიტომ, რომ ღრუბლები გადაეფარა, თორემ ასეთი ვარსკვლავები არასოდეს ქრებიან, ისინი სამარადისო ადგილს იკავებენ ჩვენს პლანეტაზე და ზეციდან გვახსენებენ თავს.

თქვენი ვარსკვლავი ყოველთვის იკაშკაშებს, ბატონო ოთარ, თქვენს მიერ შესრულებული თეატრალური, თუ კინო როლებით, რომლებსაც თქვენი დავიწყების უფლებას არავის მისცემენ. ისინი თაობებს გადაეცემა და კიდევ ბევრი თაობა იამაყებს, რომ ქართულ ხელოვნებას ჰყავდა თქვენნაირი ბუმბერაზი მსახიობი, მე კი ვამაყობ იმით, რომ ჩემი ცხოვრების გარკვეული წლები თქვენთან ერთად გავატარე მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე. მთელი ცხოვრება გამყვე-

ბა თქვენი არყოფნით დატოვებული ტკივილი.

იძინეთ მშვიდად, ჩემო დიდო ტკივილო, ბატონო ოთარ! უფალმა გაგინათოთ მარადიული სასუფეველი.

ვუსამძიმრებ თქვენს ოჯახს, ქალბატონ გურანდას და მთელ ქართველ ხალხს.

**რეზო ჩხიკვიშვილი**

**ქ. თბილისი მარჯანიშვილის ქ. 8 მარჯანიშვილის თეატრი**

ქალაქ ბათუმის დრამატული თეატრი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს დიდი ქართველი მსახიობის, ბატონ ოთარ მეღვინეთუხუცესის გარდაცვალების გამო და დიდ სამძიმარს უცხადებს გარდაცვალებულის ოჯახს, თეატრს.

ბატონი ოთარის გარდაცვალება უდიდესი დანაკლისია არა მარტო ქართული თეატრისთვის, არამედ თანამედროვე ქართული კულტურისთვის ქართველი ხალხისათვის.

**ბათუმის დრამატული თეატრი**

**ქუთაისი**

თბილისი მარჯანიშვილის ქუჩა 8 კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრს

ქუთაისის იაკობ გოგებაშვილის სახელობის თოჯინების სახელმწიფო თეატრი დიდ მწუხარებას გამოთქვამს და თანაგრძნობას უცხადებს კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახ-



**ეკატერინე ხვედელიძე, გურანდა გაბუნია, ბიძინა ივანიშვილი და ოთარ მეღვინეთუხუცესი**

# ოთარ მეღვინეთუხუცესის ბოლო როლი



სცენა სპექტაკლიდან „მემუარები“
პიტუ — ოთარ მეღვინეთუხუცესი
სარა ბერნარი — გურანდა გაბუნია

ელმწიფო თეატრსა და თეატრალურ საზოგადოებას საქართველოს სახალხო არტისტის, ოთარ მეღვინეთუხუცესის გარდაცვალების გამო.

**ქ. თბილისი, მარჯანიშვილის თეატრის კოლექტივს, ქალბატონ გურანდა გაბუნიას**

მესხეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი შეგვძრა დიდად სამწუხარო ცნობამ ქართული თეატრის კორიფეს, განუმეორებელი ოთარ მეღვინეთუხუცესის გარდაცვალების შესახებ. მიიღეთ თქვენ და ქალბატონმა გურანდამ ჩვენი თეატრის მთელი კოლექტივის სამძიმარი ამ აუნაზღაურებელი დანაკლისის გამო. — მესხეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის სახელით

**ლია სულუაშვილი**

**თბილისი, მარჯანიშვილის ქუჩა 8, მარჯანიშვილის თეატრი**

ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრი უსამძიმრებს მთელ ქართულ თეატრს დიდი კორიფეს, ოთარ მეღვინეთუხუცესის გარდაცვალების გამო.

**ოზურგეთის თეატრის მმართველი**
**ზაზა ჯინჭარაძე**

ვაჟა-ფშაველას სახელობის თელავის სახელმწიფო თეატრი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ქართული კინოსა და თეატრის ლეგენდარული მსახიობის საქართველოს სახალხო არტისტის, ჭეშმარიტად კაშკაშა სასცენო ვარსკვლავის, ბატონი ოთარ მეღვინეთუხუცესის გარდაცვალების გამო.

**თბილისი, მარჯანიშვილის თეატრი, გურანდა გაბუნიას, ბაჩულა მეღვინეთუხუცესს**

ძალიან ვწუხვარ ქართული აქტიორული სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენლის, ბატონი ოთარის გარდაცვალების გამო. მისი ელვარე ნიჭიერებით გამოძერწილი უამრავი სახე განსაკუთრებით, გიორგი მეფე ჩემი მეხსიერებიდან არასოდეს წაიშლება.

**პატივისცემით**
**გიული ლორთქიფანიძე**

## მიხეილ სააკაშვილი ოთარ მეღვინეთუხუცესის ოჯახს უსამძიმრებს

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ოთარ მეღვინეთუხუცესის გარდაცვალების გამო მწუხარებას გამოთქვამს. პრეზიდენტის სამძიმრის წერილი მისი „ფეისბუქის" ოფიციალურ გვერდზე გავრცელდა.

„ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ უბადლო მსახიობისა და საქართველოს სახალხო არტისტის ოთარ მეღვინეთუხუცესის გარდაცვალების გამო.

ქართველმა მაყურებელმა ბატონი ოთარის მიერ ეკრანსა თუ სცენაზე გაცოცხლებული არაერთი პერსონაჟი სამუდამოდ შეიყვარა. მისი შემოქმედებითი ღვაწლი მრავალი პრემიით არის აღნიშნული, მათ შორისაა რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო პრემიები, ასევე ტოკიოს VI-ე საერთაშორისო კინოფესტივალის პრემია „მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისათვის".

კიდევ ერთხელ ვუსამძიმრებ ბატონი ოთარის ოჯახსა და ახლობლებს და ვიზიარებ მისი გარდაცვალებით გამოწვეულ მწუხარებას",- აღნიშნულია პრეზიდენტის სამძიმრის წერილში.



**ელიოზი**

**კინოფილმი**

**„ნატვრის ხე"**

# Скончался грузинский актер Отар Мегвинетухуцеси

**ТБИЛИСИ, 9 мая — РИА Новости. Народный артист Грузии и СССР Отар Мегвинетухуцеси, получивший широкую известность благодаря роли в экранизации романа «Дата Туташхиа», в четверг скончался в Тбилиси на 82 году жизни после долгой болезни, сообщает агентство «Новости-Грузия».**

В четверг у дома Мегвинетухуцеси на проспекте Агмашенебели собрались его родственники, друзья, коллеги. «Случилось то, что невозможно было представить, абсолютно неожиданное для меня и всего театрального мира. Он был настоящим фанатиком театра, кроме театра у него ничего не было в жизни. Я счастлив, что мне несколько раз пришлось работать с ним на сцене. Он играл до последней минуты», — заявил режиссер Леван Цуладзе.

Известно, что актер будет похоронен в воскресенье в Дидубийском пантеоне писателей и общественных деятелей в Тбилиси.

«Это большая потеря для всей страны. По согласованию с семьей было решено провести похороны в воскресенье, 12 мая. Завтра и послезавтра, то есть в пятницу и субботу, будет панихида в квартире погибшего на площади Марджанишвили. Вечером в субботу, в 08.00, мы перенесем его в театр им. Марджанишвили, и 12 мая у грузинского общества будет возможность попрощаться с актером уже на сцене театра», — заявил глава службы социального обслуживания и культуры тбилисской мэрии Мамука Кацарава.

Мегвинетухуцеси родился 16 января 1932 года в Тифлисе. Стал известен благодаря ролям в фильмах «Фатима», «Мольба», «Похищение луны», «Дерево желания», «Добрые люди», «Солнце осени», «Десница великого мастера», «Ожерелье для моей любимой», а также во многих театральных постановках. Он был Народным артистом СССР (1979), заслуженным артистом Грузинской ССР (1965), лауреатом государственной премии Грузинской ССР им. К. Марджанишвили (1977 — за театральную работу), государственной премии СССР (1981 — за роль Даты Туташхиа в ТВ-фильме «Берега»).

თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალური საბავშვო თეატრი

Тбилисский Государственный Центральный Детский Театр Имени Нодара Думбадзе

Nodar Dumbadze Tbilisi State Central Children's Theatre

ქართული თეატრის დიდი ტრაგიკოსი შეუერთდა კორიფეთა სახელებს. მის გვერდით მყოფთ შესაძლოა გვეუხერხულებოდაკიდეც ამის აღიარება, მაგრამ დღეს ცხადი ხდება რომ ბატონი ოთარი იმ რანგის კორიფე გახლდათ, რომელთა ნიჭსა თუ შემოქმედებით უნარზე თაობები უნდა აღზარდო. თვალცრემლიანი ვიხსენებ მასთან გატარებულ დღეებს, სპექტაკლებს, შარშან გამართულ იუბილეს და რა სამწუხაროა რომ ეს ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. ვწუხვარ, უკანასკნელ გზაზე შემოქმედებითი მივლინების გამო ვერ ვაცილებ დიდ მსახიობს, კორიფეს... ქართული ჯიშის, გენის, ნიჭიერების სიმბოლოს... ვუსამძიმრებ ქალბატონ გურანდას, მარიამს, მარჯანიშვილის თეატრს, მთელ ქართულ თეატრს და უპირველესად ქართველ მაყურებელს, რომელიც ბატონ ოთარს შემოქმედებითი ცხოვრების ნებისმიერ მონაკვეთში აღიარებდა, უყვარდა, ელოდა... მოკრძალებითა და ღრმა მწუხარებით მოზარდ მაყურებელთა თეატრის სახელით დიმიტრი ხვთისიაშვილი - ედინბურგი, შოტლანდია



ოთარ მეღვინეთუხუცესი, ბიძინა ივანიშვილი, გივი ბერიკაშვილი, კახი კავსაძე

ს.ს.ი.პ.. ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის
სახელმწიფო დრამატული
თ ე ა ტ რ ი

საქართველო, ზუგდიდი, თეატრის ქ. №2
ტელ: 595 41 27 97

Zugdidi National
Drama Theatre after
Shalva Dadiani

Georgia, Zugdidi, Theatre str. №2
Tel: 595 41 27 97

№ 2/40

11 მაისი 2013 წელი

ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ დიდი ქართველი მსახიობის ოთარ მეღვინეთუხუცესის გარდაცვალების გამო. გითანაგრძნობთ თქვენ და სრულიად საქართველოს.

ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი



კინოფილმი „დათა თუთაშხია“

0102 ГРУЗИЯ ТБИЛИСИ УЛ. МАРДЖАНИШВИЛИ 8
ТЕАТР ИМЕНИ КОТЭ МАРДЖАНИШВИЛИ

ДОРОГИЕ КОЛЛЕГИ УВАЖАЕМЫЕ ДРУЗЬЯ НЕ СТАЛО ОТАРА ВАХТАНГОВИЧА МЕГВИНЕТУХУЦЕСИ БЛИСТАТЕЛЬНОГО ГРУЗИНСКОГО АРТИСТА АКТЕРА МИЛОСТЬЮ БОЖЬЕЙ ЕГО ЗНАЛА ОБОЖАЛА ВСЯ ГРУЗИЯ ОН БЫЛ ПОИСТИНЕ НАРОДНЫМ АРТИСТОМ ЕГО ЛЮБИЛИ ЦЕНИЛИ КОЛЛЕГИ НЕ ТОЛЬКО ТБИЛИСИ НО В РОССИИ И ДАЛЕКО ЗА ЕЕ ПРЕДЕЛАМИ ВСЮ СВОЮ ЖИЗНЬ ОТАР ВАХТАНГОВИЧ ОТДАЛ СЛУЖЕНИЮ ГРУЗИНСКОМУ ТЕАТРУ НАЦИОНАЛЬНОЙ КУЛЬТУРЕ ЛЮБИМОЙ ПРОФЕССИИ БОЛЕЕ ПОЛУВЕКА ОН БЫЛ ПРЕДАН СЦЕНЕ РОДНОГО ТЕАТРА ИМЕНИ МАРДЖАНИШВИЛИ В КОТОРОМ НАЧАЛ СВОЙ ТВОРЧЕСКИЙ ПУТЬ СРАЗУ ПО ОКОНЧАНИЮ ТЕАТРАЛЬНОГО ИНСТИТУТА ТЕАТРАЛЬНАЯ МОСКВА ПОМНИТ ЕГО НЕСОМНЕННЫЙ ТВОРЧЕСКИЙ УСПЕХ НА ПРОСЛАВЛЕННОЙ СЦЕНЕ МХТ ИМЕНИ ЧЕХОВА РОЛИ КРЕОНА МИЛЛИОНЫ ЗРИТЕЛЕЙ УЗНАЛИ И НАВСЕГДА ЗАПОМНИЛИ ЕГО ПО ЗАМЕЧАТЕЛЬНЫМ КИНОРОЛЯМ КОГДА УХОДЯТ АКТЕРЫ ТАКОГО МАСШТАБА КАК ОТАР ВАХТАНГОВИЧ МЫ ПРЕКРАСНО ПОНИМАЕМ ЧТО ИХ НИКТО НЕ СМОЖЕТ ЗАМЕНИТЬ НО МЫ БЛАГОДАРИМ СУДЬБУ ЗА ТО ЧТО ОН БЫЛ И ЗА ВСЕ ЧТО СДЕЛАЛ ДЛЯ РАЗВИТИЯ ОТЕЧЕСТВЕННОЙ НАЦИОНАЛЬНОЙ КУЛЬТУРЫ И ЭТО ПОИСТИНЕ НЕОЦЕНИМЫЙ ДАР Я ВЫРАЖАЮ СВОИ САМЫЕ ИСКРЕННИЕ СОБОЛЕЗНОВАНИЯ СЕМЬЕ РОДНЫМ БЛИЗКИМ ОТАРА ВАХТАНГОВИЧА МЕГВИНЕТУХУЦЕСИ Я ЗНАЮ КАК ВАМ ТЯЖЕЛО СЕЙЧАС БУДЬТЕ МУЖЕСТВЕННЫ ТЕРПЕНИЯ ВАМ ЕЩЕ РАЗ ТЕРПЕНИЯ

АЛЕКСАНДР КАЛЯГИН


სცენა სპექტაკლიდან „ანტიგონე“

საერთაშორისო
კულტურულ-საგანმანათლებლო
კავშირი "რუსული კლუბი"
საქართველო, 0105 თბილისი, რუსთაველის გამზ. 2

International
Cultural-Enlightening
union "Russian Club"
2, RUSTAVELI AVE, TBILISI, 0105, GEORGIA

**МЕЖДУНАРОДНЫЙ КУЛЬТУРНО-ПРОСВЕТИТЕЛЬСКИЙ СОЮЗ "РУССКИЙ КЛУБ"**
ГРУЗИЯ 0105, ТБИЛИСИ, ПР. РУСТАВЕЛИ 2.
E-mail: rusculture@mail.ru

№__________ Tel/Fax: (995 32) 93 43 36

10 мая 2013г

От нас ушел незаменимый…

Великий артист, верный друг, настоящий гражданин. Единственный в своем роде и на все времена.

Скорбью и болью наполнены наши сердца, и нам нечем утешить друг друга.

Мы прощаемся с любимым человеком.

Для того, чтобы тебя полюбили, надо любить самому. Отар Мегвинетухуцеси всегда выходил к зрителю с любовью. И творил волшебство. Его дар не нуждался в переводе, поэтому он получил премию Станиславского в России, приз за лучшую мужскую роль - в Японии, премию Руставели — в Грузии.

Его не просто любили. Им гордились.

Человек огромного светлого дара и большого умного сердца, он во времена бед и искушений, в век барыша сохранил безупречную репутацию и был камертоном совести нации. У него учились не только как играть, но и как жить.

Слухи никогда не кружили вокруг него - за ним шла только слава.

Он стал легендой при жизни, и нам казалось, что он будет с нами вечно. Мы ошиблись. Но в то же время мы оказались правы. Отар Мегвинетухуцеси ушел навсегда. Но он ушел в бессмертие.

Вечная память!

**Международный культурно-просветительский**
**Союз «Русский клуб»**

**Тбилисский государственный академический**
**русский драматический театр им. А.С.Грибоедова**

Дорогие друзья!

В эту тяжелую минуту Российский академический Большой драматический
театр имени Георгия Товстоногова глубоко скорбит вместе с вами, вместе со всей Грузией в связи с кончиной выдающегося актера, редкой души
человека ОТАРА ВАХТАНГОВИЧА МЕГВИНЕТУХУЦЕСИ.
Это огромная потеря для грузинской и русской культуры.
Каждая роль Отара Мегвинетухуцеси становилась событием, откровением,
особым художественным миром, потрясавшим нас до глубины души.
Он обладал уникальным талантом и даром проникновения в художественный образ. Он талантливо не только играл, но и жил, умея любить и дружить.
Выражаем искренние соболезнования семье, родным, близким, коллегам,друзьям незабвенного Отара Мегвинетухуцеси.
Светлая память о нем будт всегда жить в наших любящих сердцах.

Художественный руководитель БДТ имени Г.А.Товстоногова Андрей Могучий
Алиса Фрейндлих
Олег Басилашвили
Валерий Ивченко
Людмила Макарова
Зинаида Шарко
Светлана Крючкова
Нина Усатова
Елена Попова
Геннадий Богачев
Леонид Неведомский
Георгий Штиль

Эдуард Кочергин
Ирина Шимбаревич и весь коллектив театра.

Умер Отари Мегвинетухуцеси. Царствие ему небесное.

Он его заслужил.

Сил, мужества и терпения Гуранде Габуния, его жене, их детям - пережить потерю.

В годы социализма в Грузии прославился многосерийный телефильм "Берега", где Отари сыграл центральную роль. Я его знал и по этой работе, и по театру, и очень любил. И это правильное, точно соответствующее слово. Любил. Любил как человеческое создание. Он был очень красив. Не красотой Роберта Тейлора, не интеллигентностью Генри Фонда, не немыслимым изяществом Николая Мордвинова, но той внутренней совершенной красотой человека, какую Господь Бог в мир приводит.

Он не был актером какого-то конкретного амплуа. Иногда говорят об артистах: "этот не играет, он на сцене живет". Не думаю, что это применимо к Отари. Тут лучше к Шекспиру обратиться: "Он человеком был в полном смысле слова". В какой-то момент своей жизни Отари взял на себя театр, а я, будучи актером по профессии, знаю, что это такое, когда артист берет на себя эту ношу.

Когда появилась возможность пригласить Отари в Художественный театр, я это сделал, будучи человеком заинтересованным и корыстным. И в этом спектакле по "Антигоне" Жана Ануя Мегвинетухуцеси играл, на мой взгляд, значимо, человечески, непривычно глубоко для театра вместе с не чужой для меня актрисой Мариной Зудиной. Спектакль шел успешно несколько лет, и эти театральные сезоны пришлись на самые критические годы во взаимоотношениях двух наших государств. И мы не делали ничего последовательно - не укрепляли дружбу Грузии и России намеренно, специально. Мы занимались своей профессией, и дружба сама каким-то образом укреплялась в зрительном зале, где шел спектакль о современной войне. Режиссер Темур Чхеидзе был в этой "Антигоне" на высоте.

У Отари осталась жена - актриса Гуранда Габуния. Это редкий пример погруженности в любимого человека. Гуранда думала о нем, заботилась, оберегала его. Слова вроде все банальные, но я не могу смириться с тем, что его нет. Многое Отари не сыграл, но это не только его судьба актерская. В моей жизни я встречал много актеров, судьба которых вызывала это ощущение саднящей, обидной несправедливости. Ну сколько же "не вынули из себя" Фаина Раневская, Николай Плотников. Судьба распорядилась довольно не справедливо. Остается боль.

Среди жителей красивой сердечной Грузии Отари был для меня одним из первых. Невозможно было не любить этого человека, как невозможно не любить эту страну. Быть может, я говорю так потому, что я приехал туда впервые довольно рано. И та любовь, ласка и заботливое внимание, которым окружили нас, молодую и тогда не сильно известную труппу "Современника", были невероятными.

Скажу еще раз: "Он человеком был. Человек в полном смысле слова".

Олег Табаков.
"Российская газета" - 11.05.2013

**Администрации Тбилисского
грузинского академического
драматического театра
им. К.А. Марджанишвили,
родным и близким
ОТАРА ВАХТАНГОВИЧА
МЕГВИНЕТУХУЦЕСИ**

**Дорогие друзья! Мы, бывшие актеры, режиссеры и сотрудники Тбилисского государственного академического русского драматического театра им. А.С. Грибоедова и других театров, а также наши близкие, родные и друзья, проживающие и работающие в настоящее время в разных странах, сегодня глубоко скорбим вместе с вами в связи с кончиной величайшего актера современности, удивительного и прекрасного человека – Отара Мегвинетухуцеси. То великое искусство, которое он подарил сцене, кино и телевидению, навсегда останется с нами, став отныне великим достоянием культуры. А мы всегда будем вспоминать его, как близкого и родного человека. Сегодня мы далеко от вас, но мысленно мы вместе с вами провожаем в последний путь нашего дорогого Отара.
Пусть земля ему будет пухом. С богом!**

**Народная артистка Грузии Елена Килосанидзе, заслуженная артистка Грузии Лариса Крылова, Народный артист Грузии и России Ефим Байковский, актрисы Надежда Макарова и Лариса Некипелова, заслуженная артистка России Светлана Головина, актер Владимир Сёмин, композитор Александр Раквиашвили, актеры Татьяна Ельчанинова, Анатолий Смиранин, Татьяна Загребельная, Ирина Подкопаева, актер и режиссер Игорь Пилиев, Майя Кобахидзе, актриса Елена Чарквиани (все - Москва), Ирина Сташевская (Минск), актер Александр Топурия, Юрий Светлый (Гевенян), актриса Инна Савронская, актер и режиссер Гарри Параджанов, актрисы Елена Пискунова, Марина Николаева, режиссер, журналист, драматург Ника Квижинадзе, актриса Татьяна Иванова (все - Москва), актриса Земфира Бокоева (Горький), заслуженные артисты Грузии Волемир Грузец и Тамара Соловьёва (Калининград), Народный артист Грузии Борис Казинец и Светлана Казинец (Вашингтон, США), актер, режиссер, поэт, писатель, драматург Юрий Юрченко (Париж), актриса Замира Григорьян и Алексей Батиашвили (Лондон), актер Роман Пахлеванянц (Чикаго,), Зинаида Талоева (Вашингтон), Народный артист Грузии Михаил Иоффе, Александра Иоффе, Нина Иоффе, (все - Израиль), актер и режиссер Михаил Чавчавадзе, актер Виктор Гордиенко, фотохудожник Вазген Петросян (все - Санкт-Петербург), актриса Татьяна Лаврентьева (Лондон), актриса Алла Конт (Санкт-Петербург), актриса и ассистент по актерам Валентина Кудряшева, актер Владимир Бурмистров (Москва), актриса Светлана Варданян (Киев), Валентина Демченко (Санкт-Петербург), Нора Кутателадзе, балетмейстер Маргарита Минеева, Игорь Минеев, режиссер Андро Окромчедлишвили, поэт, драматург член Союза Писателей России, член СТД и Международной Ассоциации русскоязычных писателей Заур Квижинадзе (все - Москва).**

Эхо Кавказа
ekhokavkaza.com

09.05.2013 13:15

# В Тбилиси скончался легендарный актер Отар Мегвинетухуцеси

Народный артист Грузии и СССР Отар Мегвинетухуцеси, ставший особо популярным в бывшем Союзе благодаря роли Даты Туташхиа, скончался сегодня, 9 мая, в возрасте 81 года ~~после долгой болезни~~. Известно, что актер будет похоронен в воскресенье в Дидубийском пантеоне писателей и общественных деятелей в Тбилиси.

Мегвинетухуцеси получил широкую известность благодаря своим ролям в художественных фильмах "Фатима", "Мольба", "Похищение луны", "Древо желания", "Добрые люди", "Солнце осени", "Десница великого мастера", "Ожерелье для моей любимой", а также во многих театральных постановках.
Отар Мегвинетухуцеси родился 16 января 1932 года в Тбилиси. В 1954 году он окончил театральный институт им. Руставели, после чего был принят в труппу театра им. Марджанишвили. В 1967 году перешел в драмтеатр города Рустави. Там он проработал до 1975 года, а затем вновь вернулся в театр Марджанишвили. За три десятка лет работы на сцене театра Мегвинетухуцеси сыграл множество самых разных ролей.

Он был Народным артистом СССР (1979), заслуженным артистом Грузинской ССР (1965), лауреатом госпремии Грузинской ССР им. Марджанишвили (1977 - за театральную работу), госпремии СССР (1981 - за роль Даты Туташхиа в ТВ-фильме "Берега"), премии Международного кинофестиваля в Токио за лучшую мужскую роль в фильме "Изыди!", театральной премии "Чайка" в номинации "Лучшая драматическая роль" (2001, за роль в спектакле "Антигона"), а также лауреатом премии "Кумир" (2001, за роль в спектакле "Антигона").

Эхо Кавказа © 2013 RFE/RL, Inc. | Все права защищены.

http://www.ekhokavkaza.com/archive/news/20130509/3235/2759.html?id=24981075



Дорогая Гуранда !
Дорогие друзья !

Мы потрясены печальным известием о кончине Отара. От имени Международной конфедерации театральных союзов, Международного театрального фестиваля им. А.П. Чехова примите наши соболезнования в связи с уходом выдающегося мастера грузинской сцены, так горячо любимого у нас в России. В памяти тех, кто знал Отара навсегда останется этот замечательный красивый человек и его сценические и экранные образы, которые мы имели счастье видеть.

Мысленно и душой мы будем с Вами в тяжелые минуты прощания с любимым актером.

Президент Международной конфедерации
театральных союзов

Генеральный директор Международного
театрального фестиваля им. А.П.и Чехова — Валерий Шадрин

Скорбим вместе со всеми!
Ушел из жизни замечательный человек, выдающийся актер и хороший друг Отар Вахтангович Мегвинетухуцеси.
Благодарим судьбу, за то,что этот великий человек сыграл в нашем фильме "Изыди!". Работать с ним было настоящим счастьем.
Выражаем искренние соболезнование всем родным и близким Отара.
Светлая ему память.

Режиссер Дмитрий Астрахан, драматург Олег Данилов

Дорогая Гуранда,
Дорогая Бачула,
Дорогие друзья и коллеги,
Отар гордость не только Грузии, Россия гордится и скорбит вместе с вами. Отар навсегда вписал свой талант в искусство наших народов.
Дата Туташхия, Дон Кихот, еврей – герой фильма "Изыди", малая часть его творческого портрета. В нем всегда будет жить лицо и облик Грузии. Мы скорбим вместе с вами.
Александр и Лиля Митта

МОСКВА 123009 29 10/05 17Ч9=

ГРУЗИЯ ТБИЛИСИ ДАВИДА АГМАШЕНЕБЕЛИ 86/90 МЕГВИНЕТУХУЦЕСИ-ГАБУНИЯ=

ПРИМИТЕ НАШИ ГЛУБОЧАЙШИЕ СОБОЛЕЗНОВАНИЯ В СВЯЗИ С ПОСТИГШИМ ВАС ГОРЕМ СОЖАЛЕЕМ ЧТО НЕ МОЖЕМ БЫТЬ РЯДОМ С ВАМИ=ГУРАНДА ДАВИД ВЛАДИМИР ИОСЕЛИАНИ-
НННН 0910 11.05 0005

Какая грустная весна... Еще одна потеря – Отар Мегвинетухуцеси, великий артист, воплощение благородства и мужества, рыцарь театра. Поклон и соболезнование его верной подруге, прекрасной женщине и актрисе – Гуранде Габуниа. Татьяна Шах-Азизова

ЗЦЗЦ 003 П01 212005 5

(111 111888/02 0244 1134 10.05)

МОСКВА 261008 72 10/05 1133=

ГРУЗИЯ ТБИЛИСИ ПРОСПЕКТ РУСТАВЕЛИ 2 ТЕАТР ГРИБОЕДОВА ВСЕМ ГРУЗИНСКИМ КОЛЛЕГАМ - АРТИСТАМ=

МЕГВИНЕТУХУЦЕСИ - ТРУДНАЯ ФАМИЛИЯ НА РУССКОЕ УХО.

НО КАК НАМ БЛИЗОК, ЗНАКОМ, ДОРОГ ОТАР, ВЫДАЮЩИЙСЯ АКТЕР СОВРЕМЕННОСТИ, ПРОСЛАВИВШИЙ ЭТУ ФАМИЛИЮ. СМЕРТЬ ОТАРА, БОЛЬ КАЖДОГО ИЗ НАС. ГРУЗИНСКИЙ ТЕАТР, РУССКИЙ ТЕАТР, ВСЕ НАШЕ ТАКОЕ СИЛЬНОЕ ПОКОЛЕНИЕ ШЕСТИДЕСЯТНИКОВ ПОНЕСЛО НЕВОСПОЛНИМУЮ УТРАТУ.

ОТАР МЕГВИНЕТУХУЦЕСИ ГРОМАДНАЯ ФИГУРА В СОВРЕМЕННОМ ИСКУССТВЕ.

ВМЕСТЕ С БЛИЗКИМИ МЫ ПЛА4ЕМ О НЕМ. СВЕТЛАЯ ЕМУ ПАМЯТЬ=НАТАЛЬЯ ТЕНЯКОВА, СЕРГЕЙ ЮРСКИЙ-

НННН 1142 10.05 0003



# საქართველო ასე გამოეთხოვა ოთარ მეღვინეთუხუცესს

*11 მაისს საქართველო გამოემშვიდობა დიდ ქართველ მსახიობს, ოთარ მეღვინეთუხუცესს. სამგლოვიარო მიტინგს, რომელიც დიდი მსახიობის მშობლიურ, მარჯანიშვილის თეატრში გაიმართა, უძღვებოდა თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე გიორგი ქავთარაძე.*

**გიორგი ქავთარაძე**: დღეს ჩვენ ვეთხოვებით უდიდეს ქართველ მსახიობს, უდიდეს პიროვნებას, რომელმაც თავისი, წარუშლელი კვალი დატოვა არა მხოლოდ თეატრისა და კინოს ხელოვნებაში, არამედ სრულიად საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ოთარ მეღვინეთუხუცესი იყო უბოროტო, კეთილშობილი პიროვნება, დიდებული ტრაგიკოსი. მისი სიფიცხე არტისტული თავისთავადობის ნიშნით იყო აღბეჭდილი. ახლაც თვალწინ მიდგას — გულღია სიცილი იცოდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მთელი არსებით შეგიძლია მიეცე მხიარულებას და სხვასაც გადასდო შენი წრფელი ემოციები. მადლობა ღმერთს, რომ მოგვივლინა ოთარი, მადლობა ოთარს, რომ ჩვენს გვერდით იყო, მადლობა გურანდას — ის რომ არა, ყველაფერი ასე არ იქნებოდა, მადლობა საქართველოს, რომ ისეთი შვილი გაზარდა, როგორიც იყო ოთარ მეღვინეთუხუცესი.

ბ-ნი გ. ქავთარაძე კითხულობს ბ-ნი გიგა ლორთქიფანიძის წერილს, რომელიც საავადმყოფოდან გამოგზავნა:

*ჩემო ოთარ! ასე გვარგუნა ბედმა, რომ გვერდიგვერდ პალატაში ვყოფილიყავით. ალბათ, იმიტომ, რომ ჩვენი შემოქმედებითი ცხოვრება წლების მანძილზე განუყოფელი იყო. შენ დიდი მსახიობი, უფრო მეტიც, გენიალური მსახიობი იყავი და ყოველთვის მიყვარდა შენთან მუშაობა. შენ იყავი ნამდვილი ვარსკვლავი და მუდამ დარჩები მანათობელ ვარსკვლავად! ჩემო უახლოესო მეგობარო! ჩემო ძმაო! დროებით გემშვიდობები!*

**გია ბურჯანაძე**: დღეს დასრულდა ერთი ულამაზესი ფურცელი ქართული თეატრის ისტორიისა. დასრულდა ეპოქა ტრაგიკოსებისა, რომელიც მესხიშვილის, იმედაშვილის, ხორავას და წარსულის სხვა დიდებული მსახიობებით დღემდე გრძელდებოდა.

ოთარს მინდა ვუთხრა ის, რაც მისთვის სიცოცხლეში, არასოდეს მითქვამს — ბატონო ოთარ! თქვენ გვერდით დაიყენეთ სხვადასხვა ხელწერის რეჟისორები და მათთან ერთად შექმენით ბრწყინვალე ეპოქა მარჯანიშვილის თეატრში.

მადლობა კაცობისათვის, მადლობა თქვენი დიდებული შემოქმედებისათვის, თქვენი უდიდესი პროფესიონალიზმისათვის, თავდადებისათვის, ყოველი ღამისათვის, რომელიც ხან თეატრზე საუბარში, ხან ღვინის სმაში გაგვიტარებია. თქვენ იყავით მაგალითი ჩემთვის სცენაზეც და პირად ცხოვრებაშიც — როგორ შეიძლება ხელოვან კაცს 56 წელი ერთი ქალი უყვარდეს, იყოს ასეთი მზრუნველი და მოყვარული მამა და პაპა. თქვენ მუდამ იყავით ჩემთვის მაგალითი მოქალაქეობისა — 1987 წელს, ეროვნული მოძრაობის აღმავლობის დროს, თქვენ ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაში გაწევრიანდით.

ამბობენ, შეუცვლელი ადამიანები არ არსებობენო. არ არის მართალი. ვინ შეცვლის გიორგი შავგულიძეს, მედეა ჯაფარიძეს, სერგო ზაქარიაძეს, ყველას თავისი კვარცხლბეკი აქვს ქართულ თეატრში და ამ რიგში თქვენც უზარმაზარი კვარცხლბეკი დაიდგით. დღეს კვირაცხოვლობაა და ჩვენი რელიგიით, თქვენი სული აუცილებლად უფლის სასუფეველში განისვენებს.

**მედეა კუჭუხიძე:** დღეს ვესწრებით ოთარ მეღვინეთუხუცესის უკანასკნელ სპექტაკლს მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე, სადაც მან ნახევარი საუკუნე გაატარა. მე წილად მხვდა ბედნიერება, ჩემი შემოქმედების ყველაზე ბედნიერი წლები გამეტარებინა მის გვერდით. ჩვენ მეგობრები ვიყავით. ის უდიდესი მსახიობი იყო — ტრაგიკოსი იყო. ბოლო წლების განმავლობაში არ იქნა გამოყენებული მისი ტალანტი ისე, როგორც მას ეკადრებოდა.

მადლობა მინდა გითხრა, ოთარ, თანაშემოქმედებისათვის, მეგობრობისათვის, მძიმე წუთებში ჩემს გვერდით დგომისათვის.

**ვასილ კიკნაძე:** ის იყო ქართული არტისტული გენიის გამონათება. რა ადგილი შეიძლება მიეკუთვნოს მას ქართული თეატრის ისტორიაში? ის დიდი ტრაგიკოსი და ამავდროულად, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული მსახიობი იყო. იგი იყო ყველგან, სადაც ქართველ ხალხს უჭირდა. 1956 წლის ტრაგედიის მერე, ქართულ თეატრთან ერთად მოსკოვში წასული, ქართული კულტურის დიდგორის ომშიც მონაწილეობდა და ამ ბოლო წლების მორალური კრიზისის დროსაც ერთ-ერთმა პირველმა ამოიღო ხმა ღირსების დასაცავად. ის გარდაიცვალა, მაგრამ, როგორც ნათქვამია, ორჯერ დაბადებულს ერთი სიკვდილი ვერ მოერევა.

**ქეთევან კიკნაძე:** ბევრი რამ ვისწავლე შენგან, ოთარ! შენ იყავი ჩემი პირველი პარტნიორი თეატრსა და კინოში. შენთან ვითამაშე ჩემი პირველი როლი და შენი უკანასკნელი როლიც შენთან ერთად ვითამაშე.

საავადმყოფოში რომ გითხარი გიგა აქ წევს-მეთქი, ვიცი, ვიციო, მიპასუხე. გაგამხნევე, როგორც შემეძლო, შენ გამძლე კაცი ხარ-მეთქი. ჰაერი მინდა, სუნთქვა მიჭირსო. ჟანგბადი დაგიმატეს. შემრცხვა ტყუილების, იმდენად ად-

ეკვატური იყავი. გურანდას დავუძახებ-მეთქი, გითხარი და არა, არაო, არ გინდოდა ტკივილი მიგეყენებინა. 10-15 წუთში კი უკვე აღარც ჟანგბადი გჭირდებოდა და აღარც ჰაერი.

დიდი მადლობა იმისათვის, რომ არა მხოლოდ შემოქმედებითად, არამედ პირად ცხოვრებაშიც ჩემი ცხოვრების ნაწილი იყავი, დიდი მადლობა, რომ ჩემი ცხოვრების მძიმე წუთებში ჩემს გვერდით იდექი.

უზომოდ იყავი შეყვარებული შენს სამშობლოზე. დიდი პატრიოტი იყავი. ამიტომ შევთხოვ უფალს, მსუბუქი იყოს შენთვის შენი სამშობლოს მიწა!

**კახი კავსაძე:** როდესაც თეატრალურ ინსტიტუტში ჩავაბარე, ოთარი დამამთავრებელ კურსზე იყო, მაგრამ უკვე ჩანდა, რომ დიდი მსახიობი იზრდებოდა. სულ ორი-სამი წლით იყო უფროსი, მაგრამ ყოველთვის მაგალითი იყო ჩემთვის. მერე დავმეგობრდით. ავად რომ გავხდი და გერმანიაში გავემგზავრე, 80 წლისთავის იუბილეზე მისალოცი წერილი გამოვუგზავნე. როგორც მითხრეს, ოთარმა ჯერ „ანტიგონეს“ სცენა ითამაშა, მერე წაიკითხა ჩემი წერილი და დარბაზს მიმართა, ჩემი მეგობარი ავად არის, გერმანიაშია წასული, მოდით, ფეხზე ავდგეთ, პირჯვარი გადავიწეროთ, ყველამ ერთად ვუსურვოთ გამოჯანმრთელება და დავიშალოთო. ახლა მინდა ვუთხრა მადლობა ამ დიდი ყურადღებისა და სიყვარულისათვის (მუხლი მოიყარა მსახიობის წინაშე)

**ბიძინა ივანიშვილი:** კიდევ ერთი დიდი კაცი გამოგვაკლდა. დღეს უკანასკნელ გზაზე ვაცილებთ ჩვენი დროის უდიდეს მსახიობს, კეთილშობილ, სამართლიან პიროვნებას. ასეთი რაინდები იყვნენ მისი გმირებიც. არ დარჩენილა არც ერთი უდიდესი ჯილდო, რომელიც არ მიეღოს ოთარ მეღვინეთუხუცესს, მაგრამ მას ყველაზე დიდი ჯილდო — ხალხის სიყვარული მიყვება უკანასკნელ გზაზე. ის სამუდამოდ სამაგალითოდ დარჩება მომავალი თაობებისათვის.

**ქეთი დოლიძე:** რაც უნდა დიდი არტისტი იყო, თუ პიროვნება არ ხარ, ხალხი არ შეგიყვარებს. ის დიდი პიროვნება იყო და მინდა ვუთხრა მადლობა იმ დიდი სიხარულისათვის, რომელიც მე და ჩემს ოჯახს მოგვანიჭა. მისი პირველი ფილმი „ფატიმა“ სიკო დოლიძემ გადაიღო. უხაროდა ჩემი ყოველი წარმატება, 11 წელი ტარდებოდა ფესტივალი „საჩუქარი“ და ჩემზე მეტად გაუხარდა მისი აღდგენა. მახსოვს, მისი წარმატებები ედინბურგში, გლაზგოში. ჩვენ ვეთხოვებით ჭეშმარიტად უდიდეს შემოქმედსა და პიროვნებას.

ქ. დოლიძე კითხულობს გამოჩენილი ინგლისელი რეჟისორის ჰილარი ვუდის წერილს ოთარ მეღვინეთუხუცესის გარდაცვალებასთან დაკავშირებით:

*ჩვენ ყველამ დავკარგეთ ჩვენი კაშკაშა ვარსკვლავი. სცენაზე და სცენის მიღმა, ოთარი იყო ღვთაებრივი და ბრწყინვალე. არც ერთი სხვა მსახიობი ასე არ ამშვენებდა სცენას. მე გავიზარდე თეატრში, სადაც მქონდა ბედნიერება*

*სერ ჯონ გილგუდსა და სერ ლორენს ოლივიესთვის მეცქირა. მეგონა, ასეთ დიდებულ თამაშს ვეღარასოდეს ვნახავდი, მაგრამ შემდეგ სცენაზე ოთარის ხილვისას სუნთქვა შემეკრა. ის მეფე იყო. მეფე – ლომი! ოტელო, კრეონი, მარკუს ანტონიუსი, მეფე ლირი, კაზანოვა... ყველა ის შესანიშნავი წარმოდგენა, რომელიც ვიხილე მარჯანიშვილის თეატრში, გლაზგოსა და ედინბურგის ფესტივალებზე. მე მახსოვს მისი თამაში პროვინციულ ამბავში, სადაც ის ასახიერებდა იმედგაცრუებულ და წარუმატებელ, პროვინციელ მსახიობს. ის ისეთი სულისშემძვრელი და წარმოუდგენლად კარგი იყო. მინდოდა მის ყოველ გამოჩენას სცენაზე აღფროთოვანებული შეძახილით შევგებებოდი.*

*1991 წლის შემოდგომაზე, „ანტონიუსისა და კლეოპატრას“ რეპეტიციების დროს ოთართან და გურანდასთან ერთად საშინელი შემოდგომა გადავიტანე. გარდა ყოველდღიური რეპეტიციებისა, ოთარი გამუდმებით ქადაგებდა თავისუფლებასა და დემოკრატიაზე საქართველოში. მიუხედავად ყველა იმ გაუსაძლისი სირთულისა, რომლის წინაშეც ჩვენ აღმოვჩნდით, მე იმ დროს ბედნიერებით, სიყვარულით და ჩვენს მიერ მიღწეული წარმატების გამო სიამაყით ვიხსენებ. რაოდენ დიდი პატივი იყო ჩემთვის გურანდასთან და ოთართან ერთად მუშაობა საქართველოსთვის ასეთ საეტაპო, ისტორიულ მომენტში. იმ დღეებში მარჯანიშვილის თეატრი ერთადერთი იყო თბილისში, რომელსაც რეპეტიციები არ შეუწყვეტია. ის რომ ჩვენ შევძელით სპექტაკლის გამოშვება, სასწაულის ტოლფასი იყო. ოთარი და გურანდა ჩემი უძვირფასესი და უახლოესი მეგობრები გახდნენ. წლების მანძილზე ჩვენ ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს როგორც თბილისში, ასევე დიდ ბრიტანეთში. 2009 წელს ჩვენ ისევ მოგვიწია ერთად მუშაობა „კამინო რეალზე“, ოღონდ ამჟამად თუმანიშვილის თეატრში, ამ თეატრის ბრწყინვალე დასთან ერთად. კაზანოვა ოთარის ერთ–ერთი შესანიშნავ როლად იქნა აღიარებული. ის უბრალოდ მომაჯადოვებელი იყო. მისი კაზანოვა ერთდროულად საშიშიც იყო და ანარქისტიც. ბრწყინვალე და შემაძრწუნებელი. როგორ ვაღმერთებდით მას ყველანი. რა ვქნა ახლა მის გარეშე? გული მიკვდება...*

*ჩვენი საერთო გლოვის დროს არ უნდა დაგვავიწყდეს, თუ რა ხანგრძლივი, ბედნიერი და იღბლიანი ცხოვრება გაიარა მან. მას გვერდზე თავისი ცხოვრების სიყვარული ჰყავდა, გამორჩეული და შესანიშნავი გურანდა, რომელიც წლების მანძილზე ასევე სრულად იზიარებდა მარჯანიშვილის თეატრის წარმატებას საერთაშორისო ასპარეზზე. ჩვენ გაგვიმართლა, რომ ვმუშაობდით იმ ადამიანის გვერდზე, რომელიც ყველას უყვარდა, აფასებდა და ეთაყვანებოდა.*

*ძვირფასო გურანდა, ბაჩულა და ლუკა! მიიღეთ ჩემი უდიდესი სიყვარული. როგორ მინდა თქვენს გვერდით ვიყო, რომ გულში ჩაგიკრათ.*

*იმ კვირას, როცა ოთარმა დაგვტოვა, დიდი ბრიტანეთის ცის კაბადონზე, ღამით, მეტეორმა გადაიელვა. და მე ვიგრძენი, ეს ოთარმა მომცა ნიშანი, რომ ჩვენ ისევ შევხვდებით ერთმანეთს.*

***ლონდონი. 9 მაისი, 2013 წელი***



**ნოდარ გურაბანიძე**: ქართულ თეატრს გამოეცალა ერთ-ერთი ულამაზესი, ნიჭიერი, დიდი ქართველი მსახიობი. ეს დიდი ტრაგედიაა ყოველი ჩვენგანისათვის. ჩვენ ერთად ვსწავლობდით სკოლაში. თეატრალურ ინსტიტუტში ოთარი თავისი გამორჩეული აღნაგობითა და ულამაზესი თვალებით იქცევდა ყველას ყურადღებას. მან თეატრალურ და კინოგმირთა დაუვიწყარი მხატვრული სახეები შექმნა — ერთი წუთით რომ გაგვეცოცხლებინა ისინი ამ დიდ დარბაზში, ალბათ, სრულად შეავსებდნენ მას. ვემშვიდობები და მჯერა, მის შემოქმედებას დავიწყება არ უწერია.

**თემურ ჩხეიძე:** მახსოვს, „ანტიგონეში“ ასეთ ფრაზას ამბობდა: „სიმართლე მხოლოდ ის არის, რაზეც არ ლაპარაკობენო“. უნდა ვილაპარაკო, მაგრამ რაც არ უნდა ვთქვა, ვიცი, ასი იმდენი უთქმელი დამრჩება. როდესაც 81 წლის შესრულდა, იმ დღესაც სცენაზე იდგა და კრეონს თამაშობდა. გია ბურჯანაძემ სპექტაკლის დასასრულს დარბაზს ამცნო ოთარ მეღვინეთუხუცესის საიუბილეო თარიღი, ისიც ფეხზე წამოუდგა მას და მხურვალე, ხანგრძლივი ოვაციები უძღვნა. ამ დღეს ოთარმა თქვა, ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ ამდენ ხანს ვიცოცხლებდიო. ტელევიზიაში ერთ-ერთი ფილმის ნახვის მერე დააფიქრა ფრიდრიხ დიურენმატის ფრაზამ, ჩვენი ეპოქა გმირების ეპოქა აღარ არისო. მე კი ვიცი, რომ ის ცხოვრობდა ეპოქაში, რომელსაც თავისი სცენური გმირებით ამდიდრებდა.

ვისაც ოთარი რეპეტიციაზე არ უნახავს, მას ძალიან ბევრი დაუკარგავს. ის ჩვენს თვალწინ აცოცხლებდა განსასახიერებელ პერსონაჟს და ამდიდრებდა თავისი პიროვნული განუმეორებლობითა და ხიბლით. ნიჭიერი ადამიანები არასდროს დაილევიან, მაგრამ ისინი, ვინც გმირობის ფენომენს საკუთარ თავ-

ში ატარებენ, ერთეულებს წარმოადგენენ.

**ლანა ღოღობერიძე:** ერთი რამ მინდა დავუმატო ყველაფერს, რაც უკვე ითქვა — ოთარს განსაკუთრებით ჰქონდა გამძაფრებული ღირსების გრძნობა. საბჭოთა კავშირში კი ძალიან ძნელი იყო ამ გრძნობის შენარჩუნება და კიდევ უფრო გაძნელდა ეს დამოუკიდებელ საქართველოში, ძნელი იყო გეცხოვრა უკომპრომისოდ, ის კი არასდროს უშვებდა კომპრომისს სინდისთან. ასეთი იყო — ეჭვიანი, ფიცხი, გიჟმაჟი და ამავდროულად, მორცხვი, დელიკატური, ჭეშმარიტი რაინდი. „თავადის ქალი მაიას" გადაღებისას ინტერესდებოდა პოეზიით და საღამოობით ჩემს მიერ თარგმნილ რაბინდრანათ თაგორის ლექსებს მთელი თავისი პოეტური სამყაროთი აყურადებდა. ასე მომმართა კიდეც ერთხელ: „რა ლამაზია", „ჩვენ, მგზავრნი ამა ქვეყნისა"...

**ნოდარ მგალობლიშვილი:** ბედნიერი იყო ოთარი, რადგან ბრწყინვალე ოჯახში გაიზარდა, უმწიკვლო ზნეობის მქონედ ჩამოყალიბდა, იყო შესანიშნავი შვილი, მეუღლე, მამა, ბაბუა.

მე, მალხაზ ბებურიშვილი, ირაკლი უჩანეიშვილი, ნოდარ ჩაჩანიძე მასთან ერთად დავეუფლეთ მსახიობის ურთულეს პროფესიას, ერთად გამოვედით პროფესიულ არენაზე და ყოველი ჩვენგანისთვის ნათელი იყო, რომ ის მრავალმხრივი ნიჭით იყო დაჯილდოებული. ვისაც მის გვერდით არ უმუშავია, ვერ გაიგებს, რომ ტემპერამენტი, რომელსაც ოთარი სდებდა მაყურებელთა დარბაზს, ყოველდღე სხვადასხვანაირი ემოციით იყო დამუხტული. ოთარი იყო ყურადღებიანი პარტნიორი და დიდი მსახიობი.

ბედნიერია ის, ვინც გარდაიცვლება! ვაი, მას, ვინც კვდება. ოთარ! შენ გარდაიცვალე!"...

გამოსათხოვარ მიტინგზე წაიკითხეს: საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის, გიგა ლორთქიფანიძის, ალექსანდრ კალიაგინის, სერგეი იურსკის, ტატიანა შახ-აზიზოვას, დიმიტრი ასტრახანის და სხვ. გამოჩენილ თეატრალურ და კინო მოღვაწეთა სამძიმრის ადრესები.

**მოამზადა ნინო მაჭავარიანმა**



# „მარია კალასი" თეატრ-ფაბრიკაში

**მაკა ვასაძე**

თბილისში, კიდევ ერთი, ახალი სათეატრო სივრცე შეიქმნა — თეატრი „ფაბრიკა". თეატრი და მასთან არსებული საგამოფენო დარბაზი ყოფილი აბრეშუმის ფაბრიკის ტერიტორიაზე განთავსდა. გარდა სპექტაკლებისა, აქ ალბათ, გამოფენები და სხვა კულტურული ღონისძიებები მოეწყობა, ვინაიდან „თეატრი-ფაბრიკა" ხელოვნების ცენტრის, „რუბიკონის" შემადგენელი ნაწილია. რობერტ სტურუას რუსთაველის თეატრიდან „გაგდების" შემდეგ (სანამ მას უკან დააბრუნებდნენ) ბიძინა ივანიშვილმა ახალი თეატრის შექმნა შესთავაზა. 2013 წლის 24 ივნისს ამ ახალ თეატრში პრემიერა შედგა. სპექტაკლი მაესტრომ ტერენს მაკნელის პიესის „მასტერ კლასი" (თარგმანი მ. ანთაძის) მიხედვით დადგა.

პიესის სცენური ვერსია რობერტ სტურუას და ნინო კანტიძეს ეკუთვნით. სპექტაკლი ლეგენდად ქცეული საოპერო მომღერლის, მარია კალასის ცხოვრების ბოლო წლებს ეძღვნება. პიესა და სპექტაკლი გენიალური მომღერლის ერთ დღეზე მოგვითხრობს, უფრო სწორად კი მის მიერ ჩატარებულ გაკვეთილზე კონსერვატორიის სტუდენტებისათვის. მომღერალი, მასტერ კლასის პარალელურად, განვლილი შემოქმედებითი თუ პირადი ცხოვრების დეტალებს იხსენებს. ამ დეტალებისაგან იქმნება მარია კალასის მთლიანი სახე, მისი ხასიათი.

სპექტაკლში სცენა დარბაზის შუაშია განთავსებული, სცენის მარჯვნივ და მარცხნივ კი მაყურებელთა ადგილებია. ამგვარი სათეატრო სივრცე თავიდანვე უქმნის მაყურებელს ინტიმურ განწყობას. რეჟისორის ჩანაფიქრით, მაყურებელი სპექტაკლის დასაწყისიდანვე ერთვება ქმედებაში. მარია კალასის როლის შემსრულებელი ლელა ალიბეგაშვილი მაყურებელს ესაუბრება, შემდეგ ერთ-ერთს სანთებელას ართმევს, სიგარეტს რომ მოუკიდოს. დეკორაცია კონსერვატორიის დარბაზს წარმოადგენს. სცენის ერთ კუთხეში როიალი დგას. როიალის სახურავზე აწყვია — ქრონომეტრი, სასანთლე, ჭიქა წითელი ღვინით, ხილი და პატარა ზარი. მეორე მხარეს კი ჭერიდან შავი მაგიდაა ჩამოშვებული, რომლის ერთ კუთხეში ქალის ჩანთაა ჩამოკიდებული. კედლებსა და პიუპიტრებზე მარია კალასის ფოტოები და საოპერო აფიშებია განთავსებული. ჭერში — სკამი, ვიოლინო, ჩელო, ჩასაბერი თუ სხვა მუსიკალური ინსტრუმენტები კიდია. მთელ სცენას ოდნავ ამაღლებული, აფიშებით დაფარული მოგრძო ფიცარნაგი გასდევს.

მაყურებელთა დარბაზში შუქი ქრება, სცენაზე მკრთალი იასამნისფერი, ცისფერი განათებაა. მხოლოდ პიუპიტრზე მოთავსებული კალასის ფოტოა მკვეთრად განათებული. დავით დარჩიას პერსონაჟი — აკომპანიატორი მენი — ფოტოსთან ყვავილების პატარა თაიგულს დებს და დგება სადირიჟორო პულტთან. ორკესტრის შესრულებით ბოლო აკორდებსა და აპლოდისმენტების ხმაზე სცენაზე შემოდის ლელა ალიბეგაშვილის მარია კალასი — ამაყი, ძლიერი, რაღაც მომენტებში სუსტი, გატაცებული, თავის საქმეში შეყვარებული... მკაცრ, მოშავო-მოლურჯო ფერებში გადაწყვეტილი კოსტიუმით, რომლის ზევიდან შავი, გრძელი ლაბადა აცვია. კალასის

რთულ ხასიათს ლელა ალიბეგაშვილი პირველივე წუთებიდან ავლენს. — „დიდი მადლობა, ასეთ მიღებას არ ველოდი! ტაში აღარ დამიკრათ! თეატრში არ ვართ! ჩვენ აქ სამუშაოდ მოვედით!“ ლელა ალიბეგაშვილი ამ სიტყვებს მკაცრი ტონით წარმოსთქვამს, თუმცა იგრძნობა, რომ ტაში მას სიამოვნებს...

მთელი სპექტაკლი თითქოს ერთი ამოსუნთქვით მიდის, მაყურებელთა ინტერესი ერთი წუთით არ დუნდება. დაძაბული რიტმი, რომელიც რეჟისორმა და მსახიობებმა შესთავაზეს მაყურებელს, არც ერთი წუთით არ ნელდება. მარია კალასის რთული, პერიპეტიებით აღსავსე ცხოვრება საათსა და ოც წუთში მაყურებლის თვალწინ ჩაივლის. ღიმილი, სიცილი, სევდა და ბოლოს კი ყელში მოწოლილი ცრემლები — ეს ის გრძნობებია, რომელსაც მაყურებელი განიცდის ლელა ალიბეგაშვილის მარია კალასთან ერთად.

მარია პატარა ზარს იღებს და რეკს. — ჩვენ აქ სამუშაოდ მოვედით... ლელა ალიბეგაშვილის პერსონაჟი უშუალო კავშირს ამყარებს არა მარტო აკომპანიატორ მანისთან, არამედ, როგორც უკვე აღვნიშნე, მაყურებელთანაც. მარია-ალიბეგაშვილი კონსერვატორიის სტუდენტებსა და მაყურებელს უხსნის თუ რა არის მუსიკა, სიმღერა, რომ სიმღერა ეს ურთულესი ხელოვნებაა. მთელი სპექტაკლის განმავლობაში, შიგადაშიგ კალასის ჩანაწერები ჟღერს. რეჟისორმა დადგმაში გამოიყენა ვერდის, ბელინის, პუჩინის, ბეთჰოვენისა და გია ყანჩელის მუსიკა. არიების ჩართვა ქმედებაში მინიმუმამდეა დაყვანილი. დრამატულ სპექტაკლში კალასის სიმღერა, მხოლოდ აუცილებლობიდან გამომდინარე ჟღერს ხოლმე. რაღაც მომენტებში, როდესაც მარია-ალიბეგაშვილი ამა თუ იმ არიას იხსენებს და ისმის ჩანაწერი, მომღერლის სულიერი ტანჯვა ამ მომენტებში რეჟისორმა და მსახიობმა შემდეგნაირად გადაწყვიტეს— მარია პროჟექტორით თეთრად განათებულ წითელი აგურის კედელს ეკვრის, მის სახეზე კი სხვადასხვა ემოცია გამოიხატება — ერთდროულად არიის შესრულების დროს განცდილი და ახლანდელი განცდები, როდესაც მას ხმა უკვე დაკარგული აქვს და საოპერო სცენაზე ველარასოდეს იმღერებს.

ტექსტის მონტაჟი რობერტ სტურუას სათეატრო ენის ერთ-ერთი უმთავრესი, დამახასიათებელი თავისებურებაა. ამ შემთხვევაში რეჟისორმა ტექსტი შეამოკლა, გააკეთა პატარ-პატარა კუპიურები, ჩართო ფრაზები, რომლებიც პიესაში არ არის. სპექტაკლი სულ რაღაც საათი და 20 წუთი გრძელდება, მაგრამ მიუხედავად ამისა, რეჟისორმა თითქმის არც ერთი ეპიზოდი არ ამოიღო სპექტაკლიდან. რეჟისორმა მხოლოდ შეამოკლა პიესა და არაჩვეულებრივი კამერული სპექტაკლი შექმნა. ვგონებ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ასეთი ტიპის სპექტაკლი კიდევ ერთი ახალი შტრიხია მის შემოქმედებაში. არანაირი რეჟისორული გამოგონებები, ეფექტები და ა.შ.. თავისუფლად შეიძლება ვთქვათ, რომ ეს არის სამსახიობო თეატრის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი. რეჟისორმა სპექტაკლში არაჩვეულებრივ მსახიობთა ანსამბლი შექმნა. ეს ეხება როგორც მთავარი როლის შემსრულებელ ლელა ალიბეგაშვილს, ასევე დავით დარჩიას, დავით უფლისაშვილს და რაც მთავარია, ახალგაზრდა მსახიობებს: ქეთი სვანიძეს, ლელა ახალაიას, არჩილ გოგიტიძეს. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდებს შორის მხოლოდ არჩილ გოგიტიძეა პროფესიონალი



**მენი — დავით დარჩია**
**მარია კალასი — ლელა ალიბეგაშვილი**

მომღერალი. ქეთი სვანიძესა და ლელა ახალაიას კი სამსახიობო მონაცემების გარდა, არაჩვეულებრივი ვოკალი აღმოაჩნდათ.

დრამატულ სპექტაკლს შიგადაშიგ ახალისებს კომედიური სიტუაციები. მარიას, პრიმადონას რთული ხასიათი სცენის მუშასთან ურთიერთობაში ვლინდება. გაკვეთილის მსვლელობის დროს სცენის მუშა შემოდის ხოლმე სხვადასხვა საქმის გასაკეთებლად. მარიას ჭირვეულობა მასთან ურთიერთობაშიც ვლინდება. სცენის მუშა თავიდან ვერ იცნობს დიდ მომღერალს და მის პრეტენზიულ, აკვიატებულ მოთხოვნებს ყურადღებას არ აქცევს. მარია ჯერ მისთვის განკუთვნილ სკამს გადაადგმევინებს რამდენჯერმე, მერე სკამის ბალიშს ითხოვს, შემდგომ პატარა, ფეხების დასაწყობ სკამს, რამდენჯერმე ასწორებინებს შუქს — ხან ძალიან ბევრია განათება, ხან კი — ცოტა, გათბობაც არ აკმაყოფილებს. თავიდან დავით უფლისაშვილის სცენის მუშა უგულისყუროდ ასრულებს მის გაუთავებელ მოთხოვნებს, ხანდახან იგნორირებასაც კი უკეთებს და დავით დარჩიას მენის უწევს მარიას დაუსრულებელი, მომაბეზრებელი მოთხოვნების შესრულება. რაღაც მომენტში მუშა მარიას პორტრეტს შეხედავს და მიხვდება, რომ მის წინაშე გენიალური მარია კალასია. იგი გავარდება სცენიდან და უკან დავარცხნილი, კოსტიუმგამოცვლილი, თაიგულით ხელში ბრუნდება. ამის შემდეგ იგი სიტყვაშეუბრუნებლად ასრულებს მარიას ყოველ კაპრიზს. მარიას მოთხოვნები კი ულევია: „ვიდრე გათბობას არეგულირებთ და ბალიშს ეძებთ, რომელიც ალბათ სამჯერ მაინც ვთქვი, მჭირდება-მეთქი, ბოლოს ერთი საათის წინ, ამასობაში იქნებ, პატარა სკამიც მონახოთ. ეს ამ სიმაღლე სავარძელი რომ დამიდგით, ფეხები ჰაერში ვაქანაო? დიდი მადლობა. ასეთ ხალხთან ჯერ არ მქონია საქმე“.

ლელა ალიბეგაშვილის მარიას ურთიერთობა სტუდენტებთან მრავალმხრივია. იგი ცდილობს გააგებინოს მათ, თუ რას ნიშნავს იყო მომღერალი. — ჩვენ მუსიკის მონები ვართ და მთელი ჩვენი ცხოვრება სიმღერას უნდა მივუძღვნათ. მხოლოდ თავდაუზოგავი შრომის შედეგად შეიძლება გახდე მომღერალი — ამბობს კალასი. აი, მარიას წინაშე თაგვივით შეშინებული პირველი სტუდენტი წარსდგება (ლელა ახალაია). იგი ცახცახებს, ხმის ამოღებისაც კი ეშინია, ხუმრობა ხომ არ არის მარია კალასის წინაშე იმღერო. პირველ რიგში მომღერალს საკუთარი სტილი, სახე უნდა ჰქონდეს, იცოდეს თუ ვინ არის მისი პერსონაჟი და ემოციის გამოხატვის უნარი უნდა გააჩნდეს. იყვირე, გამოხატე შენი ემოცია, ისე იყვირე, თითქოს მკვლელი მოგდევდეს — ეუბნება მარია სოფი დეპალმას. იგი იმდენჯერ აწყებინებს სოფის თავიდან სიმღერას, სანამ რაღაც შედეგს არ მიაღწევს. თუმცა, მისი განაჩენი პირველი სტუდენტის მიმართ, შეიძლება ითქვას, ულმობელია. როდესაც სოფი გადის სცენიდან, მენის ეუბნება: ხშირად გამიხსენებს პროვინციულ სცენაზე სიმღერის დროსო. ლელა ალიბეგაშვილის მარია სტუდენტებთან ურთიერთობისას თამაშობს ძლიერ, მკაცრ, ქედმაღალ, რაღაც მომენტებში ცინიკოსს, მაგრამ იმავდროულად, გულისხმიერ და გულჩვილ ადამიანსაც კი, რომელიც სტუდენტს კარგად შესრულებული არიის შემდგომ შუბლზე კოცნის და თვალზე ცრემლიც კი ადგება. ლელა ალიბეგაშვილის თამაში მაყურებელში თანაგანცდას და მოზღვავებულ ემოციებს იწვევს. მაყურებელი ხან იცინის მის მკაცრ და



**მარია კალასი — ლელა ალიბეგაშვილი**

იმავდროულად იუმორით აღსავსე „ნასროლ" შენიშვნებზე, ხან კი ყელში ცრემლების ბურთი აწვება, როდესაც მარია თავისი შეუმდგარი პირადი ცხოვრების დეტალებს იხსენებს. არი ონასისი — მისი უდიდესი სიყვარული. ორი სახელგანთქმული ბერძენი, ერთი მსოფლიოში უმდიდრესი ადამიანი და მეორე სახელგანთქმული მომღერალი — სიამაყის გრძნობით ამბობს კალასი. — მე შენ ძალიან მიყვარდი არი, შენი სურვილისამებრ მე ბავშვიც კი მოვიშორე, მე შენი მონა ვიყავი, მორჩილი მონა. ახლა კი წადი და დამივიწყე, თუ შეძლებ... ალიბეგაშვილი-მარია ყველაფერში ბოლომდე იხარჯება — შემოქმედებაშიც და სიყვარულშიც.

სცენაზე, წითელ, წვეულებისთვის განკუთვნილ კაბაში, შემოქროლდება მეორე სტუდენტი გოგო. პირველისგან განსხვავებით, ქეთი სვანიძის პერსონაჟი უფრო ლამაზი და თავდაჯერებულია, მაგრამ მარია მას თითქოს თავზე ცივ წყალს გადაასხამს — სად ხართ თქვენ, გაკვეთილზე თუ წვეულებაზე? და აქვე იხსენებს „მეტროპოლიტენ ოპერაში" როგორ გამოცხადდა მოსმენაზე პირველად. შეურაცხყოფილი სტუდენტი გარბის გაკვეთილიდან. არჩილ გოგიტიძის ტენორს კალასი დაწვრილებით უხსნის, თუ ვინ არის მისი გმირი. იგი ინსტრუმენტს მიუჯდება, უკრავს და თან უყვება გმირის ისტორიას. სტუდენტს გმირის განცდების გადმოსაცემად მინიშნებას აძლევს: წარმოიდგინე გაზაფხული... სტუდენტი ხვდება, რა უნდა მისგან მარიას და ბრწყინვალედ ასრულებს თავის პარტიას. უკან მობრუნებულ ქეთი სვანიძის სტუდენტს მარია ვერ აგებინებს როგორ უნდა იმღეროს ლედი მაკბეტის არია „წერილის წაკითხვა". კალასი თავად უმღერებს... ამ წუთებში ლელა ალიბეგაშვილის ლედი მაკბეტი ვნებებით აღსავსე ფურიას მოგაგონებთ. თავისი უსუსურობით გამწარებული სტუდენტი მარიას შეურაცხყოფას აყენებს: — თქვენთან შეხვედრაზე ვოცნებობდი... მაგრამ რასაც თქვენზე ამბობენ, მართალია... ვეღარ მღერით და ადამიანები აღარ გიყვართ, გული გაგიცივდათ! თვალებში ცრემლებმობჯენილი მარია ისევ თავის ცხოვრების უდიდეს სიყვარულს მიმართავს — მართალს ამბობს ეს გოგო, არი! მარტო ვარ, მარტო. სპექტაკლის ყველა პერსონაჟი მდუმარედ, გაშეშებული უსმენს არისადმი

გია გოგოტიშვილის ფოტოები



**მარია კალასი — ლელა ალიბეგაშვილი**
**მეორე სტუდენტი გოგონა — ქეთი სვანიძე**

მიმართულ მარიას მონოლოგს. მათ სახეებზე თანაგრძნობა და მწუხარება ერთდროულად გამოიხატება მარტოსული დიდი მომღერლის დრამატული ცხოვრების გამო. — გაზაფხული არ დაივიწყოთ... ამ სიტყვებით ასრულებს მარია გაკვეთილს. ნახევრად ჩაბნელებულ სცენაზე მარია კალასის ფოტოა მკვეთრად განათებული.

ამ კამერული ტიპის სპექტაკლით რობერტ სტურუამ თავის პილისტილისტურ თეატრს კიდევ ერთი ახალი შტრიხი შემატა. თუმცა თანაგანცდა და პერსონაჟთა ხასიათის ფსიქოლოგიური წვდომით გადმოცემა, გროტესკითა და ფარსით შეზავებული, მის თითქმის ყველა სპექტაკლში არსებობს. „მარია კალასში" რობერტ სტურუა არ მიმართავს „კარნავალურობასა" და „გაუცხოების ეფექტს". აქ რეჟისორი და მსახიობები ადამიანთა სულიერ განცდებს გადმოსცემენ და მაყურებელში თანაგანცდას იწვევენ. სპექტაკლის ბოლოს ყოველ მაყურებელს თვალზე ცრემლი ედგა. ეს იყო წარმოდგენა, სადაც სცენასა და დარბაზს შორის დისტანცია წაიშალა ანუ მაყურებელიც ისევე ჩაერთო ქმედებაში, როგორც შემოქმედებითი ჯგუფი. ეს კი ნამდვილად შეიძლება ჩაითვალოს სპექტაკლის გამარჯვებად.

*„ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე არც ერთი თანამედროვე პიესა ისე არ მომწონებია, როგორც ჟორდი გალსერანის „გრონჰოლმის მეთოდი" დღევანდელ პრობლემათა ამსახველი (თუმცა, დღევანდელი და არა) პიესა. იმედი მაქვს, ბოლომდე შეინარჩუნებს*

# ვეძებთ ნაძირალას!

*მაყურებლის ყურადღებას. და შევეცდები იმის მოყოლას, თუ რაზეა ის. ამაზე, ვფიქრობ, თითოეული მაყურებელი სწორად დასკვნას გამოიტანს. ძალიან მინდა, ყველა იყოს შეწუხებული დასმული პრობლემით, როგორც ეს მე დამემართა პიესის კითხვისას."*

*თემურ ჩხეიძე*

**მანანა გეგეჭკორი**

თანამედროვე ქართულ თეატრში გამოჩნდა სპექტაკლი, რომელიც სიღრმისეულად ასახავს საზოგადოებაში დღეს საფუძვლიანად დამკვიდრებულ მნიშვნელოვან სატკივარს, პრობლემას, რომელმაც ჩვენში უკვე მყარად მოიკიდა ფეხი. სამწუხაროდ! საინტერესოა, რომ წარმოდგენას საფუძვლად არა ქართული, არამედ ესპანური პიესა უდევს — ჟორდი გალსერანის „გრონჰოლმის მეთოდი."

როგორც ჩანს, გლობალიზაციის მსოფლიო პროცესში საქართველოს ჩართვას, ჩვენი ქვეყნისათვის მრავალ პოზიტიურ შედეგთან ერთად, ნეგატიურიც მოაქვს. რას იზამ, ყველა მოვლენას აქვს დადებითი და უარყოფითი მხარე. „გრონჰოლმის მეთოდში" გამოვლენილი ფსიქო-სოციალური პრობლემატიკა, თანამედროვე საზოგადოების ზნეობრივი ცხოვრების ერთ, მეტად მნიშვნელოვან ასპექტს ეხება. იგი არა მარტო ესპანელთა და ქართველთა, არამედ მთელი ცივილიზებული სამყაროს ტკივილს წარმოადგენს.

ჟორდი გალსერანის პიესა მარჯანიშვილის თეატრში თემურ ჩხეიძემ დადგა. „გრონჰოლმის მეთოდი" ჩინებულად თარგმნა მწერალმა თამაზ გოდერძიშვილმა. ბოლო რამდენიმე ათეული წლის მანძილზე სწორედ იგი მუშაობს თ. ჩხეიძესთან პიესების თარგმანსა თუ პროზის ინსცენირებაზე. ამ შემთხვევაშიც ძალიან კარგი შედეგი მივიღეთ.

სიამოვნებით მინდა აღვნიშნო, რომ რეჟისორი სანკტ-პეტერბურგიდან სამშობლოში საბოლოოდ დაბრუნდა. ამიტომაც იმედი მაქვს და მიხარია, რომ ქართველ მაყურებელს ამიერიდან, მის შემოქმედებასთან შეხვედრის კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობა ექნება, ვიდრე უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში.

სანამ უშუალოდ სპექტაკლზე ვისაუბრებ, მინდა პიესის ავტორზე მოგითხროთ, მით უფრო, რომ ქართული თეატრალური საზოგადოებრიობა მას თითქმის არ იცნობს. ჟ. გალსერანის „გრონჰოლმის მეთოდი" ჩვენში პირველად დაიდგა.

მსოფლიოში სახელგანთქმული ესპანელი დრამატურგი, მწერალი, სცენარისტი და მთარგმნელი ჟორდი გალსერანი 1964 წელს დაიბადა. დაამთავრა ბარსელონას უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს პიესების წერა დაიწყო. მისი დრამატურგიული ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია: „სერფინგი," „მიჯაჭვული სიტყვები" (ამ პიესის მიხედვით გადაღებულია ფილმი, ჟ. გალსერანს კი მიენიჭა პრემია „ბორნი" თეატრალური ხელოვნების სფეროში, კრიტიკის პრემია, აგრეთვე პრემია საუკეთესო სცენარისათვის ფანტასპორტოს ფესტივალზე), „დაკოტა," „გაქცევა," „კარნავალი," „კანკუნი," მიუზიკლი „გაუდი," „გრონჰოლმის მეთოდი" (მის საფუძველზე ფილმი გადაიღო რეჟისორმა მარსელო პინეირომ). ჟ. გალსერანის სცენარის მიხედვით გადაღებულია ფილმი „სიმყიფე" (რეჟ. ჟუამ ბალაგერო). ამჟამად დრამატურგი მიუზიკლ „მეფე-ლომის" ესპანურენოვან ადაპტაციაზე მუშაობს. ჟ. გალსერანი რამდენიმე მოთხრობის ავტორია, ესპანურად თარგმნა კარლო გოლდონისა და ნილ საიმონის პიესები, ნიკოლოზ გოგოლის „რევიზორი."

„გრონჰოლმის მეთოდი" — ჟ. გალსერანის ყველაზე პოპულარული პიესა — მრავალ ენაზეა თარგმნილი. იგი მსოფლიოს არა ერთ თეატრში დაიდგა. თ. ჩხეიძემ ეს პიესა, თავდაპირველად, 2012 წლის ნოემბერში

სანკტ-პეტერბურგის გ. ტოვსტონოგოვის სახელობის დიდ დრამატულ თეატრში დადგა. სპექტაკლის მხატვარი იქაც გიორგი ალექსი-მესხიშვილი იყო.

ეს ნაწარმოები, ერთი შეხედვით, დეტექტივია. მართალია, იქ არ არის დევნა, მკვლელობა, გამოძიება ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით, მაგრამ მაყურებელი, უპირველეს ყოვლისა, მაინც სიუჟეტს ადევნებს თვალს, მოვლენათა თანმიმდევრობას, პერსონაჟთა სცენურ ქმედებას. მას აინტერესებს, რით დამთავრდება ეს დაძაბული, ხშირად დაუნდობელიფსიქოლოგიურიორთაბრძოლა. თუმცა, დეტექტური კოლიზია, სიღრმისეული პრობლემებით აღსავსე ამ პიესის მხოლოდ ზედაპირული შრეა.

თ. ჩხეიძე ფსიქოლოგიური თეატრის, განცდის ხელოვნების ერთგულია მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე. ამ პრინციპისთვის მას არასოდეს უღალატია როგორც წარმატებულ, ასევე — ნაკლებად წარმატებულ სპექტაკლებში. ჟ. გალსერანის ფსიქო-სოციალური დრამა არაჩვეულებრივად ეხმიანება არა მარტო რეჟისორის, როგორც პიროვნებისა და მოქალაქის, სატკივარს, არამედ, მის უმთავრეს შემოქმედებით მრწამსსაც. ჩინებულ შესაძლებლობას აძლევს საკუთარი თეატრალური გამომსახველი საშუალებების სცენაზე სრულად წარმოჩენისათვის. თავადაც წერს ამის შესახებ: „ხდება ის, რასაც თავიდანვე ვვარაუდობდი. რეპეტიციიდან რეპეტიციამდე პიესა სულ უფრო რთული და საინტერესო ხდება. საუკეთესო მასალაა ფსიქოლოგიური თეატრისათვის. დიდი ხანია არ შემხვედრია თანამედროვე პიესა, რომელზედაც ასე საინტერესო იქნებოდა მუშაობა. შესანიშნავად მიდის რეპეტიციები, ერთობლივად ვეძებთ განწყობილებათა, აზრთა და საქციელთა საწყისებს. დრო გვაჩვენებს, რამდენად სწორია ჩვენი ვარაუდები.“ მართალია, თ. ჩხეიძე ყოველივე ამას სანკტ-პეტერბურგის წარმოდგენის დადგმის პროცესში წერდა, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ქართულ სპექტაკლზე მუშაობაც ასეთივე საინტერესო და სასიამოვნო იყო მისთვის და მისი არტისტებისათვის. ეს სპექტაკლის ხილვისას აშკარად იგრძნობა.

სცენაზეა ჰოლდინგის თანამედროვე ოფისი. დღეს ასეთებს საქართველოშიც ხშირად ვხვდებით. ფირმა „დეკიამ“ კონკურსი გამოაცხადა მაღალანაზღაურებადი, პრესტიჟული თანამდებობის დასაკავებლად. საკონკურსო შერჩევის შემდეგ, ერთ ადგილს ოთხი კონკურენტი ეცილება ერთმანეთს. ვის აირჩევს ფირმა? ვინ გაიმარჯვებს და რა გზით?

თავიდან, ერთი შეხედვით, ყველაფერი ჩვეულებრივი გასაუბრებით იწყება. ეს, თითქოსდა ფორმალური შემოწმება თანდათანობით ხან მოხდენილი ინტელექტუალური პაექრობის სახეს იღებს, ზოგჯერ პოპულარულ თამაშ „მაფიოზობანას“ გვაგონებს, დრო და დრო კი, სოციალურ ფსიქოლოგიაში გავრცელებული ე.წ. „როლის თეორიის“ მეთოდების გამოყენება ხდება. გრონჰოლმის მეთოდი ადამიანის შინაგანი ბუნების გამოვლენის არა ერთ, ხშირად უღირს და ეშმაკურ ხერხს ეყრდნობა იმისათვის, რომ ხელმძღვანელის პოსტი ფირმისათვის ყველაზე მისაღებმა კანდიდატურამ დაიკავოს. როგორი უნდა იყოს თანამედროვე ლიდერი? რა მოთხოვნებს უყენებს მას საზოგადოება? ამ პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია დაქირავებულ ფსიქოლოგთა დახმარებით, გრონჰოლმის მეთოდით, რომელიც გარკვეულ ვითარებებზე დამოკიდებულ ადამიანს ან მტაცებლად აქცევს, ან — მის მსხვერპლად. მთავარია ტესტების საშუალებით ამოვიცნოთ ნაძირალა, რომელიც თავს წესიერ ადამიანად გვაჩვენებს. მოქმედება მიმდინარეობს მასიური კედლების მქონე დახშულ სივრცეში, რომლის ცენტრშიც, შუშის მაგიდის თავზე — უზარმაზარი პროჟექტორია, მაგიდის გარშემო — ტყავის საოფისე სავარძლები — უსახური, უსიცოცხლო, ასკეტური, ამავე დროს, სტანდარტული სამყარო. ორი კარი აივანზე გადის. იგი სიმწვანეშია ჩაფლული. მხატვარი გ. ალექსი-მესხიშვილი თითქოს მიგვანიშნებს — აქვე, ახლოს მშვენიერი, სისხლსავსე, ნამდვილი ცხოვრება ჩქეფს, წარმოდგენის გმირები კი უსიცოცხლო სამყაროში ჩაკეტილან.

სპექტაკლის მოქმედება რეალურ დროში მიმდინარეობს. წარმოდგენა იმდენ ხანს გრძელდება (2 საათსა და 15 წუთს უანტრაქტოდ), რამდენი ხანიც, სავარაუდოდ, დაჭირდებოდა ამ თავისებური ექსპერიმენტის ჩატარებას ცხოვრებაში — ფირმა „დეკიას“ სტოკჰოლმის სათაო ოფისის ხელმძღვანელის, ისაია გრონჰოლმის მეთოდის პრაქტიკულ განხორციელებას.

ორი საათის განმავლობაში, სტერილურსა და შემაშფოთებლად ცივ გარემოში, სამი მამაკაცი და ერთი ქალი, რომლებსაც წარმატებული ფირმის ხელმძღვანელის პოსტის დაკავება სურთ, შემოწმებას გადიან. ისინი ვალდებულნი არიან უპასუხონ ნებისმიერ, თვით ყველაზე ფარულ, ინტიმურ საკითხსაც კი, რადგან მოსამსახურის პირად ცხოვრებასაც ფირმა აკონტროლებს. კანდიდატს არა აქვს სხვისი შეცოდების, თანაგრძნობის უფლება. სამსახურის მსურველთაგან სამი საბოლოოდ ფირმის ფსიქოლოგი აღმოჩნდება. მხოლოდ ფერნანდოა ულმობელი ექსპერიმენტის მსხვერპლი. თუმცა იგი, შემოსავლის გულისათვის, ყველაფერზე წავა.

თ. ჩხეიძის სპექტაკლში ოთხი მსახიობი თამაშობს — ოთხი ნიჭიერი ადამიანი, შესანიშნავი პროფესიონალი, გამოცდილი არტისტი: ეკა ჩხეიძე (მერსედესი), ნიკა თავაძე (ფერნანდო), ალეკო მახარობლიშვილი (ენრიკე) და აპოლონ კუბლაშვილი (კარლოსი). ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა წარმატებული დებიუტი მივულოცო აპოლონ კუბლაშვილს მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე. სამ მსახიობს მარტო საკუთარი პერსონაჟის შექმნა კი არ უწევს, არამედ გრონჰოლმის მეთოდით გათვალისწინებული ე.წ. შემოგზავნილი პირებისა, თან, სხვადასხვა შემთხვევაში, სრულიად განსხვავებული ტიპაჟებისა. ისინიც შერჩევის ამ სასტიკი სისტემის მსხვერპლნი არიან, ერთგვარი ადამიანური მასალა, რომელმაც დღეს ერთი პიროვნება უნდა ითამაშოს, ხვალ კი — სრულიად სხვანაირი ადამიანი. ოღონდ არა სცენაზე, არამედ ცხოვრებაში. მათი ფანტაზია და იმპროვიზაციის უნარი მხოლოდ



**ფერდინანდი — ნიკა თავაძე**



**მერსედესი — ეკა ჩხეიძე**

მეთოდით გათვალისწინებული სქემის მკაცრ ჩარჩოებშია მოქცეული.

თ. ჩხეიძემ არაჩვეულებრივი სამსახიობო ანსამბლი შექმნა, ჩინებული კვარტეტი, რომლის სიძლიერე, უპირველეს ყოვლისა, ნიჭიერ შემსრულებელთა „თანახმიერებაშია.“ ზოგ სცენაში ერთია სოლისტი, ზოგან — მეორე. ხან დუეტი თამაშდება ჩვენ თვალწინ, ხან — ტრიო, ხან — სოლო-მონოლოგი. მაგრამ, საბოლოო ჯამში, ეს შესანიშნავ პროფესიონალთა შეკრული კვარტეტია, რომელსაც რეჟისორი თ. ჩხეიძე ხელმძღვანელობს. სწორედ ესაა ამ სპექტაკლის უპირველესი ღირსება.

როგორც მოგახსენეთ, პიესაში ოთხი მსახიობია, მაგრამ სპექტაკლში, ვფიქრობ, ხუთი პერსონაჟია. არის კიდევ ერთი, უხილავი, მაგრამ ძალზე აქტიური მოქმედი პირი — ფირმის ხელმძღვანელი, რომელიც საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს. მის მიერ კანდიდატებისათვის დავალებების შეთავაზება თავისებურად ხდება, თან — გარკვეული პერიოდულობით, მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი საჭიროდ თვლის. ალბათ გახსოვთ, როგორ მიმართავს ცნობილი ზღაპრის პერსონაჟი ალი-ბაბა ჯადოსნური გამოქვაბულის კარს: „სეზამ, გაიღე!“ „გრონჰოლმის მეთოდში“ ამგვარი კარის მოვალეობას სცენის სიღრმეში მოთავსებული სარკმელი ასრულებს — თავისებური საფოსტო ყუთი. სანამ არ გაიღება, ვერც ამჩნევ. ექსპერიმენტის მონაწილენი დავალებებს სწორედ იქიდან იღებენ. ყველასათვის ნაცნობი, ლირიკული, იდილიური მელოდიის (ბეთჰოვენის „ელიზასათვის“) ფონზე სარკმლიდან ახალ-ახალი დავალებები იგზავნება. ფირმის უხილავი უფროსის მუდმივი არსებობის თავისებურ სიმბოლოდ გვევლინება აგრეთვე ცენტრში დაკიდული პროჟექტორი. მას პერსონაჟები ზოგჯერ პირდაპირ მიმართავენ, როგორც სავარაუდო ვიდეოთვალს.

შემოწმების პროცესში კანდიდატები რამდენიმე განსხვავებულ დავალებას ასრულებენ. საბოლოო ჯამში მათი მიზანი სასტიკი, არაადამიანური და ულმობელია:



**კარლოსი — აპოლონ კუბლაშვილი**



**ენრიკე — ალეკო მახარობლიშვილი**

ადამიანის ფსიქიკის ღრმა, ზოგჯერ მისთვისაც კი ფარული შრეებიდან, რაც შეიძლება მეტი სიბინძურე ამოატივტივონ — ცინიზმი, გულგრილობა, ბოროტება, თვალთმაქცობა, ანგარება, ეგოიზმი და ა.შ. ტესტირება რამდენიმე ეტაპად ტარდება:

1. უნდა ამოიცნონ დეპარტამენტის შტატიანი თანამშრომელი.

2. სამმა მონაწილემ უნდა გადაწყვიტოს, განაგრძობს თუ არა მუშაობას საზღვარგარეთულ პროექტზე ენრიკე, რომელმაც ცოლს უღალატა, შემდეგ კი გაშორდა.

3. „ჯადოსნური სარკმელი" მოთამაშეებს ტორეროს ქუდს, ჯამბაზის ჩაჩს, პოლიტიკოსის ცილინდრსა და ეპისკოპოსის მიტრას სთავაზობს. მათ ეს ქუდები უნდა მოირგონ ისევე, როგორც მათ მფლობელთა როლები და დაუმტკიცონ ერთმანეთს, რომ მხოლოდ ერთ მათგანს ეკუთვნის პარაშუტი ცეცხლმოკიდებული თვითმფრინავიდან.

4. კანდიდატებმა უნდა გადაწყვიტონ, დარჩეს თუ არა ფირმაში სამუშაოდ კარლოსი, რომელმაც სქესის შეცვლა გადაწყვიტა.

5. და ბოლოს, ე.წ. „ორმაგი ამოცანის" პრინციპი: სცენაზე დარჩენილმა ორმა კანდიდატმა — ფერნანდომ და მერსედესმა — ერთმანეთისაგან დაფარული დავალებები უნდა შეასრულონ. პარტნიორს ის უნდა გააკეთებინო, რაც შენს კონვერტში წერია. ფერნანდომ უნდა აატიროს „რკინის ლედი" მერსედესი, რომელმაც ტესტირება დედის გარდაცვალების გამოც კი არ დატოვა. ნიკა თავაძის გმირი ამ ამოცანას ჩინებულად ართმევს თავს.

თითქოს ყველაფერი რიგზეა. ფერნანდო ერთადერთი კანდიდატი აღმოჩნდა. და უცებ, მოულოდნელი სიუჟეტური სვლა, რომლისკენაც ასე ოსტატურად მივყავდით რეჟისორსა და მსახიობებს სიტუაციის თანდათანობითი დაძაბვით — აღმოჩნდა, რომ ფერნანდოს გარდა ყველა ანგაჟირებული ფსიქოლოგია. მაყურებელი ამ მოვლენას ტაშით შეხვდა. დეტექტივი დასრულდა. მაგრამ „გრონჰოლმის მეთოდი" დეტექტივი არ არის, მიუხედავად იმისა, რომ ამ მომენტამდე ვერ მიხვდები, ვინ არის ნამდვილი კანდიდატი და ვინ — მოჩვენებითი. ამიტომ, მაშინაც კი, როდესაც თითქოს ყველაფერზე პასუხი გაცემულია, მაინც რჩება კითხვა: დანიშნავენ თუ არა პრესტიჟულ თანამდებობაზე ფერნანდოს.

აღმოჩნდა, რომ იგი გამარჯვებას ნაადრევად ზეიმობს. ფსიქოლოგთა საბოლოო დასკვნის თანახმად, ფერნანდოს აგრესიულობა და თავდაჯერებულობა ყალბი, ნაძალადევი და მოჩვენებითია. სინამდვილეში იგი უიღბლო და უბედური კაცია. დედის გარდაცვალების შემდეგ ღრმა და ხანგრძლივ დეპრესიაში ჩავარდა (ეს კი ფირმის თანამშრომლისთვის სასტიკად აკრძალულია), ცოლთან გაყრილია, ჰომოსექსუალ ძმასთან ურთიერთობა არა აქვს. ფირმას კი ასეთი ადამიანი არაფრად უნდა. მას არ ესაჭიროება კარგი კაცი, რომელიც თავს ნაძირალად ასაღებს. იგი ეძებს ნაძირალას, რომელიც კარგ კაცს ძალიან ჰგავს.

მარტო დარჩენილი ფერნანდო ჩაკეტილი სივრციდან, ერთგვარი ჯადო წრიდან ვერ გადის. გამოსავალი არ არის. როსინის მუსიკის ფონზე პროჟექტორი ამოძრავდა, თვალისმომჭრელი სინათლე ჯერ ფერნანდოს შეანათა, შემდეგ კი მაყურებელთა დარბაზს რამდენჯერმე გადაუარა. არა მარტო იმის საჩვენებლად, რომ სპექტაკლი ყოველ ჩვენგანს ეხება, არამედ კიდევ ერთი კანდიდატის მოსაძებნად. დიახ, ყოვლისმხილველი ვირტუალური თვალი ახალ მსხვერპლს ეძებს. ვინ იქნება შემდეგი?

**ვბეჭდავთ-რა, ქ-ნ მ. გეგეჭკორის რეცენზიას, გამოვთქვამთ დიდ სიხარულს იმასთან დაკავშირებით, რომ თემურ ჩხეიძე დაბრუნდა საქართველოში. გვჯერა, იგი კვლავაც არაერთგზის გაახარებს ქართველ მაყურებელს.**

**„თეატრი და ცხოვრების" რედაქცია**



# „მსოფლიო გლობუსში", ანუ რატომ დაბრუნდა მარჯანიშვილის თეატრი შექსპირის მემორიალურ სცენაზე?

**ლაშა ჩხარტიშვილი**

ლონდონი 6-11 მაისს ერთდროულად ორ საერთაშორისო კულტურულ ღონისძიებას მასპინძლობდა.

1. „მსოფლიო გლობუსში", რომლის ორგანიზატორიც შექსპირისავე თეატრი „გლობუსია" და

2. „საქართველო - ხელოვნება ღვინოში და ღვინო ხელოვნებაში" - ფესტივალი გრძელი ლოზუნგით, რომელსაც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო ბრიტანულ-ქართულ სავაჭრო პალატასთან ერთად ახორციელებს.

ფესტივალის „საქართველო - ხელოვნება ღვინოში და ღვინო ხელოვნებაში" ჩატარების იდეა ქართველ ემიგრანტებს (მაკო აბაშიძე) მას შემდეგ დაებადათ, რაც ქართულმა თეატრმა, კერძოდ, მარჯანიშვილის თეატრმა გასულ წელს ლონდონში, შექსპირის თეატრში ნამდვილი ფურორი, თეატრალური სასწაული მოახდინა. წარმოგიდგენიათ მსოფლიოს 37 ქვეყნის თეატრებს შორის „გარდიანის" ხუთი ვარსკვლავი მხოლოდ ქართულმა თეატრმა, მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლმა „როგორც გენებოთ" მოიპოვა.

იმდენად დიდი იყო მაყურებლის მოთხოვნა სპექტაკლზე, რომ შექსპირის „გლობუსის" ხელმძღვანელობამ პროექტიდან „მსოფლიო გლობუსში" ოცდაჩვიდმეტიდან (მათ შორის მდიდარი თეატრალური ტრადიციის ქვეყნებიდან) ოთხი საუკეთესო სპექტაკლი ფესტივალის ერთი წლისთავზე კვლავ მიიწვია მის სცენაზე წარმოდგენების გასამართად. ლონდონში ეს მნიშვნელოვანი ღონისძიება გახდა საბაბი ახალი იდეისა - ქართული ღვინის პრეზენტაცია „ვინოპოლისში" (მსოფლიო ღვინის საგამოფენო დარბაზი) და გამოფენის — „შექსპირი ქართულ თეატრში და შექსპირის თემაზე შექმნილი მხატვრობა" მოწყობა საქართველოს თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის მიერ.

„გლობუსში" განმეორებით მოპატიჟებულ ოთხ საუკეთესო თეატრს შორის არიან: სამხრეთ აფრიკა (ქალაქ კაპეს თეატრი სპექტაკლით „ვენერა და ადონისი", რეჟისორი მარკ დორნფორდ-მეი), ინდოეთი (ოოტსბარნ-ის თეატრი წარმოდგენით „ქარიშხალი", რეჟისორი პედი ჰეიტერი), ბელარუსი (ბელარუსის „თავისუფალი თეატრი" მინსკიდან სპექტაკლით „მეფე ლირი", რეჟისორი ვლადიმერ შჩერბანი) და საქართველო (მარჯანიშვილის თეატრი ლევან წულაძის სპექტაკლით „როგორც გენებოთ"). ამ ოთხი საუკეთესო სპექტაკლიდან მარჯანიშვილის თეატრის წარმოდგენის აფიშა სხვებისგან „გარდიანის" ხუთი ვარსკვლავით გამოირჩევა. აი, კიდევ ერთი განმასხვავებელი უპირატესობა ქართული თეატრისა სხვა თეატრებისაგან. (დანარჩენ თეატრებს პრესისა და კრიტიკისგან ოთხი ვარსკვლავი ერგოთ). მოკლედ, ქართული შექსპირი, ანუ „როგორც გენებოთ" ბრიტანულმა პუბლიკამ და კრიტიკამ თბილად, სიყვარულითა და ოვაციებით მიიღო. დღეს ვერაფერს მოიტყუებ, მაგრამ ხომ გახსოვთ, რუსული ანდაზა „ენდე, მაგრამ გადაამოწმე", თქვენც შეგიძლიათ გადაამოწმოთ. საბედნიეროდ, საბჭოთა პერიოდისგან განსხვავებით, ტექნიკა იმდენად განვითარდა, რომ ბრიტანული გამოხმაურების ხილვა ინტერნეტში „შექსპირის გლობუსის" და „გარდიანის" ოფიციალურ ვებგვერდებზე შეიძლება.

„როგორც გენებოთ" ვერ ვიტყვი, რომ ცივად მიიღო ქართველმა მაყურებელმა, მაგრამ დიდი აღტაცება რომ არ გამოუხატავს ქართულ სათეატრო კრიტიკას, ესეც ფაქტია. უფრო მეტიც, ტრადიციულად მას მოწინააღმდეგეებიც გამოუჩნდნენ. ქართული სნობიზმი, რომელზეც ადრეც ბევრჯერ ვწერდი, იმდენად მძლავრი აღმოჩნდა, რომ „გლობუსში" გამოწვეულმა წარმატებამ და ვერც „გარდიანის" ხუთვარსკვლავიანმა შეფასებამ ვერ სძლია. რას ვიზამთ, ეს ჩვენი თვისებაა, შეცდომებზე ვერ ვსწავლობთ, კვლავაც იგივე შეცდომებს ვუშვებთ.

ახლა კი უშუალოდ ის მინდა გიამბოთ, რაც 6 მაისის ღამით ხდებოდა „გლობუსში".

დილა „გლობუსში" რეპეტიციით დაიწყო, მაგრამ მანამდე „გლობუსის დედად" წოდებულმა მატილდა ბლუმმა ქართველი მსახიობები სცენაზე მოიხმო და ტრადიციულ რიტუალში ჩართვა შესთავაზა. წრეზე ხელიხელჩაკიდებულმა ქართველმა მსახიობებმა მიწისა და ცის დადებითი ენერგიის მიღების რიტუალი ინსტრუქციის მიხედვით შეასრულეს. მსახიობებმა

რიტუალი ყველა წესის დაცვით ჩაატარეს, მაგრამ რიტუალის მაგიური ძალის სპექტაკლის წარმართვაზე დადებითი გავლენის მოლოდინი თითქოს ყველაზე მეტად მსახიობმა ნატო მურვანიძემ იგრძნო, ისე საგულდაგულოდ, სრული სერიოზულობით შეასრულა რიტუალი. როგორც ჩანს, ზეციდან და მიწიდან მიღებული ენერგია მართლაც, ქმნის განსაკუთრებულ განწყობას, გაძლევს რწმენას წარმატებისათვის. სწორედ ამ რიტუალის შემდეგ დაიწყო რეპეტიცია, რომელიც საექსკურსიო ტურების პარალელურად მიმდინარეობდა. სამი საათის განმავლობაში მარჯანიშვილის თეატრის რეპეტიციაზე დასასწრებად ოცამდე ჯგუფი შემოვიდა, რომელიც სულგანაბული იარუსებიდან ინტერესით ადევნებდა თვალს ქართველ მსახიობებს.

„გლობუსის" სცენაზე, რომელიც სამივე მხრიდან მაყურებელთა დარბაზს უერთდება, მარჯანიშვილის თეატრის მსახიობები თავს თავისუფლად და შინაურად გრძნობდნენ, მეტისმეტი სითამამე მსახიობ როლანდ ოქროპირიძეს ეტყობოდა, მაგრამ რაც აერთიანებდათ მათ, ეს იყო მოუთმენელი სურვილი მაყურებელთან შეხვედრის, რომელთა გულისცემა ორივე მხარეს კარგად ესმით. მიუხედავად ქართველი არტისტების „გლობუსში" მოშინაურებისა, სპექტაკლის დაწყების წინ მაინც ღელავდნენ ყველაზე ლაღი მსახიობები: ნიკა კუჭავა, მანანა კაზაკოვა, ნატუკა კახიძე და ქეთა შათირიშვილი. დარბაზში მაყურებელთა ჩოჩქოლი კულისებში ისე ისმის, როგორც თავად დარბაზში. პირველივე სპექტაკლზე მაყურებლით გადაიჭედა „გლობუსის" იარუსები, ცარიელი ადგილი არ იყო სცენის წინ, სადაც ტრადიციულად ფეხზე დასადგომი ბილეთები იყიდება.

სპექტაკლის დაწყებამდე მარჯანიშვილის თეატრის დასს „გლობუსის" სამხატვრო ხელმძღვანელი, იუმორის გრძნობით გამორჩეული დომინიკ დრომგულე თავის მსახიობებთან ერთად შეხვდა, რომელმაც მასპინძლის საგანგებო სიტყვით მიმართა ქართველ მსახიობებს: „კეთილი იყოს თქვენი დაბრუნება „გლობუსში"... ძალიან გახარებულები ვართ, მაგრამ უკიდურესად გვაწყენინეთ შარშან, იმიტომ, რომ აქ ჩამოხვედით და თან გვასწავლეთ, როგორ უნდა ვითამაშოთ შექსპირი. ეს კი ძალიან დასაფიქრებელი ამბავი იყო. როგორც კი ვიფიქრეთ, რომ მოდი დავპატიჟოთ თეატრები უკან, პირველ რიგში თქვენზე ვიფიქრეთ, რადგან ამ თეატრში ძალიან კარგ და დადებით ატმოსფეროს ქმნის თქვენი თეატრი. შარშანდელი ფესტივალი არ გვინდოდა ერთი დღის, ერთი ღამის ფესტივალი ყოფილიყო, ჩვენ ვფიქრობდით ხანგრძლივ ურთიერთობებზე, დამეგობრებაზე. კარგია, რომ თქვენ ბევრს იმოგზაურებთ, მაგრამ ყველაზე კარგია, რომ თქვენ კვლავ აქ ხართ, ჩვენთან — „გლობუსში".

ამის შემდეგ დომინიკ დრომგულემ მსახიობებს ონისე ონიანს და როლანდ ოქროპირიძეს თითო-თითო ბოთლი ქართული შავი ღვინო მიაწოდა და კიდევ ერთი ტრადიციული რიტუალის ჩატარება შესთავაზა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ სცენიდან პარტერში მთელს პერიმეტრზე ღვინოს ასხამენ, შემდეგ კი დასის ყველაზე უმცროსი წევრი მასპინძელ მსახიობთან ერთად ცაში გულის ფორმის საჰაერო ბურთებს უშვებს. მარჯანიშვილის თეატრიდან ეს პატივი ქეთა შათირიშვილს ერგო. სწორედ ამ რიტუალის დასრულების შემდეგ რამდენიმე წუთში დაიწყო წარმოდგენა, რომლის პრემიერა სწორედ





ამ სცენაზე ზუსტად ერთი წლის წინ გაიმართა. ხშირად იმეორებდნენ მსახიობები, რომ ეს სპექტაკლი ამ სცენისთვის არის დადგმული და ამიტომაც გრძნობენ თავს ორგანულად სწორედ ამ სივრცეში.

ლევან წულაძის „როგორც გენებოთ“ ნამდვილი ეგზოტიკა და რომანტიკაა ბრიტანელი მაყურებლისთვის, ნამდვილი პირველყოფილი თეატრი, სპექტაკლი ყოველგვარი სპეცეფექტების და ტექნიკური სირთულეების გარეშე. სწორედ სპექტაკლის სადა სტილი, განვითარებადი რიტმი და ხალასი მსახიობი ხიბლავს ბრიტანელ მაყურებელს, სადაც არტისტი „შიშველია“ და მხოლოდ რეჟისორის ფანტაზიის და საკუთარი ნიჭიერების ამარაა. დიდი იშვიათობაა სწრაფი ტექნიკური პროგრესის პირობებში, როცა უამრავი ცდუნების წინაშე დგას რეჟისორი, მაყურებელს შესთავაზო მარტივი, ერთდროულად მსუბუქი იუმორით და დრამატიზმით გაჯერებული წარმოდგენა, რომელიც ადამიანების ფანტაზიის ნაყოფია მხოლოდ და არა მანქანის.

ფეხზე მდგარი ვადევნებდი სპექტაკლს თვალს კომპლექსებისგან გათავისუფლებულ მაყურებელთა შორის, რომელიც თავისუფლად გამოხატავს ემოციას და თავის დამოკიდებულებას სპექტაკლისადმი და მთლიანად ერთვება მასში, რომელიც ზუსტად რეაგირებს და მხედველობიდან არ ეპარება არაფერი, რაც სცენაზე ხდება. ეს ის მაყურებელია, რომელსაც არ სურს დატოვოს დარბაზი და ძნელად ეთხოვება მსახიობებს. აი, ასეთი მჭიდრო, ცოცხალი და უშუალო კავშირი დამყარდა მაყურებელსა და მსახიობებს შორის. მაყურებელსა და მსახიობებს შორის დამყარებულ ინტიმს ყოველ ორ წუთში „გლობუსის“ თავზე გადაფრენილი თვითმფრინავები არღვევდა, რომელსაც სპექტაკლის მიმდინარეობისას მხოლოდ ერთი, თითქოს შეუმჩნეველი მიმიკით „შეუბღვირა“ ნიკა კუჭავამ ისე, რომ დარბაზში მაყურებელი გვარიანად იცინოდა. ემოციის და რეაქციის გარეშე არ ჩაუვლია სპექტაკლის არც ერთ ეპიზოდს, მაყურებელი იმთავითვე გრძნობდა თითოეული მონაკვეთის განწყობას და ემოციურ ტონს.

„გლობუსში“ მარჯანიშვილის თეატრის წარმოდგენებმა დიდი წარმატებით ჩაიარა.

რა განაპირობებს წარმატებას? სამუშაო საათებში სპექტაკლზე დამსწრე მაყურებელთა რაოდენობა (მოგეხსენებათ, აქ ხალხი სისტემატურად მუშაობს, თბილისს კი არ ჰგავს, ქუჩაში „ბირჟები“ უსაქმურებით რომ არის სავსე), ყოველ სპექტაკლზე მინიმუმ 300 მაყურებელი ფეხზე მდგარი მისჩერებია სცენას (standing ticket-ით შემოსულები დარბაზში) და ბოლომდე რჩებიან სპექტაკლზე არცთუ სახარბიელო ამინდში (ლონდონში ამინდი მუდმივ რეჟიმში იცვლება დღისით ტემპერატურა 8°-10° მერყეობს, საღამოობით კი 4°-8° ეცემა, ქარის სიჩქარე კი 24 კმ/სთ-ია.). ლევან წულაძის, შესაბამისად, ზოგადად, ქართული თეატრის წარმატებას ისიც განაპირობებს, რომ ქართველმა რეჟისორმა და არტისტებმა ათქმევინეს:

1. „გლობუსის“ სამხატვრო ხელმძღვანელს **დომინიკ დრომგულის:** „მადლობა, რომ ისევ ჩამოხვედით და თან გვასწავლეთ, როგორ უნდა ვითამაშოთ შექსპირი...“;

2. „გლობუსისავე“ გენერალურ მენეჯერს, დოქტორს და შექსპირის მკვლევარს **ტომ ბერდს** - „აი, ასე უნდა ითამაშოს ყველამ შექსპირი, ალბათ, ავტორი ამ სპექტაკლის ნახვით ბედნიერი იქნებოდა...“;

3. აღმატებითი სიტყვებით შეაფასა სპექტაკლი თეატრმცოდნემ და პროფესორმა **ენდრი მერიმ:** „დიდებული სპექტაკლია, ვეთანხმები „გარდიანს“ შეფასებაში, ის არასდროს ცდება, ძალიან კარგ ხასიათზე დავდექი...“;

4. **მაიკლ რიჩარდსონი**, დამოუკიდებელი ბიზნესმენი: გუშინ ვიყავი „გლობუსში” და „ქარიშხალი” ვნახე ინგლისურ ენაზე მიდიოდა, დღეს კი შექსპირისავე „როგორც გენებოთ” ქართულ ენაზე ვნახე. ეს არის აბსოლუტურად უნივერსალური და ყველასათვის გასაგები ინტერპრეტაცია შექსპირისა, იუმორით გაჯერებული. მიუხედავად იმისა, რომ ქართული სიტყვები არ მესმის, სპექტაკლი ძალიან მომწონს მისი უნივერსალური ენის და კომუნიკაციის გამო.

5. **ულისა ანგელო**, დიზაინერი: დიდებულია, ძალიან კარგი და არაჩვეულებრივი სპექტაკლია, ნამდვილი საოცრება, ეს სპექტაკლი კი არა, ფილმია, რომელსაც თვალს ვერ აშორებ.

6. **რაინერ ვერცი**, შექსპირის ფესტივალის დირექტორი კიოლნში: 25 წელია ჩვენ ვატარებთ გერმანიაში შექსპირის ფესტივალს ჩვენს პატარა „გლობუსში”, კიოლნში. მიმდინარე წელსაც ჩვენ ველოდებით თეატრებს მსოფლიოს 45 ქვეყნიდან. ივნისში მარჯანიშვილის თეატრი ითამაშებს ფესტივალზე ლევან წულაძის შეუდარებელ სპექტაკლს „როგორც გენებოთ“ და დარწმუნებული ვარ ექნება დიდი წარმატება. მომწონს ამ სპექტაკლის რომანტიკულობა

ირონიულობის ჩათვლით, თავიდან, დასაწყისში, ფიქრობ, ვინ ვინ არის და ვინ რას აკეთებს სცენაზე, რა არის ირონია, რა არის რეალობა, ეს არის სპექტაკლი სპექტაკლში და ძალიან მომწონს მიზანსცენები. მაყურებელს სპექტაკლებში რომანტიკული მხარე ძალიან მოსწონს, ამ სპექტაკლში კი, შესახებად, არის რომანტიკა და გულში ჩამწვდომია და ეს ამ სპექტაკლის ძალიან ლამაზი მხარეა.

7. **ტონი ქუდსი**, სცენოგრაფი: ძალიან სასიამოვნოა, რომ ჩვენ „გლობუსში" უკვე მეორედ ვუყურებთ ქართული თეატრის წარმოდგენებს. ჩვენთვის ეს იყო აბსოლუტურად გასაოცარი სპექტაკლი, ეს ნამდვილი შექსპირია, ქართველებმა გვიჩვენეს, როგორ უნდა დადგა სპექტაკლი და ძალიან გვიხარია, რომ კიდევ ერთხელ მოგვეცა შესაძლებლობა გვენახა „როგორც გენებოთ", მადლობა თქვენს თეატრს და თქვენს მშვენიერ ქვეყანას.

8. **პეტერ დოდგე**, პროფესორი: მარჯანიშვილის თეატრისთვის ძალიან რთულია და დიდი პასუხისმგებლობაა ჩამოხვიდე შექსპირის სამშობლოში, იმ ადგილას, სადაც თავად შექსპირი დგამდა სპექტაკლებს, გამოხვიდე იმ მაყურებლის წინაშე, რომელსაც არ ესმის ენა და სახიფათოა, როგორ მიიღებს მაყურებელი. მე ოთხჯერ ვნახე ეს სპექტაკლი, რომელიც არის ძალიან ვიზუალური, გენიალური, ჭკვიანური სპექტაკლი.

9. **დომინიკ დრომგული**, „გლობუსის" სამხატვრო ხელმძღვანელი: მე ქართული თეატრის ნამდვილი თაყვანისმცემელი ვარ, ლევან წულაძის „როგორც გენებოთ" არის ქართული თეატრის წარსულის ანარეკლი და დღევანდელობის ნამდვილი სახე, მისი სტილი მომხიბვლელია, დაუჯერებელი წარმოსახვა აქვს.

10. **მალუ ანსალდო**, პროდიუსერი: ძალიან აქტიურები არიან მსახიობები, სულ მოქმედებაში არიან, ჯადოსნური ფანტაზია აქვს რეჟისორს, გახსენებს იმას, რაც არის რეალურად თეატრი - ჯადოსნური, ეს არის მთელი ხიბლი და გული თეატრის, ეს ფაქტორი კი ფართოდ ძევს ამ სპექტაკლში.

11. **კაროლინა ოლდჰამი**, მსახიობის ოსტატობის პედაგოგი: შარშან ვერ ვნახე სპექტაკლი და



ძალიან გული მწყდებოდა, რომ ვერ დავესწარი. ძალიან მომეწონა მსახიობები და მათი ურთიერთობა სცენაზე, პარტნიორობა. ძალიან კარგად მუშაობენ. მე ვასწავლი მსახიობის ხელოვნებას და აუცილებლად ვურჩევ ჩემს სტუდენტებს, ნახონ ეს წარმოდგენა.

12. ასევე ჩემმა ბრიტანელმა კოლეგამ **მაიკლ ბილინკტონმა** აღტაცებულმა „მომიგდო" რამდენიმე ფრაზა: „ძალიან კარგი სპექტაკლია, დიდებული და ფანტასტიკური, მარგალიტებით სავსე..."

გაოცებული კი დავრჩი ამხელა თეატრმცოდნე, „გარდიანის" ავტორი და 2012 წლის ბრიტანეთის საუკეთესო კრიტიკოსის ტიტულის მფლობელი რას „ისვრის" ამ ფრაზებს ასე აღმატებით ხარისხში-თქო, მაგრამ არც სხვები ჩამორჩებოდნენ მას. როგორც ჩანს, ევროპული სათეატრო კრიტიკა რადიკალურად განსხვავდება პოსტსაბჭოთა პროფესიული კრიტიკისაგან.

ამ ცალსახა განსხვავებით კი ვარ გაოგნებულ-გაოცებული, რაც უდავოდ ტენდენციაა და არა ცალკეული შემთხვევა. ამ დღეების განმავლობაში რამდენიმე კოლეგასთან მქონდა შეხება, ყველა მათგანი ჩემი რესპოდენტი იყო. მათი აბსოლუტური უმრავლესობა პროფესიული შეფასებებისას არ ერიდება განწყობასა და ემოციაზე დაყრდნობით სპექტაკლზე აღმატებით ხარისხში საუბარს. კრიტიკოსები აქ ჩვეულებრივი მოკვდავები არიან, სპექტაკლის ცალკეულ სცენებზე რიგითი მაყურებელივით რეაგირებენ (ძირითადად, ხარხარებენ), ისინი პირველ ყოვლისა, მაყურებლები არიან და შემდეგ კრიტიკოსები. რა მოხდება, რომ ჩვენც, ქართველმა კრიტიკოსებმაც მოვიხსნათ მენტორის მანტია და ვიქცეთ რიგით მაყურებლად?!

მაყურებელი, პრესა, კრიტიკა კმაყოფილია, ბედნიერები არიან თავად მსახიობები, რომლებიც სპექტაკლიდან-სპექტაკლამდე იზრდებიან, ვითარდებიან, იხვეწებიან. მათ ეს მოტივაცია იმ მაყურებელმა გაუღვიძა, რომელიც უშუალო კონტაქტში შედის მსახიობებთან, მათ რეაქციის გარეშე არ რჩებათ არც ერთი ნიუანსი, ისეთებიც კი, როგორიც საქართველოში სრულიად უხმაუროდ, მაყურებლის რეაქციის გარეშე რომ ჩაივლის.

კიდევ ერთი უცნაურობა, რაც ბრიტანელ მაყურებელს შევნიშნე, სპექტაკლზე პიესით მოდიან, წიგნი ხელში უჭირავთ და თვალს ადევნებენ ტექსტისა და ქმედების თანხვედრას. ასე თურმე გერმანელები იქცევიან ოპერაში (საოპერო თეატრში პარტიტურითაც დადიან თურმე სპექტაკლებზე), მაგრამ ეს პროცესი მაქსიმუმ ათი წუთი გრძელდება, რადგან სცენაზე იმდენი რამ ხდება პარალელურად, რომ ამის გამოტოვება არავის სურს.

მოკლედ, როგორც შექსპირის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა თქვა, ქართველებმა

ვასწავლეთ, ბრიტანელებს როგორ უნდა ვითამაშოთ შექსპირი, ეს ფრაზა დარწმუნებული ვარ არც ფამილარობითაა ნათქვამი დომინიკ დრომგულის მიერ და არც იმისთვის, რომ მასპინძელი კეთილგანწყობილი და სიტყვაუხვი იყოს სტუმრების მიმართ.

მარჯანიშვილის თეატრის წარმოდგენების პარალელურად ლონდონში მიმდინარეობდა საერთაშორისო ფესტივალი - „საქართველო - ღვინო ხელოვნებაში და ხელოვნება ღვინოში", რომელიც საქართველოს კულტურის სამინისტროს დაფინანსებითა და ქართულ-ბრიტანული სავაჭრო პალატის (მაკო აბაშიძე) ორგანიზებით ხორციელდება, ვერ ვიტყვი, რომ ივენთებზე და პრეზენტაციებზე უზარმაზარი „ვინოპოლის"-ის ქართული ღვინის დარბაზი სტუმრებით და დამსწრეებით იყო გადაჭედილი-თქო, მაგრამ ვინც მოდიოდა, ყველა „წონიანი" ბიზნესმენი ან ჟურნალისტი და კრიტიკოსი იყო. ყოველ შემთხვევაში, „ვინოპოლის"-ში ყოველ საღამოს ქართული კულტურისა და ღვინის თაყვანისმცემლები იყრიდნენ თავს.

ფესტივალის ფარგლებში მოეწყო თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის და მარჯანიშვილის თეატრის პრეზენტაცია. ეკა მაზმიშვილმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო მარჯანიშვილის თეატრის თანამედროვეობა, საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ისტორია და სამომავლო გეგმები. ანი მაისურაძემ და მანანა ბერიკაშვილმა ისაუბრეს შექსპირისა და ქართული თეატრის ურთიერთობაზე, იმ ტრადიციებზე, რაც ქართულ თეატრში შექსპირის პიესებს უჭირავს. ასევე მოეწყო ქართული ღვინის დეგუსტაცია, ხალხური რეწვის გამოფენა და ქართული ტკბილეულის გამოფენა.

ამ ღონისძიებებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო გამოფენები „შექსპირი ქართულ თეატრში" და „შექსპირი ქართულ მხატვრობაში", რომელიც საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმმა განახორციელა. გამოფენისთვის სულ 75 ერთეული ფერწერული ნამუშევრის, კოსტიუმების და დეკორაციების ესკიზების ასლები ჩამოიტანეს. როგორც მუზეუმის დირექტორმა გიორგი კალანდიამ მითხრა, გამოფენილი მასალა მხოლოდ მუზეუმში დაცული ნამუშევრებია, სწორედ ეს იყო ავტორების შერჩევის პრინციპი. გამოფენაზე მოსულ დამთვალიერებელს შეეძლო გაცნობოდა მნიშვნელოვან გამოცემას „შექსპირი ქართულ თეატრში" და „შექსპირი ქართულ მხატვრობაში" მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე დაბეჭდილ კატალოგებში, რომლებიც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საჩუქრად მიეღო.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო პეტრე ოცხელის, სერგო ქობულაძის, დავით კაკაბაძის, ელენე ახვლედიანის და სხვათა შექსპირულ თემაზე შექმნილი ნამუშევრები.

პრეზენტაციების დამაგვირგვინებელი აკორდი იყო „ვინოპოლის"-ის ქართული ღვინის დარბაზში გამოფენილ შედევრებთან ერთად ქართული სუფრა, რომელიც პირდაპირ კავშირშია ხელოვნებასთან და თავად არის ერთგვარი პერფორმანსი. სუფრის თავში კულტურის მინისტრის მრჩეველი გიორგი გეგეჭკორი ეროვნულ კოსტიუმში გამოწყობილი ხვდებოდა სტუმრებს ფიალით ხელში, სუფრა გაწყობილი იყო ქართული ტკბილეულობით: ათასგვარი სახეობის ჩირით და ჩურჩხელით. მუსიკალურ ფონს ვოკალურ-ინსტრუმენტალური კვინტეტი „ურმული" ქმნიდა, რომელიც განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენდა ღვინის მუზეუმში შემთხვევით შემოსულ დამთვალიერებელზე და მოწვეულ სტუმრებზე.

ქართული თეატრის გასტროლები „გლობუსში" (ბისს-ზე, დამატებით ექვსი სპექტაკლის გასამართად მოწვეული მარჯანიშვილის თეატრის დასი) და ფესტივალი „საქართველო-ღვინო ხელოვნებაში და ხელოვნება ღვინოში" სრულდება, მაგრამ ლონდონს არ ტოვებს ქართული თეატრი, 11 ივნისს უკვე დაგეგმილია ლონდონის „Royal Court" თეატრში ლაშა ბუღაძის პიესის „პრეზიდენტი სტუმრად მოვიდა" პრემიერა. ეს პირველი შემთხვევაა, როცა ქართველი დრამატურგის პიესა იდგმება ლონდონის თეატრის სცენაზე და მნიშვნელოვანი მოვლენა არა მხოლოდ ლაშა ბუღაძის, არამედ თანამედროვე ქართულ დრამატურგიაში. ლაშა ბუღაძე არის პირველი მერცხალი ქართველი (ცოცხალი თუ მკვდარი) ავტორებიდან, რომელიც შეაღებს ბრიტანეთის თეატრის ბაზარს და გზას გაუხსნის სხვა ავტორებსაც ევროპულ ბაზარზე. ბედნიერი იქნება ის, ვინც ლონდონში ამ მნიშვნელოვან მოვლენას თანამედროვე ქართულ დრამატურგიასა და თეატრში დაესწრება.

მარჯანიშვილის თეატრი კი, უკვე სავიზიტო ბარათადქცეული სპექტაკლით „როგორც გენებოთ" საგასტროლო ტურნეს აგრძელებს ჯერ რუმინეთში, შემდეგ გერმანიაში, პოლონეთსა და რუსეთში. დარწმუნებული ვარ, რომ საგასტროლო ტურნე ისეთივე წარმატებით ჩაივლის ყველგან, როგორც „გლობუსში", ამ წარმატების გარანტი კი უილიამ შექსპირის ლოცვა-კურთხევა იქნება, რომელიც ქართულმა დასმა უკვე მიიღო.

## გარეკანის მეოთხე გვერდზე:

გიგა ლორთქიფანიძის
დაბადების დღე — 2012 წლის 19 ოქტომბერი.

*ფოტოზე მარცხნიდან მარჯვნივ:* მერაბ თავაძე, გიგა ლორთქიფანიძე, რეზო ჩხეიძე, ქეთინო კიკნაძე.

*მეორე რიგში:* გურამ ახობაძე, სანდრო მრევლიშვილი, გურამ ბათიაშვილი, ვაჟა ლორთქიფანიძე, დიმიტრი ჯაიანი, რეზო ამაშუკელი, გიორგი თავაძე, გოგი ქავთარაძე, კოტე კიკაბიძე, გიზო ჟორდანია.


# „თეატრი და ცხოვრება“
„THEATRE AND LIFE“

„ТЕАТР И ЖИЗНЬ“

**№3, 2013**

დამკაბადონებელი
გიორგი მალხასიანი

კორექტორი
მარინე ვასაძე

ელექტრო ფოსტა: TEATRIDACXOVREBA@GMAIL.COM

ფასი — სახელშეკრულებო

რედაქციის მისამართი: თბილისი 0107, გ. ლეონიძის ქ. №11ა.

ტელ.: 2999096

აიწყო და დაკაბადონდა ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციაში




მსახიობისა და რეჟისორის ოთარ ბალათურიას ვარსკვლავი
ნ. დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრის წინ.

# თეატრი
# და
# ცხოვრება

## №3
## 2013



ISSN 1987-8974

9771987897006